„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№3 (319)
მარტი
2025 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეშვიდე წელი "LITERATURULI MESKHETI"

სამეფო სახლის წევრების გადასახლება რუსეთში

ვახტანგ გურული

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების (1801-1802 წწ.) შემდეგ, რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა ბაგრატიონთა სამეფო სახლის რუსეთში გადასახლება. პეტერბურგში შიშობდნენ, რომ სამეფოს გაუქმებით უკმაყოფილო დარეჯან დედოფალი, მარიამ დედოფალი, ერეკლე II-სა და გიორგი XII-ის შვილები და შვილიშვილები შეიძლებოდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ჩადგომოდნენ სათავეში. ეს შიში უსაფუძვლო არ იყო. პეტერბურგში ჩათვალეს, რომ, პირველ რიგში, რუსეთში უნდა გადაესახლებინათ დარეჯან დედოფალი, რომელიც ჯერ კიდევ ერეკლე II-ის დროს გამოირჩეოდა თავისი ანტირუსული აზროვნებით.

დარეჯან დედოფლის რუსეთში გადასახლების მცდელობა

საქართველოს უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირი, საქართველოს ცალკე კორპუსის მთავარსარდალი და სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართებელი **პაველ ციციანოვი** თბილისში 1803 წლის 1 თებერვალს ჩამოვიდა. მას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეძლია მისი წინამორბედების საქართველოს უზენაესი მთავრობის თავმჯდომარის **კარლ კნორინგისა** და საქართველოს მმართველის **პიოტრ კოვალენსკის** მმართველობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები და მოეგვარებინა ურთიერთობა ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრებთან. პაველ ციციანოვს თბილისში ჩამოსვლის პირველ ხანებშივე რუსული მმართველობისაგან შეურაცხყოფილმა და დაჩაგრულმა მოსახლეობამ უამრავი თხოვნა და საჩივარი მიართვა, მათი განხილვა დიდ დროსა და ენერგიას ითხოვდა. განსაკუთრებით ძნელი იყო დარეჯან დედოფალთან ურთიერთობის მოგვარება. ჯერ კიდევ 1802 წლის 30 აგვისტოს დარეჯან დედოფალმა იმპერატორთან იჩივლა, რომ მას რუსეთში გამგზავრება სურდა, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევდნენ. რუსეთში გამგზავრებაში დახმარების თხოვნით დარეჯან დედოფალმა რუსეთის დედოფალსაც მიმართა. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვიქტორ კოჩუბეიმ** 1802 წლის 21 დეკემბერს პაველ ციციანოვს წერილი გაუგზავნა და დარეჯან დედოფლისათვის დახმარების აღმოჩენა სთხოვა. 1802 წლის 27 დეკემბერს ციციანოვი დარეჯან დედოფალს სწერდა, რომ მან ქართლ-კახეთში რუსეთის ჯარის მეთაურს გენერალ **ივან ლაზარევსა** და საქართველოს მმართველს პიოტრ კოვალენსკის რუსეთში მისი გამგზავრების ორგანიზება დაავალა, ხოლო თვითონ გეორგიევსკში ელოდებოდა დედოფალს. მართალია ციციანოვს ეჭვი ეპარებოდა დარეჯან დედოფლის გულწრფელობაში, მაგრამ დაპირებისამებრ მას მაინც ელოდებოდა გეორგიევსკში. საქართველოს მთავარსარდლის ეჭვი გამართლდა. 1803 წლის 1 იანვარს პიოტრ კოვალენსკი დარეჯან დედოფალს ეახლა და ციციანოვის წერილები გადასცა. დედოფალმა წერილები მაშინვე წაიკითხა. კოვალენსკის კითხვას, თუ როდის ინებებდა რუსეთში გამგზავრებას, ასე უპასუხა: ახლა დღესასწაულია და მე არ შემიძლია სასწრაფოდ გიპასუხოთ. გთხოვთ, საღამოს ჩემთან მობრძანდეთ, მანამდე კი მე წერილებს კიდევ ერთხელ ყურადღებით წავიკითხავო. პასუხის დაგვიანების მიზეზად დედოფალმა წერილების რუსულიდან ქართულზე თარგმნა მოიმიზეზა. საღამოს მასთან მისულ კოვალენსკის კი განუცხადა, რომ ერთი თვის ავადმყოფობის შემდეგ თავს სუსტად გრძნობდა, რის გამოც ზამთარში შორეული მგზავრობისაგან თავი უნდა შეეკავებინა. დედოფალს გამგზავრების კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებია. 1803 წლის 2 იანვარს კოვალენსკიმ დარეჯან დედოფლის პასუხი ციციანოვს აცნობა. 2 იანვარსვე ციციანოვს დარეჯან დედოფალმაც გაუგზავნა წერილი. დედოფალი საქართველოს მთავარსარდალს სწერდა,

დარეჯან დედოფალი

რომ ავადმყოფობის გამო რუსეთში ვერ გაემგზავრებოდა და, ამდენად, ციციანოვი მას გეორგიევსკში აღარ უნდა დალოდებოდა. 1803 წლის 2 იანვარს თბილისში მყოფი **აპოლოს მუსინ-პუშკინი** ციციანოვს სწერდა, რუსეთში გამგზავრებაზე უარის თქმის მიზეზი ავადმყოფობა არ იყო, დედოფალი უკვე ჯანმრთელადაა, მაგრამ გამგზავრებისაგან მაინც თავს იკავებსო. მუსინ-პუშკინი აღნიშნავდა, რომ ციციანოვის თბილისში ჩამოსვლას შეიძლებოდა დედოფლის რუსეთში გამგზავრება დაეჩქარებინა. მუსინ-პუშკინმა **ვახტანგ ბატონიშვილს** შესთავაზა, დარეჯან დედოფალი, თანხმობის შემთხვევაში, პირადად მიეცილებინა რუსეთის საზღვრამდე. როცა ვახტანგ ბატონიშვილისგან უარი მიიღო, მუსინ-პუშკინმა დარეჯან დედოფალთან შეხვედრა მოისურვა. 1803 წლის 10 იანვარს მუსინ-პუშკინი ციციანოვს მოახსენებდა, რომ მისი თბილისში ჩამოსვლის გარეშე დარეჯან დედოფლისა და ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრება არ მოხერხდებოდა.

დავით ბატონიშვილისა და ვახტანგ ბატონიშვილის გადასახლება რუსეთში

საქართველოს მთავარსარდალი პაველ ციციანოვი, როგორც აღვნიშნეთ, თბილისში 1803 წლის 1 თებერვალს ჩამოვიდა. მას შიშითა და იმედით ელოდნენ ბოროტმოქმედებაში შემჩნეული რუსული მმართველობის მოხელეები. ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები კი ფიქრობდნენ, რომ წარმოშობით ქართველი ციციანოვის (ციციშვილის) თბილისში ჩამოსვლა მათ შვებას მოუტანდა. სამეფო სახლის წევრებს მეფობის აღდგენის იმედიც კი ჩაესახათ. ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა პაველ ციციანოვს: საქართველოს მთავარსარდალს ყველა ბაგრატიონის რუსეთში გადასახლება ჰქონდა გადაწყვეტილი.

პაველ ციციანოვმა თავისი მოღვაწეობა საქართველოს მმართველ პიოტრ კოვალენსკის გადაყენებით დაიწყო. საქართველოს მმართველად გენერალ-მაიორი **სერგეი ტუჩკოვი** დაინიშნა. ციციანოვს კარგად ესმოდა, რომ გამოცდილი და მამაცი გენერლის სამოქალაქო თანამდებობაზე დანიშვნა დიდი დანაკლისი იქნებოდა ჯარისთვის. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთავარსარდალი რუსეთიდან მცოდნე და კეთილსინდისიერი მოხელეების გამოგზავნას ითხოვდა. 1803 წლის 27 თებერვალს მან რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ **ვიქტორ კოჩუბეის** რუსულ მმართველობაში არსებული კორუფციის, უსამართლობისა და ბოროტმოქმედების შესახებ აცნობა. რა მდგომარეობა შექმნილიყო საქართველოში, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ციციანოვმა ჭკვიანი და პატიოსანი მოხელეების გამოგზავნა თვით რუსეთის იმპერატორს სთხოვა 27 თებერვალს გაგზავნილ მოხსენებაში. საქართველოს მთავარსარდლის თხოვნა შეწყნარებულ იქნა. 1803 წლის 3 ივლისს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვიქტორ კოჩუბეიმ საქართველოში გასაგზავნი მოხელეების მკაცრად შერჩევის შესახებ განკარგულება გასცა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე პაველ ციციანოვმა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრები თავისთან მიიწვია. დედოფალმა დარეჯანმა მასპინძელს განუცხადა: მას მართლაც ჰქონდა რუსეთში გამგზავრების სურვილი, რადგან ფიქრობდა, რომ რუსეთში მხოლოდ მას იწვევდნენ. დედოფალს აზრი მას შემდეგ შეუცვლია, როცა გაუგია, რომ მთელი სამეფო სახლის რუსეთში გადასახლება იყო განზრახული. ბოლოს დარეჯან დედოფალმა მაინც თანხმობა განაცხადა რუსეთში წასვლაზე, მაგრამ გამგზავრება 1803 წლის აპრილამდე გადადო. ამასთან ერთად, დედოფალმა გამგზავრების მოსამზადებლად 10.000 მანეთი ითხოვა. დედოფალი ასევე ითხოვდა, რომ მას რუსეთში ორმოცდაათკაციანი ამალა უნდა გაჰყოლოდა.

პაველ ციციანოვთან შეხვედრისას **ბატონიშვილმა დავით გიორგის ძემ** რუსეთში გამგზავრებაზე უარი განაცხადა, მას მიბაძა ბატონიშვილმა **ვახტანგ ერეკლეს ძემ.** ციციანოვმა ამ უკანასკნელს აცნობა, რომ ბაგრატიონთა სამეფო სახლის თბილისიდან გასახლება რუსეთის იმპერატორის სურვილი იყო. ბატონიშვილი ამ ცნობამ ძალზე დაამწუხრა და განაცხადა: რუსეთში წასვლას მირჩევნია საქართველოში მიწის მუშად დავრჩეო. დარეჯან დედოფალთან და ბატონიშვილებთან შეხვედრის შემდეგ, ციციანოვი 1803 წლის თებერვალში პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა: დედოფლისა და ბატონიშვილების შეუპოვრობა მაფიქრებინებს, რომ 1803 წლის გაზაფხულზე ირანის **შაჰ ფეთჰ ალისა** და ლეკების ჯარის დახმარებით ბატონიშვილები **ალექსანდრე ერეკლეს ძე, იულონ ერეკლეს ძე** და **ფარნავაზ ერეკლეს ძე** ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენას შეეცდებიანო.

პაველ ციციანოვის მიერ გადაყენებული პიოტრ კოვალენსკი ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა და წყლის ამღვრევას ცდილობდა. იგი დარეჯან დედოფალს ეახლა და განუცხადა: თქვენი ნების წინააღმდეგ ვერავინ რუსეთში ვერ გაგასახლებთო. დედოფლისა და კოვალენსკის შეხვედრის ამბავი გახმაურდა. ვიღაც მიზანდასახულად ავრცელებდა ხმებს: ციციანოვი დედოფალს რუსეთში გამგზავრებას აიძულებს, ხოლო კოვალენსკი ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავარსარდალს ამის უფლება არა აქვსო. ციციანოვმა დარეჯან დედოფალს კოვალენსკისთან საუბრის შინაარსის წერილობითი დადასტურება მოთხოვა, რაც დედოფალმა შეასრულა კიდეც. კოვალენსკი ყველაფერს უარყოფდა. მოგვიანებით, 1803 წლის 23 აპრილს, კოვალენსკიმ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრთან თავი იმართლა. მან მინისტრს წარუდგინა **ბატონიშვილ თეკლას** ხელით დაწერილი დარეჯან დედოფლის წერილი (თეკლა დედოფლისა და კოვალენსკის შეხვედრას ესწრებოდა), რომელიც ადასტურებდა, რომ კოვალენსკის დარეჯან დედოფლისათვის ციციანოვის მოქმედების უსამართლობის შესახებ არაფერი უთქვამს. ამ წერილზე კოვალენსკის თხოვნით თეკლა და ქეთევან ბატონიშვილებს დაუსვამთ დედოფლის ბეჭედი. არც წერილის დაწერის და არც მასზე ბეჭდის დასმის შესახებ დარეჯან დედოფლმა არაფერი იცოდა. დილით დარეჯან დედოფალმა ბეჭედი ვერ იპოვა, თუმცა მალევე შეიტყო მისი გაუჩინარების მიზეზი. იმავე დღეს, 1803 წლის 28 აპრილს, დედოფალმა წერილი გაუგზავნა ციციანოვს და კიდევ ერთხელ დაადასტურა მისთვის კოვალენსკის მიერ ნათქვამი სიტყვები.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ პაველ ციციანოვმა შეიტყო, რომ ვიღაც ცრუ ხმებს ავრცელებდა, თითქოს საქართველოს მთავარსარდალს ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრების თანხმობის გარეშე მათი რუსეთში გასახლება არ შეეძლო. 1803 წლის 19 თებერვალს ციციანოვმა **ალექსანდრ I-ს** ბაგრატიონთა სამეფო სახლის რუსეთში ძალის გამოყენებით გასახლების უფლება სთხოვა. 1803 წლის 7 მარტს იმპერატორმა საქართველოს მთავარსარდალს უფლება მისცა თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედა. ციციანოვმა იმპერატორის თანხმობის მიღებამდე ბატონიშვილები დავით გიორგის ძე და ვახტანგ ერეკლეს ძე რუსეთში გაგზავნა. საბაბად გამოყენებული იქნა თბილისში გავრცელებული ხმები, რომ 1803 წლის 10 მარტს თბილისს ლეკები და კავკასიის სხვა მთიელები დაესხმებოდნენ თავს. გავრცელებული ხმების მიხედვით, ლეკებმა და კავკასიის სხვა მთიელებმა ალექსანდრე ბატონიშვილის დასახმარებლად 7.000 მებრძოლი შეკრიბეს და სოფელ გავაზსა და სოფელ ყვარელზე აპირებდნენ თავდასხმას. ეს ხმები სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილს ლეკთა ამ რაოდენობის ჯარი არასოდეს არ ჰყოლია, რის გამოც იგი თბილისზე ლაშქრობას ვერ ბედავდა.



ჯერ კიდევ 1802 წლის დეკემბერში, ე.ი როცა ციციანოვი ჯერ კიდევ გეორგიევსკში იმყოფებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილმა მასთან მოლაპარაკება გადაწყვიტა და შუამავლად **გარსევან ჭავჭავაძე** შეარჩია. 1802 წლის 5 დეკემბერს ალექსანდრე ბატონიშვილი გარსევან ჭავჭავაძეს ავალებდა ციციანოვთან სამეფო სახლის წევრთა ბედი გაერკვია. ციციანოვმა ალექსანდრე ბატონიშვილს პეტერბურგში გამგზავრება შესთავაზა, სადაც იგი იმპერატორის სურვილს პირადად შეიტყობდა. ბატონიშვილმა რუსეთში გამგზავრებაზე უარი გა-

გაგრძელება მე-5 გვ. ▶

ამირან ჯმუხაძე

გაზაფხულის ერთ მზიან დღეს, ერთ-ერთი სამშენებლო ფირმის დირექტორმა სათვალე გაისწორა, ბრძანება წაიკითხა, ხელი მოაწერა, მდივანი გამოიძახა და მიმართა:

– ლალი, გენაცვალე! სასწრაფოდ დაურეკე რომან აგლაძეს, ხვალიდან სამსახურში გამოცხადდეს!

– უკვე ხელი მოაწერეთ, ბატონო ვახტანგ?

– ასე გამოდის.

– ტელეფონის ნომერი არ ვიცი, – ნიშნის მოგებით უპასუხა ლალიმ.

აი, ამ ფურცელზე წერია, აიღეთ! – საქაღალდე მიაწოდა ვახტანგმა.

ლალიმ გამოართვა და ნომერი აკრიფა.

მდივანი ოცდაათს გადაცილებული, სიმპათიური ქალი იყო, დიდი, ლამაზი თვალები და თეთრი სახე ჰქონდა. ფირმაში უკვე ექვსი წელია რაც მუშაობდა. მან ზედმიწევნით იცოდა, ვინ რას წარმოადგენდა, ვინ ვის მოსწონდა და ა.შ. მოკლედ, ყველას ასავალ-დასავალი გაეგებოდა. პირადი ბედნიერებით ვერ დაიკვეხნიდა, უბედობას აბრალებდა მის გაუთხოვრობას. მახინჯები თხოვდებიან და მე რაღა მჭირსო, ამბობდა და მაინც მომავლის იმედს არ კარგავდა.

ბატონი დირექტორი კი, ჩაფიქრებული იჯდა სავარძელში. მას ძალიან სძულდა, ეზიზღებოდა ნიკო, რომელიც მომარაგების უფროსად მუშაობდა. მიზეზი კი ის იყო, რომ მან მასზე მეტი იცოდა და სულ ზევიდან უყურებდა. ასეთ ხალხს კი, თანამდებობის პირები ვერ იტანდნენ. მისი წასვლის შემდეგ, ფირმის საქმე უკან წავიდა. გეგმას ვეღარ ასრულებდნენ. ხვდებოდა თავის შეცდომას, მაგრამ ვის გაუმხელდა, ვის შესჩივლებდა. ვერ იტანდა მასზე ბევრად კარგ, მოაზროვნე ადამიანს, კარგ სპეციალისტს და მოიცილა. ამჯერად კი, ახალ ბრძანებას მოაწერა ხელი – ნიკოს თანამდებობაზე, რომან აგლაძე დანიშნა. ძალიან ახლობელმა დაურეკა და მას ხათრი ვერ გაუტეხა.

ლალიმ, როგორც იქნა, რომან აგლაძეს დაურეკა:

– ბატონი რომანი ბრძანდებით?

– დიახ...

– მაპატიეთ, რომ გაწუხებთ – თქვენი განცხადება დაკმაყოფილდა. ხვალ ფირმაში უნდა გამოცხადდეთ!

– კეთილი, დიდი მადლობა! – უპასუხა აგლაძემ და მობილური გათიშა. ამით, ლალის ქალური თავმოყვარეობა შეელახა, ეწყინა, ასე უცბად რომ გაუთიშა ტელეფონი, მაგრამ მაშინვე თავი დაიმშვიდა – არ მიცნობსო და თვითონაც გათიშა ტელეფონი.

და. მაგიდაზე სულ უცხოური ჟურნალები ედო და თავისუფალ დროს, მათ თვალიერებას უნდებოდა.

ცოტა ხანში, ლალიმ დაურეკა ყველა განყოფილების უფროსს. დირექტორის კაბინეტი თანდათან შეივსო ხალხით. ყველაზე ბოლოს, როგორც ყოველთვის, გივი შევიდა. ლალიმ ახედა, გივიმ ამოიხვნეშა და ლალის კვლავ წყნარად მიმართა:

– შენ სულ გამაგიჟებ, მეტი აღარ შემიძლია!

– რა გინდა გივი? აღარ შემეშვები?!

– რა უნდა მინდოდეს, გენაცვალე, შენი თავი!

– ხომ იცი, ყველას უნდა კარგი ოჯახი შექმნას, შენ თან ცოლ-შვილიანი ხარ, შენს გამო რატომ გავიუბედურო თავი?

– ლალი, – წამოიძახა გივიმ – რა გინდა, რაც გინდა ინატრე, ყველაფერს შევასრულებ, ოღონდ ჩემი გახდი!

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! – მკაცრად უპასუხა ლალიმ.

– სიყვარულზე ლაპარაკი სისულელეა? – გაბრაზდა გივი.

– მაგრამ მე არ მეკითხები, თუ მიყვარხარ?!

ამის გაგონებაზე, გივიმ ხმა ვერ ამოიღო.

გაიფიქრა ლალიმ და წყნარი, ლმობიერი კილოთი მიმართა:

– შებრძანდით!

რომანმა მადლობა, რაღაც არაბუნებრივად, ყალბად გადაუხადა და კაბინეტში შევიდა.

„ზედმეტს არაფერს ლაპარაკობს, ეტყობა ძალიან ჭკვიანი კაცია“ – გაიფიქრა ლალიმ და ბეჭდვა განაგრძო.

დირექტორი წამოდგა, რომანს ხელი ჩამოართვა და მაშინვე ფირმის სპეციფიკაზე დაუწყო საუბარი.

დაახლოებით ათი წუთი ილაპარაკეს.

რომან აგლაძე განითლებული გამოვიდა ოთახიდან.

ლალიმ მაშინვე მისკენ გაიხედა და ოდნავ შეეფაკლა თეთრი სახე. რომანი სწრაფად გავიდა მოსაცდელი ოთახიდან. დირექტორმა ლალის გამოუძახა და სთხოვა, გივის დაუძახეო. ლალის აღელვებას ჯერაც არ გაევლო და, როგორ მოუვიდა, თვითონაც ვერ გაიგო, დირექტორს, ანგარიშმიუცემლად უთხრა:

– მაპატიეთ, ახალი თანამშრომელი როგორ მოგეწონათ?

დირექტორი ასეთ რამეს არ ელოდა, გაოცდა, მაგრამ პასუხი მაინც გასცა:

– შენი თქმისა არ იყოს, ძალიან სიტყვაძუნწია. რაც კი ვუთხარი, ყველაფერზე თავს მიქნევდა. ეტყობა, ზრდილობიანი, წესიერ ოჯახში აღზრდილი კაცია. აბა ნიკოს კი არ ჰგავს, ლაპარაკს არ დაგაცდიდა ეგ ნაძირალა, თავხედი!

ლალის ხმა არ ამოუღია, შემობრუნდა, კარი გაიკეტა და ტელეფონით გივის დაუკავშირდა... მერე ადგა, ფანჯარა გამოაღო და გაზაფხულის სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა. გაზაფხულის სურნელებამ გული აუჩქროლა და აგრძნობინა, რომ ლალი უკვე მზად იყო სიყვარულისთვის. პირველად ნახა და მოეწონა, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, იმას თუ მოვეწონე-ო. ამის გაფიქრებაზე სახე მოეღუშა. ამასობაში გივი შემოვიდა. ლალიმ ერთმანეთს შეადარა სიტყვაძუნწი, სიმპათიური რომან აგლაძე და მოლაყბე, შეუხედავი გივი კოხრეიძე. სასწორი მაშინვე რომანისკენ გადაიხარა.

დირექტორი გივის მიესალმა, ხელი ჩამოართვა, სკამზე მიუთითა და დამრიგებლური ტონით მიმართა:

– მე იმიტომ შეგაწუხე, ჩემო გივი, რომ საიდუმლოდ გითხრა – აგლაძე ძალიან ჭკვიანი კაცი ჩანს და უნდა გავეფრთხილდეთ. ათას რაღაცაზე ველაპარაკე და, შენ წარმოიდგინე, ყველაფერზე თავს მიქნევდა, ყველაფერი მშვენივრად ვიციო.

– კი მაგრამ, წინათ სად მუშაობდა? – დაინტერესდა გივი.

გავიდა ზუსტად ხუთი თვე. ბევრი რამ შეიცვალა ფირმაში. რამდენიმე თანამშრომელმა დატოვა თანამდებობა. ბევრი ახალიც მოვიდა, მაგრამ ყველა ერთხმად აღიარებდა აგლაძის ნიჭიერებას. მის მიმართ ყველა პატივისცემით განიმსჭვალა. ყველა მოწიწებით ეპყრობოდა. აგლაძე თითქმის არაფერს აკეთებდა. საბუთებზე ხელს მოაწერდა, ხანდახან იტყოდა, საქმეზე მივდივარო და მთელი დღე დაიკარგებოდა.

ლალი კი სულ შეიცვალა, მიუკარებელი გახდა. უახლოეს მეგობარსაც არ ანდობდა გულის ნადებს. მზიასი ეშინოდა, საქმე სხვანაირად არ დატრიალდეს, ისიც გაუთხოვარია და ჩემი შეშურდესო. უკვირდა, რა მემართებაო, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო. ასაკს აბრალებდა ყველაფერს.

იმ დღეს, დიდხანს იწრიალა ოთახში. სახლი დაალაგა, უეცრად მოუნდა ვილაცისთვის გული გადაეხსნა, ეთქვა რაც აწუხებდა, რაც ასე კლავდა და ტანჯავდა. თითქოს, გუნებაც გამოუკეთდა, მაინც მზიას დაურეკა და სთხოვა ჩემთან მოდიო.

როცა ზარი დაირეკა და მზია შემოვიდა, ლალი მაშინვე სავარძელში ჩაჯდა და სიგარეტი გააბოლა და მზიას მიაჩერდა. მეგობარი გაოცებული უყურებდა.

– რაშია საქმე? რაღაც უცნაურად გამოიყურები, რამ აგაფორიაქა? – ვერ დაფარა მღელვარება მზიამ.

– იცი მზია, შენთან დამნაშავე ვარ. შენ არაფერს მიმალავ, მე კი...

– რა მოხდა? – მზია ინტერესად გადაიქცა.

– ერთი თანამშრომელი სიგიჟემდე მიყვარს! – ლალიმ გამომწვევად შეხედა მეგობარს.

მზიას გაეცინა, წამოდგა.

ხუთი თვეა, რაც ჩვენთან მუშაობს და უიმისოდ ველარ ვძლებ, სახელად რომანი ჰქვია. ნამდვილი მამაკაცია, სიტყვაძუნწი და ამაყი. მაგრამ რად გინდა, ყურადღებას არ მაქცევს. გინდა ვყოფილვარ და გინდა არა! ისე ჩაივლის, ერთს არ გამიღიმებს და ეს უფრო მაგიჟებს. თურმე, ასეთი ყოფილა ქალის ბუნება – ვინც ყურადღებას არ გაქცევს, ის უფრო მოგწონს და გიყვარს.

– მართალია, – ამოიხვნეშა მზიამ და ფანჯარაში გაიხედა. მზე აცხუნებდა. შემდეგ მოტრიალდა და წყნარად უთხრა – ახლა რას აპირებ?

– არ ვიცი, არაფერი გამომდის. ცალკე გივი არ მაძლევს მოსვენებას!. მოკლედ... დავიტანჯე.

– რომ იცოდე, ვისაც უყვარხარ, ის უფრო დასაფასებელია.

– ამას ნუ ლაპარაკობ, გივის დასანახად ვერ ვიტანან.

– შენსავით ბევრი მინახავს - მოუჭრა მზიამ.

დაისის შუქთან

ის იყო ლალიმ ტელეფონი მაგიდაზე დადო, დირექტორის მისაღები კაბინეტის კარი გაიღო და ოთახში მთავარი მენეჯერი შემოვიდა. ის ახმახი კაცი იყო, წელში მოხრილი, მეტად გრძელი ცხვირით. მას გივი ერქვა. ლალის მიესალმა:

– გაგიმარჯოს – უპასუხა ლალიმ.

– დღეს ძალიან ლამაზად გამოიყურები! – წყნარად წარმოსთქვა გივიმ და ლალის გამომწვევად შეხედა. თვალი უნებურად ქალის მკერდისკენ გაექცა, ამოიხვნეშა და სკამზე ჩამოჯდა. გიჟდებოდა ლალისთვის, მაგრამ, არაფერი გამოსდიოდა, რას არ ეცადა, რა არ იღონა, რა არ მოიმოქმედა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ვერ მოინადირა ამაყი ქალის გული. ალბათ, ასაკის გამო მინუნებსო, – ფიქრობდა გულისტკენით.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ლალიმ დაარღვია:

– იცით, ახალი ამბავი?

– რაშია საქმე? – დაინტერესდა გივი.

– დირექტორმა ბრძანებას მოაწერა ხელი!

– ნეტავ ვინ არის, აქ ხომ არ მოსულა?

– არა, მაგრამ ტელეფონით ველაპარაკე.

– ნეტავი საქმის მცოდნეა? – გაოცებით იკითხა გივიმ.

– ნიკოზე კარგად ვინ იცოდა საქმე? მაგრამ გააგდეთ, – წამოცდა ლალის. მერე მიხვდა, სისულელე წამოროშეო და მაშინვე დააყოლა – ახალი თანამშრომელი, სიტყვაძუნწი ჩანს, ეტყობა ძალიან ჭკვიანი კაცია!

– ღმერთმა ქნას! – წარმოთქვა გივიმ და კვლავ ხარბად შეავლო თვალი ლალის მკერდს, ისევ ამოიხვნეშა და ოთახიდან გავიდა.

„საცოდავი, ნეტავ გივის ცოლმა თუ იცის, რომ ვუყვარვარ? ცოტა სიმპათიური მაინც იყოს, ვერ გაიგო დეგენერატმა, ქალს თუ არ მოსწონხარ, ვერაფერს გახდები. თუმცა, რას გაიგებ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება!“ – გაიფიქრა ლალიმ. შემდეგ, ტელეფონი მოიმარჯვა და თავის მეგობარ მზიას დაურეკა. ცოტას მაინც გავერთობიო. ცოტა ხანს ელაპარაკა, ამასობაში, დირექტორი გამოვიდა და ლალის უთხრა – განყოფილების უფროსებს სთხოვე, შემოვიდნენო. როცა უკან შესვლას აპირებდა, შეჩერდა და ლალისკენ შემოტრიალდა.

– აგლაძეს დაურეკე?

– დიახ, ბატონო ვახტანგ, ხვალ აუცილებლად მოვალო!.

– ნეტავ როგორი კაცია? – იკითხა დირექტორმა.

– ეტყობა, სიტყვაძუნწია, – გათამამდა ლალი.

– ძალიანაც კარგი, არ მიყვარს მოლაყბე ხალხი. გვყავდა ასეთი და მოვიცილეთ. – წარმოთქვა ქედმაღლურად ვახტანგმა და კარი გაიხურა.

ლალის არც დირექტორი მოსწონდა. წარმოსადეგი კაცი კი იყო, შავი თმა და არწივისებური გამოხედვა ჰქონდა, მაგრამ, ლალის თქმით, რაღაც აკლდა. ლალის განსაკუთრებული გემოვნება ჰქონდა. მაგიდაზე სულ უცხოური ჟურნალები ედო და თავისუფალ დროს, მათ თვალიერებას უნდებოდა.

ცოტა ხანში, ლალიმ დაურეკა ყველა განყოფილების უფროსს. დირექტორის კაბინეტი თანდათან შეივსო ხალხით. ყველაზე ბოლოს, როგორც ყოველთვის, გივი შევიდა. ლალიმ ახედა, გივიმ ამოიხვნეშა და ლალის კვლავ წყნარად მიმართა:

– შენ სულ გამაგიჟებ, მეტი აღარ შემიძლია!

– რა გინდა გივი? აღარ შემეშვები?!

– რა უნდა მინდოდეს, გენაცვალე, შენი თავი!

– ხომ იცი, ყველას უნდა კარგი ოჯახი შექმნას, შენ თან ცოლ-შვილიანი ხარ, შენს გამო რატომ გავიუბედურო თავი?

– ლალი, – წამოიძახა გივიმ – რა გინდა, რაც გინდა ინატრე, ყველაფერს შევასრულებ, ოღონდ ჩემი გახდი!

– სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! – მკაცრად უპასუხა ლალიმ.

– სიყვარულზე ლაპარაკი სისულელეა? – გაბრაზდა გივი.

– მაგრამ მე არ მეკითხები, თუ მიყვარხარ?!

ამის გაგონებაზე, გივიმ ხმა ვერ ამოიღო.



ამასობაში, დირექტორმა ლალის უბრძანა, მანდ ვინც არის ყველა შემოვიდესო.

განაწყენებული გივი კაბინეტში შევიდა.

დირექტორმა თანამშრომლები შეათვალიერა, ფეხზე წამოდგა, სათვალე გაისწორა და დაიწყო:

მოგეხსენებათ, ორ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ნიკო გავათავისუფლეთ. ვერ ვიტყვი, რომ უცოდინარი და ხეპრე ყოფილიყოს, მაგრამ ბევრი ნაკლი ჰქონდა. – ვახტანგმა შეისვენა, ჭიქა წყალი მოსვა და განაგრძო – თქვენ ისე კი არ გამიგოთ, თითქოს ნიკოს მტერი ვიყო, ან მისი ინტერესი მქონდეს. არა, უბრალოდ, სიმართლე მალაპარაკებს. გუშინ მე, ჩემმა მოადგილემ ვიმსჯელეთ და ნიკოს ნაცვლად, შესაფერისი კანდიდატურა შევარჩიეთ, რომელიც ხვალიდან შეუდგება მეტად რთულ და მძიმე მისიას. რაღა თქმა უნდა, პირადად გაგაცნობთ. ასე რომ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მოვრჩეთ დღევანდელ მოკლე თათბირს. ბოდიშს გიხდით, რომ სამუშაოს მოგაცდინეთ! – პათეტიკურად წარმოთქვა ეს ბოლო სიტყვები დირექტორმა და თანამშრომლები დაითხოვა.

დირექტორი კაბინეტში დარჩა. ის ისევ ნიკოზე ფიქრობდა, კარგს აკეთებდა თუ ცუდს, ველარ გაერკვია. გულს იმით იმშვიდებდა, როგორ გამწარდებოდა ნიკო, როცა გაიგებდა ასეთი და ასეთი თანამშრომელი მიიღო და საქმეს მშვენივრად უძღვებოდაო.

ვახტანგი წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა. ლამაზი ჩანდა თბილისი. ხეები უკვე ამწვანებულიყო და დირექტორმაც ამ სიმშვენიერის აღქმით ნერვები დაიწყნარა, მაგრამ როცა გვერდზე გაიხედა და ნიკოს სახლი შენიშნა, სადაც ის ცხოვრობდა, გუნება ისევ გაუფუჭდა, უცბად წამოენთო საჭვენებელი თითი მისი სახლისკენ გაიშვირა, და ჩაიქირქილა – შენ გინდოდა ჩემი გამაიმუნება?! დირექტოროობა უნდოდა ვაუბატონს, ვერ მოგართვი, შე ვიგინდარა შენა! – წარმოთქვა თუ არა, შემოტრიალდა და ტელეფონით სახლში დარეკა. მეუღლე გააფრთხილა, ბაზარში გავივლიო და მალე მოვალო. ტელეფონი გათიშა და დამშვიდებულმა სიგარეტი გააბოლა.

მეორე დღეს, საწარმოს კარი მაღალმა, ძალიან გრძელ კიდურებიანმა ბატონმა შემოაღო. სწრაფად გაიარა დერეფანი და დირექტორის მოსაცდელში შევიდა.

ლალი რაღაცას გაცხარებით ბეჭდავდა. რომან აგლაძემ ბოდიში მოუხადა და წყნარად მიმართა:

– დირექტორი აქ ბრძანდება?

– დიახ, – არც აუხედავს, ისე უპასუხა ლალიმ.

– მე თქვენი ახალი თანამშრომელი ვარ.

ლალიმ მაშინვე თავი ასწია და გაოცდა. მის წინ ორმოცდაოთხი-ორმოცდახუთი წლის სიმპათიური, ჭაღარაშერეული კაცი იდგა, ძალიან მოეწონა, მაგრამ ნაკლიც იმ წამსვე შეამჩნია – ჩაწითლებული თვალები ჰქონდა, ალბათ ძალიან ბევრს კითხულობსო – იქნებ მართლა განათლებული კაცია, – ერთი წელი არსად მიმუშავიაო. წინათ კი, ერთერთ სამშენებლო ფირმაში ვმუშაობდიო.

– ძალიან კარგი, ბატონო ვახტანგ, – მოწიწებით მიმართა გივიმ. – ღმერთმა ინებოს, იმედი გაგვიმართლოს!

– ახლა კი, როცა საიმედო კაცი შევიძინეთ, ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ, ვიმსჯელოთ, რომ გეგმა არ ჩაგვივარდეს ჩემო გივი, ხომ იცი, ნიკოს დასაცინი არ გავხდეთ! ამიტომ, შენც შენებურად დატრიალდი და უფრო საფუძვლიანად შეისწავლე ჩვენი ახალი თანამშრომელი.

– კი, ბატონო ვახტანგ! თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! – გივიმ კმაყოფილი გამომეტყველებით დატოვა კაბინეტი. უხაროდა, რომ უფროსთან ასეთი კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ, როცა ლალის შეხედა, მოიღუშა, დაიბნა და უჩუმრად დატოვა მოსაცდელი ოთახი.

ლალიმ ფანჯარა დახურა და კვლავ ფიქრებს მისცა თავი.

გივი მომარაგების განყოფილებაში შევიდა. ოთახში ხუთი მაგიდა იდგა. ყველაზე განმორჩულ და შედარებით დიდი ზომის მაგიდასთან აგლაძე იჯდა, რომელსაც ქალალდებში ჩაერგო თავი და რაღაცას გაფაციცებით ეძებდა.

– გამარჯობა, ბატონო რომან! – წყნარად მიმართა გივიმ.

რომანი გამოერკვა, ნელა წამოიწია და ყრუდ წარმოთქვა – გაგიმარჯოს ბატონო გივი.

გივიმ ჩაახველა და თან ხმას აუწია – გადავწყვიტე ჩვენი ფირმის საჭირბოროტო საკითხებზე გელაპარაკოთ. აი, ახლა შესაფერისი მომენტია, თანამშრომლები შესვენებაზე არიან გასულნი და შეგვიძლია გულდამშვიდებით, წყნარად ვისაუბროთ.

– კი ბატონო, თქვენი ნებაა – წარმოთქვა რომანმა.

გივიმ სკამი განყოფილების უფროსთან ახლოს მიაჩოჩა და წყნარი ტონით დაიწყო:

– პირველი პრობლემა ის გახლავთ, რომ თქვენი ხელქვეითები უდისციპლინოები არიან. როცა უნდათ სამსახურში მაშინ გამოცხადდებიან. მართალია კარგი სპეციალისტები არიან, საქმე იციან, ამაში ვერ დაემდურები, მაგრამ, როცა რაიმე მონაცემი მაინტერესებს, მაშინ კი ვერავის ნახავ, ცა ყლაპავს თუ მიწა, კაცი ვერ გაიგებს. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, ამას ძალიან დიდი ყურადღება მიაქციეთ. – რა თქმა უნდა, ყველაფერი მოგვარდება! – წყნარად უპასუხა რომანმა. კიდევ... ცემენტის მომარაგების საკითხი გვაქვს გადასაჭრელი. ვერა და ვერ მოვახერხეთ საკითხი ისე დავაყენოთ, რომ ამაზე სალაპარაკო აღარ გვქონდეს.

– ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი! – თავი დააქნია რომანმა.

– მაშინ, ხელს აღარ შეგიშლით. გეტყობათ, საქმით ხართ დატვირთული. – უთხრა გივიმ, წამოდგა და ფეხაკრეფით დატოვა ოთახი.

– კარგი, გეყოფა! რაც არ მოხდება, იმაზე ნუ ლაპარაკობ!

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ოთახი სიგარეტის კვამლით აივსო.

– მოკლედ, – განაგრძო ლალიმ – გადავწყვიტე, მე თითონ გამოველაპარაკო, ავუხსნა... მეტი აღარ შემიძლია!

კვლავ სიჩუმემ დაისადგურა.

– არ გირჩევ! – თქვა მზიამ.

– სიყვარული ხანდახან ყველაფერზე ხაზს გადაგასმევინებს.

– როგორც ახლო მეგობარს მენდე. ცოტა ხანს მოიცადე.

– კარგი მზია, ცოტა ხანს მოვიცდი. – წარმოთქვა ლალიმ, შემდეგ წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა.

მეორე დღეს, კვლავ მწუხარე ჩანდა ლალი. ხმას არ იღებდა. ცალკე გივი არ აძლევდა გასაქანს, ცალმხრივი სიყვარული ბატონობდა ყველგან და ყველაფერში.

დღეები კი მიდიოდა. გაზაფხულიც დადგა, სიცხემ იმატა. დირექტორი წამდაუწუმ გამოსძახებდა – ლალი, „ბორჯომი,“ ლალი – ლიმონათი. სხვა თანამშრომლებიც ბუზებივით ირეოდნენ მისაღებში. მაცივრის კარი სულ ღია იყო. თუმცა, ლალი ახერხებდა და ერთი ბოთლი „ბორჯომი“ და ორი ბოთლი ლიმონათი მუდამ ჰქონდა გადანახული, მაგრამ რომანი მისი ოთახისკენ არც იხედებოდა. ან, საერთოდ, არ იყო სამსახურში, ან იჯდა თავის ოთახში და თანამშრომლებს თითო-ოროლა სიტყვას თუ გადმოუგდებდა. ხალხს კი მეტი რაღა უნდოდა, რომანი გენიოსად აღიარეს.

ზაფხულის ერთ დღეს, ერთმა სიმპათიურმა, ორმოცდათიოდე წლის კაცმა შემოაღო სამშენებლო ფირმის კარი. თანამშრომლებს მიესალმა და პირდაპირ დირექტორის კაბინეტთან გაჩერდა.

– დირექტორი აქ გახლავთ? – ჰკითხა ლალის, რომელიც ჟურნალს ათვალიერებდა.

ლალიმ თავი ასწია და წყნარად მიუგო:

– დიახ, აქ არის, შებრძანდით.

უცნობმა კარი შეაღო და დირექტორთან შევიდა. ვახტანგი შუა ოთახში შეეგება შემოსულს:

– რამ შეგაწუხათ, ნუგზარ ბატონო?

– რამ შემაწუხა და, მშენებლობა მიჩერდება... ცემენტი აღარ მყოფნის.

– ცემენტი, ბატონო ნუგზარ, ჩვენც გვიჭირს, მაგრამ რაღაცას მოვახერხებთ.

– ძალიან კარგი, ახლა გამიმართე ხელი და სულ მალე გავსწორდებით!

დირექტორმა ლალის გასძახა, რომანი მოვიდესო.

– რომანი ვინ არის, ნიკო აღარ მუშაობს? – გაუკვირდა ნუგზარს.

გაგრძელება გვ.12 ▶

გიორგი მახარობლიძე

გორისადმი

ჩემი ქალაქი გორია
ძუძუმწეცა და მშობელიც,
გამიგებს სულის ფორიაქს,
სხვა ვინ, თუ არა გორელი?
მამა-პაპათა ნაქები
დგას გორის ციხე ბებერი,
მეც მის კალთაზე ჩავქრები
სულ სულის ერთი შებერვით.
გულში მაქვს ლექსი ცინცხალი
და ჩემს გორიჯვარს შევტირი,
ნელ-ნელა ტკბება სიცოცხლე
ობლის გამომცხვარ კვერივით.
ვარ დღედაღამის მთევლი,
მზისა და მთვარის ნატეხი,
ცაო, რითი ვერ გელევი,
მიწავ, რითი ვერ გაძეხი!

სიკვდილს

ასე რამ გაგაბოროტა
გაუმაძღარო სიკვდილო,
რაღათი ვერ დაასრულე
ეგ შენი იწილ-ბიწილო?
ვიცი დადგება ჩემი დროც,
და უნდა წამაწინწილო,
უკან გამომყვე სახრით და
მეძახო: აბა, წინ-წინო!
ნეტავი რას დაწანწალებ,
შე სასიკვდილო სიკვდილო,
მე შენზე გაბუტული ვარ,
სურვილიც არ მაქვს გიხილო!

***

განა არ მჯერა, იქაც ბინდია,
სული ფათურობს წყვდიად ღამეში,
ვიცი და მაინც გტოვებთ, მივდივარ
ამ არაფრიდან იმ არაფერში.
არც ცა მეგულვის იქით სხვა ფერი,
არც უკეთესი რწმენა მაომებს,
მე მახსოვს, გუშინ კარგად დავთვერი
და ვაგინებდი არარაობებს.
საყვედურებით კვლავაც ამიკლეს,
რომ მცდარი არის ჩემი ნაბიჯი,
ვიცი, მივდივარ მე არსაიდან
და ხოხვით მიმაქვს სული ნაჯიჯგნი.
არ ვარ ჯიუტი და არც ავყია,
არც იქით წასვლას ვინმე მაქეზებს,
თვითონაც კარგად ვიცი, რა ყრია
ამ სანაგვეში, იმ სანაგვეზეც.
თქვენთან სადამდე უნდა ვდავობდე,
მე ჩემი ბედი ჩემს თავს მივანდე,
ვმოძრაობ, რადგან არ დავჭაობდე,
ვფართხალებ, რომ არ დავხავსიანდე.
ცხრა მთის იქითაც, ვიცი ბინდია,
სამოთხე მხოლოდ გვხვდება ზღაპრებში,
ვიცი და მაინც ხოხვით მივდივარ
ამ არაფრიდან იმ არაფერში.

***

არც ღატაკად ვიცხოვრე,
არც ვიცხოვრე აზიზად,
თუ რამ ოცნება მქონდა,
წლებმა ყველა გაზიდა.
ვიცი, სხვა არ წაიღებს
ჩემი მხრებით საზიდარს,
ვერსად ვერ გავაღწიე
ამ ჭრელჭრულა ბაზრიდან.
ან სად უნდა წავიდე,
არც ფული მაქვს არც ვიზა,
და სხვებთან შედარებით
გულთან უფრო ახლოა
უცნაური სიმღერა
„დავლევ, აბა რას ვიზამ!“

ნახ: ელენე ახვლედიანისა

ციცინო ბუკია

სახლი

დგას ენგურს გაღმა ნახანძრალი,
დათხრილ თვალებით...
ბავშვობის სახლი გზას გასცქერის
და არ იღლება...
კიბედახავსულ ენას უყოფს
ვიღაცა გამვლელს,
ზარავს ქარიშხლის უცნაური
ამოკივლება.
როცა ცარიელ ოთახებში
არავის სძინავს,
და როცა ღამით სინათლესაც
არავინ ანთებს,
იქნებ არასდროს დაბრუნდესო, –
გაეფიქრება...
ასეთი შიში ხშირად იპყრობს
უკაცურ სახლებს...

ჯერხოში ხვავი...

ჭერხოში ხვავი,
უფლის თვალის ჩვენში ტრიალი,
ბარაქის ხე და ზღაპრის გუდა
გზის მიღმა დამრჩა,
ვის გინდა ახლა გაზაფხული
გაუზიარო?!
გადაუშალო გულის გული
და სულის ფარჩა...
თვლემს შემოდგომა, –
გარჩენილა „ქვებზე კალმახი,“
უფსკრულებიდან სვავებივით
ჩანან კლდეები...
მხოლოდ სიმშვიდეს შეუძლია
ახლა კარნახი
ან საშიშარი ფორიაქის
გამოდევნება...

ბაღი კი ყვავის,
ყალბი ლალით იფაკლავს ლოყებს,
ბეგონიების აგონიას ფარავს მარმაშით...
თუ შეგიძლია
უნდა ბედთან ჭიდილით მოკვდე
ან სამუდამოდ ჩააბრუნო
სული ქარქაშში.

წის მიღმა გზაა...

ცის მიღმა გზაა,
მიწაზე კი – სადღა მარილი?
ჭეშმარიტება – დაკარგული,
ცხოვრება – ყულფი,
თავი – მოყვასი,
ფეტიშია ბროლ-მარმარილო
და გაძლებაა სიყვარული,
შეიძელ თუკი.
აქაა ქატო, რახანია იქაც ჭირია,
მზე არის ხვატი,
აზრი არ აქვს ტყეების ხატვას,
ცის მიღმა გზა კი ერთადერთი
ხსნა არის მარტო,
ის თუ გაარჩევს საიმქვეყნოდ
მტყუანს და მართალს.
გზა ცისკენ მიდის...
მიწაზე კი – სადღა მარილი?
გულმოწყალება – დაკარგული,
ცხოვრება – ყულფი,
თავი – მოყვასი,
ფეტიშია ბროლ-მარმარილო,
და გაძლებაა სიყვარული
შეიძელ თუკი!

შოთას

სიტყვებს საფეთქელში დამიზნებით,
ისვრი ტყვიებივით გამიზნულად,
სკივრში ჩააბარგე ნარგიზები,
რაცკი გეხიდა და გეუფსკრულა.

ელვამ გაისროლა სატევარი,
უცებ ინათა და გაირინდა,
იქნებ ის ბედი და შენ – მდევარი,
იქნებ „ათასმჯერცა მინა“ გინდა.

იქნებ – ჯვარის კედლებს მიკედლება,
სულში ნათელი და შორს წყვდიადი...
ქაჯეთს არაფერი ეშველება,
ლოყებს ილალისფრებს განთიადი.

ობოლი ბარტყები

ტყეში ამბავი მოხდა საწყენი –
პატარა ბიჭმა მოკლა ჩიორა,
დედის ამარა დარჩნენ ბარტყები,
დედა კი მათ ბედს აღარ ჩიოდა.
დადის ტოლებში და თან ტრაბახობს,
შურდულიანი ბიჭი ტიკტიკა,
დედაჩიტი კი იმავ საღამოს,
სულ სხვა ჩიორას გაეჭიკჭიკა.
ქარმა ღრუბლები წვიმად არღვია,
წუხდნენ ბარტყები სულ მთლად სველები,
რადგანაც ბუდე იყო თავღია
და წვიმას ჰქონდა გრძელი ხელები.

***

გულში კვლავ სევდიან ნაკვალევს მიტოვებ,
გარს ვუვლი უცნაურ პატარა ქარაგმას,
გეძებდი და ახლა, როდესაც გიპოვე,
მე შენი სიყვარულის უფლება არა მაქვს.
და ვცდილობ, ჩავიქრო თვალებში წვიმები,
ვგრძნობ, როგორ ვიწვი და
ვგრძნობ, როგორ გშორდები,
მე ქარს შევალეწე ლექსიც და იმედიც,
და შენსკენ გაწვდილი გამხმარი ტოტები.
მე ვგრძნობ, რომ თანდათან მივდივარ ხელიდან,
ვთვრები და ვხმაურობ ცხოვრების ჯინაზე...
ო, ღმერთო, საიდან ამდენი ცრემლი და,
ო, ღმერთო, საიდან ამდენი სინაზე?!

***

მზე შემოდგომის თვალებს იფშვნიტავს,
როგორ ყვითლდები, ჩემო ედემო!
სხარტი ხარ, როგორც წყალში ლიფსიტა,
არ ვიცი, სად ხარ ან სად გეძებო.
მალე ჩადგება სულში წყვდიადი
და ზამთრის სუსხი ხეებს გალოკავს,
იმ ფოთოლივით დავდარდიანდი,
ჭადარს რომ ხეზე შერჩა მარტოკა.
ქარი ღრიალით მკერდზე მასკდება,
ერთად ვიყავით, გახსოვს? იყო დრო.
დღეს კი გეძახი, უკანასკნელად
განუგეშო და დაგემშვიდობო!..

***

აკვარელის ფერებმა
შენზე სევდა მომანდეს,
ნეტავ როგორ მოვედი
მე ამ შემოდგომამდე.
მინდა სუნთქვაშეკრული
ჩემს ჩეროში მივყუჩდე,
რა თქმა უნდა, ზღვასაც შურს
მაგ თვალების სილურჯე.
სულში სხივებჩაწნული
ანთებული დამაქვს მზე,
ეს მწუხარე დღეები
როგორ გამილამაზე.
შენს ადგილზე ამ ლექსებს
ნაკუწ-ნაკუწ დავხევდი,
მე კი ისევ ვოცნებობ,
ვარ ასეთი თავხედი.
იკითხავდა მავანი, –
რას ჩალიჩობ, ბებერო?
ჩემი მჭკნარი მტევნებით
მინდა რომ მოგეფერო.
სენი უკურნებელი
სიყვარულის გადამდე,
ხვალე ალბათ წავალ და
უნდა დავნიადაგდე.
შემოდგომის ფერებმა
შენზე სევდა მომანდეს,
ჰოდა, უნდა მიყვარდე,
სულის ამოხდომამდე.

***

მე მახსოვს, იმ დღეს დუელში მომკლეს,
შიგ მკერდში მომხვდა ნასროლი ტყვია,
არ გავაგრძელებ და ვიტყვი მოკლედ,
სიკვდილით გული არ დამწყვეტია.
აზრი არ ჰქონდა ჩემს გამარჯვებას,
სისხლით შეღება სვავმა ნისკარტი,
არც ამიღია ზემოთ მარჯვენა,
რადგან ვიცოდი, რომ არ გიყვარდი.
როცა სიცოცხლეს მწუხრი აქრობდა,
ცაში ჩიტებმა შეჰქმნეს განგაში,
როგორც შენ თვალზე ცრემლი არ გქონდა,
ისე არ მქონდა ტყვია ნაგანში.

შოთა ტოგონიძე

როგორ ნატრობდა ვაჟა

„რამ შემქმნა ადამიანად,
რატომ არ მოველ წვიმადა...“
ვაჟა

ვწერ და საკუთარ თავს ვერ ვცნობ,
შენ არ გეშლები სხვაში
და ერთ პატარა მდინარედ
შევდივარ შუა ზღვაში.
გავხედავ გაშლილ მიდამოს,
არსად ნისლები არ წევს
და ტალღებს შეერთებული
ზღვაში დიდ გემებს ვარწევ.
მზე ღრუბლად ამწევს ზეცაში,
წვიმად ვიქცევი რაჟამს
და მინას მოვევლინები,
როგორც ნატრობდა ვაჟა.

***

„სიტყვა ხარივით გამწევი...“
შოთა ნიშნიანიძე

ვხედავ მთაზე სოფლის ნახირს,
შეზრდილი ვარ მთებს და ნისლებს,
ვაყურადებ ზეცის ძახილს,
მზის სხივებით სხეულს ვივსებ...
მზე აღვიქებს ქართულ სიტყვებს,
თვალებს მათი შუქით ვახელ,
სიტყვებს, როგორც გამწევ ხარებს
სტრიქონებში ვაბალახებ...

არა მჭირს-რა დასამალი
გულში ნადებს ლექსში ვამხელ.

ოი, საწუთროვ

ოი, საწუთროვ, მთელი ცხოვრების
ხშირად ერთგულო, ხანაც მტანჯველო,
უბრალო კაცად გემახსოვრები,
თუ პოეზიის მიქელ-ანჯელოდ?

ვიცი, რომ საზღვარს ვუახლოვდები
და არ მოვითხოვ ძალით დიდებას,
ყალბად შექმნილი სახელი, ვიცი,
წარსულთან ხიდად არ გაიდება.

რაც მოუცია უფალს, მადლობა,
მისი სიმართლის ერთგული ვრჩები,
იმად მიცნობდეს შთამომავლობა,
რისიც ღირსია სახელი ჩემი.

***

არც ისე დიდი რამე არა ხარ,
ჩემო სამზერო და სარბიელო,
მაინცდამაინც ედემს არ ჰგავხარ,
გამორჩენილს და სახარბიელოს.

გაუბრალოვდა გზათა სავალი
და გაიცრიცა გზაზე სიბნელე
და მოიძებნა გამოსავალი,
გადამელახა ბევრი სიძნელე.

მაგრამ რომ ჩავწვდი განვლილ
სიღრმეებს,
ლხინთან ვარ ბევრი ვაის მნახველიც
და ვდგავარ ახლა უფლის წინაშე
ჩემი გვარით და ჩემი სახელით.

ლადო და მირზა

მაშინ წავიდა ორი მგოსანი,
ზეცა მიწასთან როცა დაობდა,
და პოეზია, აზრი ფრთოსანი,
გლეხის ბიჭივით გზაზე დაობლდა.

დროს რამდენი რამ შორეთში მიაქვს,
არად დაგიდევს ცდასა და ლოდინს,
ერთს ბრძოლის ველზე მოუსწრო ტყვიამ,
მეორე ჭლექით დააკვდა ლოგინს.

ფახრ-აღ-დინ გორგანი

რედაქციისაგან:

რედაქციისაგან: „ლიტერატურული მესხეთი“ აგრძელებს დიდი სპარსელი პოეტის ფახრ-ად დინის უკვდავი პოემის „ვის-რამიანის“ ქართული თარგმანის ლექსად გარდათქმული ვარიანტის ბეჭდვას. როგორც ვწერდით, სპარსული ნაწარმოები ქართულად XII საუკუნეში ითარგმნა, მაგრამ პროზაულად, ხოლო მის პოეტურად გარდათქმას ახდენს მწერალი ანზორ სიფრაშვილი, რომელიც ამ საშვილიშვილო საქმის დასრულებას მიმდინარე წლის შემოდგომაზე ვარაუდობს, რის შემდეგაც ქართულ ლიტერატურას კიდევ ერთი საყურადღებო ნაწარმოები შეემატება. სიამოვნებით გვსურს აღვნიშნოთ, ისიც, რომ ამ ახალი, მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლის გამოქვეყნება პირველად ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხდება.

წინა თავების მოკლე შინაარსი: მას შემდეგ, რაც შაჰმა მოაბადმა შეიტყო მეუღლის, ვისის, ღალატის ამბავი, მან იგი სასახლიდან გააძევა. რამინი, რომელსაც უზომოდ უყვარს ვისი, ძმას, მოაბადს, გაეპარება და სატრფოს მიაშურებს.

ვისრამიანი

რამინისაგან ვისის თანა წასვლა მაჰისა ქვეყანასა

გამოიარა, გამოვლო რამინ ქალაქის კარია,
მყისვე გამთელდა, ვითამცა ავდარსა მოჰყვა დარია,
თუმც ადრეც არა სჭირდა რა, როს ვითამც სნებამ დარია,
ვით იყოს ლამაზს სიზმარში – მიდის და მიუხარია.

ქოისტანისკენ მიმართა რამინ თავისი ცხენია,
რა პირით ქარი დაუბერს, მისთვის სულ მოსალხენია,
ვითამც სამოთხის სულია რომ ირხევიან ხენია,
სიხარულს მიეცემოდა, სწრაფად გარბოდნენ დღენია.

ფიცხლადა იარებოდა, ვითა მიჯნურთა წესია,
გინდაცა რამე სტკენოდა: ხელი, ფეხი თუ მყესია,
რამინ არაფრად აგდებდა, ფიქრზედაც უსწრაფესია,
თუცა დაღლილა ბევრჯელა – ერთხელ არ დაუკვნესია.

გზის სიგრძე არ ეჭირვოდა საყვარლის სანახავადა,
არცა სავალის სიავეს ის არ იგრძნობდის ავადა,
მგზავრობა უჩნდის თამაშად, მიდის, მიიმღერს ზვავადა,
სწამს, მოვა ყოვლი სიკეთე ტრფობისგან თავისთავადა.

აწი ვთქვათ ვისის ამბავი, მივიდა როს დედისასა,
ურამინობით მას სახე დაღრეჯით ჰქონდა – მტრისასა!
შეავებული მიიქცა არვისა მსმენი ხმისასა,
მისი შემხედნი შიშობდნენ დანახვას მის წარბისასა.

ეგე მაჰისა ქვეყანა ვისსა უყვარდა წინათა,
მაგრა დღეს ბნელად მიაჩნდა, სადა არ და არ ინათა,
უმისოდ უჩნდა ორმოდა, არ ამოდ, არა ლხინათა,
ზის, ტირის, ცრემლი ჩამოსდის კოკისპირულის წვიმათა.

არცა ჭამდის და არც სმიდის, განყარა სამკაულები,
იგლოვს და არ გაიცინის, თვალთ გაიჩინა წყლულები,
რამინის გარდა არაფერს არ ჰგონებს, არ აქვს ლულები,
მისი სურვილი ჰკლავს, ნატრობს შეერთდნენ მათი გულები.

არ ნეტარებდა თავისი სახლის ჭერქვეშა წოლითა,
არცა რამ ნივთსა ან ხალსა, ან სასმისთ, ქმნულსა ბროლითა,
თვალს არიდებდა დედასა, წუხდა გვერდით მის ყოლითა,
თითქოსდა გველსა ხედავდა მცურავს ჭრელითა ზოლითა.

ძმა მესისხლედა მიაჩნდის, თვალს ერთხელ არ მიჰკიდებდა,
თუცა ვინ რამეს ეტყოდის – გულზე ცეცხლს წაიკიდებდა,
არცა რამ კარგს ჩაიცმევდა, სამკაულს არ იკიდებდა,
რა ვინმეს სიცილს შეატყვის, ეგრეთვე თავს ჩაჰკიდებდა.

დღისითა მზესა უჭვრეტდის ვითარც რამინის სახესა,
„ღამის სიშავე მეამის – მისსა თმებადა ვნახესა,
ჰე, საწუთროო, გავები აწ გამოუხსნელ მახესა!“
დღე-ღამ ბანზე ჯდის, ვინც ჰკითხავს – პასუხს მიუგებს მკვახესა.

ხორასანით გაიყურების, ლოდინი აქვის ქარისა:
„ – ნეტამცა წამოუბეროს, მისი ხმით გამახარისა,
ღამით იტყოდის – დილასა იქნეს გამღები კარისა,
მერმე დილითა თავს ეტყვის: მოვა მოსვლის ჟამს მთვარისა“.

ეგრეთ ინატრის: „ – ნეტარძი, რამინ მანახვა მცინარი,
დამჯდარი ან ფეხზე მდგომი, თუნდაც რომ იყოს მძინარი,
ან ცხენზე იჯდეს მაშვრალი, ჩანდის მთლად მოუწყინარი,
ზურგი აქვს მარავისკენ და პირი ჩემსკენა წინ არი.

რამინს, როსტომის სადარსა ნუთუ ვერ ვნახავ ვეროდეს?
არა, ის მოვა ჩემთვისა, მინდა ესე რამ მჯეროდეს,
მინდა ვიხილო მის სახე, რომ გული მისთვის მღეროდეს,
ხისა ქვე ჩამოვსხდებოდეთ, რამინ ტოტს მომიჩეროდეს“.

ასრე ნატრობდა დღე და ღამ, წუხდა მთლად შეჭირვებითა,
გზისაკე ჰქონდა თვალები, ვერ ისუნთქავდა შვებითა,
ერთ დღესაც ბანსა ზედა ჯდა, ტკბებოდა ჩიტთა ხმებითა,
ცრემლიან თვალებს იტკბობდა უჩინარ მზის სხივებითა.

და ამოვიდა ორი მზე – ორივე მომხიბვლელია,
ერთმა ქვეყანა გაათბო, მეორემ – ვისს უშველია,
ერთმა ძირს მინას მოჰფინა სხივები თვისი მწველია,
მეორემ სხივი მას სტყორცნა, ვის თვალი ჰქონდა სველია.

ასრე მოვიდა რამინი ვისთან მისისა მლხენელი,
ვითა სნეულთან აქიმი, მისი კურნების მჩენელი,
სადაცა ამოხდებოდა ვისს სული, ცად მიმფრენელი,
მაგრა რამინი იხილა, პირს ვარდის გადამფენელი,

მით გაიხარა ვისიმა, აჩქარდა ბანსა მჯდომარე,
ქვე ჩამოვიდა სისწრაფით ვითა ქურციკი მხტომარე,
გადაეხვივნენ ერთმანეთს, და დღემდის მიუწვდომარე
სიტყვანი თქვეს და ვერცა თქვეს, ტიროდნენ ფეხზე მდგომარე.

ღმერთსაცა მადლი მიაგეს, აყვავდნენ ვითა ვარდია,
ერთს ხალვათს სახლში შევიდნენ, ერთ-ურთს გაანდონ დარდია,
ვინცა ხედვიდა, იტყოდა: ერთი მეორის ფარდია,
ვისი კეკლუცად მზირალი, რამინი კი ჯომარდია.

და უთხრა რამინს ვისიმა: „ – მაგ გულმა პოა ნებანი
ვითარცა თევზმან წყალი და აჰა, განვიდნენ სნებანი,
ჯდი ამა დარბაზს, იხარე, დე, ახდეს ეგ ოცნებანი,
რასაც ისურვებ – ახდება, გმორჩილობს მთლად უწყებანი.

სანადიროდა მოხველ და ნადირიც მალე ნახეო,
მე ვარ ის შენი ხოხობი, განა არ მიგავს სახეო?
კაკაბიცა ვარ, ქურციკიც, გინდ შველად დამისახეო,
იქნებ ველური თხაცა ვარ, რაც გსურს ის დამიძახეო.

ჰოდა, ჩემებრი ნადირით ხარობდე დღეცა, ღამეცა,
სჭამდე და სმიდე, იმღერდე, ვიშვებდეთ შენცა და მეცა,
დღეის დღით მოვილხინებდეთ, ხვალე გინდ მეხი დამეცა,
ჩვენია რაც რამ კარგია, სილაღე და სიამეცა.

ვიყვნეთ ნებისად, ნადიმად, რადგან ვართ ჭირნახულები
ერთმანეთისა ტრფობისთვის, ვით ვიყოთ ნამარხულები,
დია, ყრმანი ვართ მიჯნურნი, ერთურთს ვუძღვენით გულები,
ორთავეს ნება აწ არის ურთიერთგადაწნულები.

ეხვეოდეს და კოცნიდეს ერთმანეთს, განიხარებდეს,
შვიდი თვე დაჰყვეს ესრედა, ორნივე ერთად არებდეს,
ორნივე იყვნენ განცხრომით, უცხოს არ დაიბარებდეს,
რაცა უყვარდეს ერთ-ურთი, უმეტეს შეიყვარებდეს.

განვლო დრომ ზაფხულისამან, წარვიდა შემოდგომაცა,
დადგა ზამთარი, სიცივით გაძნელდა წოლაც, დგომაცა,
მაგრა მიჯნურთა უხარით ერთმანეთისა კრთომაცა,
ულევი აქვისთ ტრფიალი და ტრფიალებით წყრომაცა.

ცნობა მოაბადისაგან რამინის ვისსა თანა მისვლისა

რა ესმა შაჰსა მოაბადს ესე ამბავნი ძმისანი,
რომ რამინ ვისისთან ჩავიდა, მიართვა სხივნი მზისანი,
კვლა შეიყარნენ მიჯნურნი, ჟამი აქვთ მათ ტრფობისანი,
კვლა სიყვარულით ხარობენ, ვითა მასკვლავნი ცისანი.

აწ კი დარწმუნდა მოაბად, რამინ მაშინ სთმობს ვისისა,
როს ეშმა ავსა დააგდებს, აგრე მომქმედი მქისისა,
კურდღელი ლომი გახდება, მქონეცა ლომის ხმისისა,
მაშინ დადგება დრო მათი თმობისა დასაწყისისა.

თუ ჩიტი ქორად იქცევა – რამინიც ვისს შეელევა,
თორემ წყენა და შერცხვენა მას ძმისთვის არ დაელევა,
და მოაბადიც, მიხვდა რა, სხვაგვარ სული გაელევა,
და მასაც ვისის გარეშე მალიად დღე დაელევა–

თავისსა დედას ეახლა, სახე აქვს დაღრეჯილია,
უთხრა: „ – რამინის აღზრდაში შენ გაქვს ნამეტან წილია,
მე ყოვლი კარგად შევიტყე, ჩემგან არს გამოწვლილია,
დაე, იქ გაწყდეს ეს თოკი, სადაცა ძლიერ წვრილია.

გსმენია საქმე ისეთი რამინმა რომ ჩაიდინა?
წყარო ხომ იქით მდინარებს, საითაც ადრე იდინა,
რაც მას უქმნია და რითაც მან თავი წაიწყმიდინა
ვინმეს თუ მოეწონება, ან ვინმე თუ იქმნიდინა?

ჩემს ცოლს გამიჯნურებია, მომიყივნა მან მეფობა,
არც ძმობას არ დაერიდა, არცა ცნა ჩემი სეფობა,
ვის გაუგია ორის ძმის ერთ დიაცთანა ნეფობა,
ხომ არ სჯობია ხმალი და სისხლისა გადაშხეფობა?

ესე ადრევე ხდებოდა, არ გითხარ მე ხვაშიადი,
აწ უკვე ძალი აღარ მაქვს, თავს დამეტეხა წყვდიადი,
გითხარ, რა მერე წყევლანი მე არ მომაგო ფრიადი,
უსამართლოდ არ მწყევლიდე, კვლა დავრჩე მეფე დიადი.

სხვა გზა აღარ მაქვს, რამინსა უნდა გამოვჭრა ყელია,
თუმც შენი თვალნი მარადჟამს ვიცი იქნება სველია,
მისგან აუგს ვერ ავიტან, ეს გული გახდა ცხელია,
თუ პირს მის სისხლით დავიბან, მექნება კვლავ სახელია.

ის, რაცა ავი მიყო მან შენთვის ვიცი არ ჰამოა,
დია სირცხვილი მაჭამა, გამიხდა დღე საღამოა,
მინდა ყოველი უწყოდე, მირჩიო, მიმალამოა,
ის, რაიც ასე მარისხებს ყოველი მისი გამოა.“

ეგრე მიუგო დედამან: „ხარ მეცნიერი ცნობილი,
სიბრძნით და ჭკუა-გონებით და ხელმწიფობით ხმობილი,
ჭკვიანი ხელ-ფეხს არ იკვეთს – ესე აზრია წყობილი,
შენს ძმას სიკვდილსა უპირებ მისივ დედისგან შობილი?

ძმის სიკვდილი არ ეგების – სხვა ვინ დაგრჩების მისებრი,
მაშინ სხვა ვინ გეყოლების შენთვის კეთილის ხმისებრი,
რა ურამინო იქნები გვერდთ ვინ შეგრჩების ძმისებრი,
უნატამალოს არავინ არ მოგიდგება თვისებრი.

არ გინდაღაა ამ ქვეყნად სიცოცხლე და სიხარული?
არც სმასა შიგან გვერდთ გეჯდეს, ან ომში მოგცეს მხარული,
თუცა დაგჭირდეს იდუმლად საქმის კეთება ფარული,
იმედი ვისი გექნება თუ არ გყავს ძმა მოყვარული?

ღმერთმა შვილი არ გიბოძა, ძე არ გყავს, გინდა ასული,
ოდესმე ჟამი დადგება – გავხდებით ჩვენ გარდასული,
რა ღვთის განგება გეწვევა, შენ თავზე მაღლით დასული,
და შენცა სულს განუტევებ, ვითარც სხვას აღმოხდა სული.

მაშინ ხომ შენი ტახტი და გვირგვინი სხვას ერგუნება,
ჰოდა, დაეხსენ, მისადმი სჯობს შეიცვალო გუნება,
იგი ტახტს არ გეცილება, არ აქვს ბოროტი ბუნება,
ძმასა ნუ მოჰკლავ, ნუ გინდა, განაძე ეგე ცდუნება.

გიჯობს რომ ცოლი დასთმო და სხვაი დაისვა ცოლადა,
მას მიეც კლიტე ტრფობისა შენსა გვერდითა ყოლადა,
კეკლუცნი, მზისა მსგავსები, შენსა სწორად და ტოლადა,
დია მრავალნი არიან, ირჩიე შენთან მწოლადა.

მათი მკერდი ხომ ვეცხლია, ამბარივითა თმანია,
მისისა სადაფისგანა იშობა შენი მგვანია,
შენ სიხარულსა იპოვი, დაგაფასებენ ყმანია,
აწ ვისი გარგებს არაფრად, არც გინდა მისი ხმანია.

მერე რაა რომ ჯიმშედის ჩამომავალი გვარია,
თავად ავი ზნე ბევრი აქვს, უვარგისი და მდარია,
ათასი აქვის ბოროტი, ამითა არს მდიდარია,
ის შენთვის ავდარი არის, გარნა შენ გინდა დარია.

ნუ იქმ ძმის სიკვდილს, მეფეო, სჯობს რომ იხმარო ცნობანი,
ჭკვიანის სიტყვას ღონე აქვს, უჭკოსას – უღონობანი,
სულს ნუ დაისვრი სისხლითა, გწამდეს რამინის ძმობანი,
სხვისა ყიჟინსა გერჩივნოს მისი ჩქამი და ხმობანი.

დიაცს ბევრს ჰპოებ ვისისებრს, დასთმე ტრფობა მაგ ბოზისა,
თუ მოისურვებ ბევრს ნახავ ქალს მსგავსსა სირინოზისა,
მისი ამბავი განთქმულა ხორასნით არახოზისა,
აწ მეცა გეტყვი მის ამბავს თუ ვისი სად როგო ზისა:

თავის ძმასთან ჯდის, ვიროსთან, დღე-ღამე არა სცილდება,
სმადა ზის დაუსრულებლივ, თუ არ სვამს – დია ნბილდება,
რაცა უნდოდა ბედისგან – მიიღო, ღვინით ტკბილდება,
ნიადაგ მთრვალი დავალს და სანთელივითა რბილდება.

რაზედ უწყრები რამინსა – შენსავით ის მიჯნურია,
ვიროს მიაგე ეგ რისხვა, თუ ვინმეს დასჯა გწყურია,
ვისისა ბოზის ზნე არის ჭკუას არ უპყრას ყურია,
თითო დღეს თვითო კურო ჰყვეს, ვინც იყოს, სადაურია.

მითხარ, რა სარგებელია ეგეთი შვენებისაგან,
რაც უნდა კეკლუცი იყოს, სიტურფე ჰქონდეს მზისაგან,
ერთთან ერთ თვესაც ვერა ძლებს, კვლა სხვასთან გარბის მისაგან,
ვით ვარდი: მალე დაჰკარგავს სურნელსა ის ჭკნობისაგან.“

რა ესე სიტყვა მოაბად ისმინა დედისაგანა,
მაშინვე ძმის სიძულვილი გადაუვარდა სხვაგანა,
ის, რასაც ის იზრახვიდა, განაძო მთლად გან და განა,
ძმისა დანდობა თქმულია ჭკვიანთა ყოველთაგანა.

ნახ. ლადო გუდიაშვილისა

მაგრა ვისსა და ვიროსა მისი რისხვა კი ეწია,
პირყვითლად გამწარებულსა სიტყვა არ დაუხვეწია,
ვიროს მისწერა, ლამისა ქალალდი დაუფხრეწია,
კალამი ვითა ხმალია, არ რტო და არ კეწერია.

ეგრე მისწერა: „ – რად არ სთქვი ჩემი უმაღლესობანი,
რომ გსურს უფროსად მიხილო, გქონდეს ამისა ცნობანი,
მაგ შენსა უკეთურებას შენივ სისხლით თუ მობანი,
არვის სმენია ჩემებრი ხელმწიფის აგრე გმობანი.

ნეტავ ვისი გაქვს იმედი, ვინ არის შენი ზურგია?
ჭირში ვინა გყავს მეშველი, როცა თავად ხარ ურგია?
ეგრე რომ მედიდგულები, ჭკვა შენთვის ვის გადურგია?
ვინ გაგულოვნებს, რომ თავი გგონია თვით სიმურგია?

ლომობას მელა რომ ჰხლამობ, ვინ მოგცა ძალა მაგისი?
აწ ნამდვილ ლომს ჩაუვარდი, კერძი ხარ მეფის შმაგისი,
კანჯარს მოგიგრეხს კისერსა, ხმაც ვერ ამოგხდეს ბაგისი,
მუდამჟამს ვითარც ყოფილა, იქნება ნიადაგ ისი.

ვისი და არის შენი და თუმცა კი ჩემი ცოლია,
მითხარი გვერდით რად გიზის, რა ჭკუამ აგიყოლია?
ქალს ორი ქმარი ჰყოლოდეს თავის გვერდითა მწოლია–
ნეტავ თუ სადმე გსმენია, ან ვინმეს მოუყოლია?

გინახავს ერთი ბეწვითა დაბმული ორი პილონი?
მე არ მინახავს! რად გავხდეთ ქვეყნისა სასაცილონი,
რამდენი მხარე დაგიპყრავს შენად სხვისისა წილონი,
ან ასაბია დიდძალი თუ გივის ვით ღვდელს ფილონი.

რომ აგრე დიდად გულოვნობ, ქიშპობა მოგსურვებია,
თავსა რომ იქებ, კვეხულობ – ნამდვილად გამკვირვებია,
არც ვინმე მეფე შეგიპყრავს, არც მისი სრა-კარვებია,
არცა ვინ ტყვედ წამოგისხამს, არვისთან გაგმარჯვებია.

არც ვის უქიხარ და შენზეც კარგი არვისგან მსმენია,
როს ამაღლების ჟამი დგას, როს გზას გიკაფავს ზენია –
თქვენ ჩალმა დახრით თქვენს თავსა – ეს თქვენი გვარის სენია,
ვითარცა ჯორსა სჩვევია: არც ვირი, არც ხო ცხენია,

როცა ჰკითხავენ მამასა, ის დედას თვისსა ახსენებს,
სხვას ვერას იტყვის შენზედა იგი, ვინაც კი გახსენებს,
შენს მშვილდოსნობას ომს შიგა ვერავინ ვერ მომახსენებს,
ცხენოსნად ვარგხარ ასპარეზს, ომს ყოფნას ვის გამახსენებს.

ვირე დიაცთა ახლავხარ – ეცდები ჭაბუკობასა,
გარნა თუ ომსა შთავარდი – ვინ იტყვის შენსა მკობასა,
შენი საქმეა დიაცის გამოეკერო ქობასა,
ბრძოლასა თავი არიდო, გაექცე მტრისა ხმობასა.

მაჰის ქვეყანას რომ ლომობ, რად სხვაგან არ იქმ ლომობას,
სხვაგან მელიაც შეგიპყრობს, რამეთუ ვერ იქმ ომობას,

→

გერჩივნოს არ გადუხვიო ჩემი შიშისა ნდომობას,
რომ ძალმიძს სულის ამოხდა ვინც შენებრ იწყებს ხტომობას.

ან იქნებ დაგვიწყებია ვითარ მოვყარე ლაშქარი
შენსა მაჰისა ქვეყანას, გადავუარე ვით ქარი,
ისრე რომ ჯერაც ვაგლახობს შენი გლეხი და ამქარი,
ისე აებნათ მათ თავგზა, რომ ქვა ჰგონიათ შაქარი.

გახსოვდეს: მკლავი და ხრმალი არ დამკარგვია ჯერეთა,
მით ჩემთა მტერთა ავხოცდი, იმდენს რომ ვერ აღწერეთა,
რა წაკითხავ ამა წიგნს, რომელიც მე მოგწერეთა,
მცირე ხანს რაიმე ფიქრი ლოდინად გაიჩერეთა.

მერმე კი ეს ჩემი ხრმალი, ამ დღეთგან მოშიებული,
გესტუმრება ვით სიკვდილი დიდი ხნის დავიწყებული.
შენი ქადილიც მასმია მოახლეთ შორის ქებული,
გითქვამს: უგრძნობლად დამესხა მოაბად განრისხებული.

ღაფლად რომ არ ვყოფილიყავ მე ვძლევდი უეჭველადო,
აწ ხომ აღარ ხარ ღაფალი, რად არ იქეცი მგელადო,
მე კი გაცნობებ: მოვდივარ შენსკენ მთითა თუ ველადო,
საომრად გამოვმართულვარ, ვერ მოგეპყრობი ქველადო.

სჯობს რომ ლაშქარი შეყარო, გამართო საგუშაგონი,
თუმც ვიცი ომის ყიჟინას შენ მაინც ვერ გამაგონი,
გამაგრდი ასაბიითა, გვერდთ მოიყენე შმაგონი,
ემზადე ჩემთან საომრად, არ ვართ ჩვენ ამხანაგონი.

რაც უნდ მელოდო – დაგასწრებ, განვაქრევ შენსა ჯარებსა,
დავეუფლები საჭურჭლეს რაც უნდ ჰკეტავდე კარებსა,
იავარ გიქმი შენცა და ციხესა თუნდ უკარებსა,
წამში ამოვჟლეტ შენს ლაშქარს, ხელს ვერვინ დამაკარებსა.

არ გეგონოს რომ გადარჩე, გაიქცე შენებურადა,
საითმე გარდაიხვეწო, რათა გადიქცე შურადა,
ქვეყანას სისხლში ვაბანებ, ტყვეებს დავყიდი ფლურადა,
ისე ვამწარებ ვისისა, რომ სულ იღმუვლოს მგლურადა.

გარეთ გამოვსვავ უზენწროდ, ლაშქარს ვაცორვებ ფეხითა,
ესრეთა მას მოვაყივნებ – ველარა თქვას რა კვეხითა,
ისრე გავხდი რომ ზეცასა სთხოვდეს სიკვდილსა მეხითა,
უმეტეს მტრობას ვინ უზამს, დარჩება თითთა გრეხითა.“

ეს წიგნი მისცა შიკრიკსა და გაუგზავნა ვიროსა,
ფიქრობს: „– რა ამას მიიღებს სჯობს გული გაიგმიროსა“,
შეჰყარა ერთობ ლაშქარი, ვინც ნახავს – გაიკვიროსა,
ზღვისა ქვიშისა ოდენი, ვერავინ იტყვის ძვიროსა.

ვინც იხილავდა იტყოდა, ესე ჯეონი მივაო,
ვინაც მას წინ გადაუდგა – ერთ წამში მთლად იძლივაო,
ლაშქრის შიშითა ზეციდან ერთობ მასკვლავი ცვივაო,
ღრუბელი მალავს ცისკარსა, ვით ნემსსა მალავს თივაო.

ამხედრდნენ ესრეთ ჭაბუკნი ლომთაებრ სისხლის მსმელნია,
შიკრიკსა უკან მისდევდეს, გზები გადანვლეს გრძელნია,
ვით ქარი, მიაქროლებდნენ ტაიჭებს უძლეველნია,
გადაიარეს მინდორნი, მთანი, დაბლობნი, ველნია.

მიართვა წიგნი ვიროსა ფაიქმა მოაბადისა,
რა წაიკითხა – შეშინდა, ლამის კლდეზედა ადისა,
გადმოვარდნასა აპირობს, სიცოცხლე აღარ სწადისა,
თვალთგან სინათლე წაერთვა, ვერცა ზის, ვერცა დადისა.

ეგრე თქვა: „–რად გამწყრომია, რად მითხრა დანაქადები,
რა დავუშავე, რა ვუთხარ, გულში რა მქონდა ნადები,
ჩემი და მისი ცოლია, ის არის მისი წადები,
დარბაზში მისსა ბრძანებას ისმენდა დაუცადები.

განა მოაბად არ იყო რომ გამოაძო სახლიდა?
ზამთრისა დღესა ხელი ჰკრა, ლამის თავს კედელს ახლიდა,
იგი გვცემს, იგივე ტირის, ბრძანებს ვიცხოვროთ ახლიდა,
უსამართლობა მისგან გვჭირს, ვით ვიყოთ მის მოახლიდა?

ჩემი და, ეგრე რჩეული, განაგდო მესისხლესავით,
უპატიოდ და უზნეოდ, დასწვა, დანაცრა ხესავით,
გალანძღა, სწყევლა, დასაჯა ვინმე უგუნურ ტყვესავით,
ერთი წიგნით არ იკითხა, ჩუმად არს ქვისა ტყესავით.

შაჰინშა არც ხომ ქვისაა და არცა არის რვალისა?
რად უნდა ესრეთ ქადილი, მრისხანე მზერა თვალისა?
ერთხელ ხომ მნახა ლაშქრითა, ვიყავ არმრევი კვალისა,
მაშინ ხომ მოვეწონე და არც იყო მდები ვალისა.

მახსოვს წავიდა აქაით ის დია გაწბილებული,
ჩვენ ომი არ დაგვიმალავს, ბრძოლაცა გვქონდა ქებული,
თავის ქვეყანას მიადგა, გარდახვეწილი, ვნებული,
აწ რად თხოულობს ფერებას – ვარ დია გაკვირვებული.

იგი თუ დაობს, უწყოდეს მე არ ვარ მისი მოდაო,
მას თუ ბრძოლა სურს – მე არა, ვერ ვებრძვი, ვერ დავკოდაო,
ის, რასაც სჩადის მოაბად ძველად ანდაზად მსმოდაო:
ორს კაცსა ერთ გატეხილის მშვილდისა ეშინოდაო“.

მერმე მისწერა პასუხი წიგნისა მან პირიანი:
„ – დიდო ხელმწიფევ, მაღალო, პირს აგიყვავდეს იანი,
ნებიერო და მებრძოლო, სიტყვა გაქვს მაღალხმიანი,
რად აგრე ავად მოგვმართე, რა შეგამთხვიეთ ზიანი?

დიდი ხელმწიფე ბრძანდები, რისთვის ხარ დაღრეჯილია?
მბრძანებლად შენ მოგვევლინე, მეფობა შენი ტკბილია,
დია შეგფერის წყნარ იყო, არად განიფრთხო ძილია,
მეცნიერსაცა გიწოდებ, კიდეც ხარ გამოცდილია.

რათგან პატრონი ბრძანდები, უნივთოს ბრძანებ ნურასა,
მეცნიერს არ ეკადრების სიცრუით ჰგავდეს ტურასა,
მოსამართლეცა ხამს იყო, სიბრძნის არ ღვრიდე სურასა,
შენი იქნება სახელი, ოქრო, ვერცხლი და მურასა.

ჩვენს შორის მტრობა არა ხამს, შენც უწყი – უპირულია,
რამეთუ ერთად მოყვრობა და მტრობა არ არს სრულია,
ბედითად უბნობთ, გვაგინებთ, ვართ თქვენგან დაისრულია,
ჩვენ მსგავსს ვერ გკადრებთ, იქნება ეგ ჩვენი დასასრულია.

თავად გააძე ცოლი და აწ სხვას აბრალებ რაზედა,
არცა წიგნია საჭირო, ომიც გსურს რად ამაზედა,

აჰა, შენ ეს შენი ცოლი, წაიყვა თუნდაც მთაზედა,
მხოლოდ მიბრძანე და შენთან მოვიყვან ერთ წამაზედა.

რა აქ მოსულა, ღმერთს ვფიცავ, მინახავს მხოლოდ სამჯერა,
გინდაც მენახოს – რას კვიროობ, და ძმისა არის დამჯერა,
რა მოხდა თუ შენი ცოლი გვერდით დამიჯდა ამჯერა,
ყოვლის კეთილის სიტყვითა კარგს ზრახვას მან მე მაჯერა.

თუ ავსა რასმე მეეჭვი, თავადაც კარგა იცია,
უსამართლობის აროდეს მე ეჭვი არ მომიცია,
ამასვე იტყვის ვისიცა, არც მას სჭირდება ფიცია,
თუ რამე გვქონდეს ღალატი დე გულს ლახვარი გიცია.

აწ გეტყვი ჩემსა ამბავსა, ჩემს ყოფას მე მოგიყვები,
ამ წიგნიდან სჩანს რომ სიტყვას შენ გასმინავდნენ ბრიყვები,
ბრჭისას მისულხარ, რომლისა ნათქვამს შენ ბრმადა მიყვები,
რაც მოგიწერავს იმგვარად არცა ვარ, არცა ვიყვები.

ოდეს შევებით იმ ბრძოლად – შენ გამარჯვებას იქადი,
მე ვარო გამარჯვებული, ამაყად დაიბრიქადი,
ძლეული ხარო, გაიქეც, სადაც გიბრძანებ – იქ ადი,
აწცა რომ კიდევ ვიბრძოლოთ გადაგეცლება სიქადი.

გითქვამს მკლავიც მაქვს, ხმალიცა, რომლით მიწისგან პირისა
მე ჩემი მტერი აღვხოცე და იგი დღემდე ტირისა,
თუ შენი ხმალი ბასრია – არცა ჩემია წკირისა,
და ჩემი მტერიც, უწყოდე, დღემდეც უღონოდ ყვირისა.

თუ მუზარადს სჭრის, ჯაჭვსაცა გაკვეთავს შენი ხმალია,
ჩემი ქვასაც კვეთს, გრდემლსაცა დარჩება მისი კვალია,
მექადნი ვითომ მაშინებ, ვითომ მე მიკანკალია,
ხომ გახსოვს ჩემი რისხვაო?– გგონავ მე ბუზი, მკალია.

მაშ ნახე ჩემი ნაკრავი, არა სიზმარში, ცხადშია,
და მერე თუნდ შემეჯიბრე კვეხნას და დანაქადშია,
მე ქებას ანდა ძაგებას არ ვლამობ ჩემსა წადშია,
შენ ერთ წამს იტყვი ორივეს, მე არცა წელიწადშია.

თუ ამ წიგნს შენსა ლაშქარსა წაუკითხავ და გაიგებს,
უწყოდე ბევრსა აუგსა ის შენსას თვალწინ აიგებს,
თუ ზოგსა მოეწონების, ზოგი მას ფეხქვეშ გაიგებს,
ბევრი ხმალს აღმოიწვდის და უსისხლოდ აღარ ჩაიგებს.

იმასაც მწერ რომ შენს მამას შენივე დედა სჯობდაო,
გვარეულობით, სისხლითა ყველა მას შეამკობდაო,
გეტყვი, კაცისა გვარი ხომ, თუ ტყვილად არ დაობდაო,
არის მკლავი და ბიჭობა, როს ომში ის ლაღობდაო.

ოდეს მამაცსა უპყრია ხელთა ხმალი და შუბია,
ლახტსა გადაჰკრავს მოქიშპეს და ბედაურიც უბია,
მაშინ არავინ დაეძებს ვინ ვისი არის ტყუბია,
მის გვარს არავინ ჰკითხულობს, არ სურთ ამაზე ჩხუბია.

თუ შევიყრებით ომს შიგან, მე გვარი გამოვაჩინო,
არა ენითა – საქმით ვქნა სამამაცო და საჩინო,
ხომ არ გგონია გაგექცე ანდა ვიუჩინ-მაჩინო,
და ჩემი ჯაჭვის პერანგი უბრძოლოდ დაგაჩაჩინო.

ერთსა დანგადაც არა ღირს ენისა სიმახვილენი,
ოდეს შეებნეს ერთმანეთს ჭაბუკნი მტერ- მეწყვილენი,
მაშინ რად მგამა ვის გვარის არიან ის მეცილენი,
შევებრძოლებით, ავკაფავთ, ერთმანეთს ავეზილენი.

გირჩევ, რომ თავი ანებო აგრე საუბარს, ქადილსა,
უხმო შენს ჭაბუკობასა – თუ გრძნობ ამისსა ნადილსა.
მე დაგაბეზერებ მკლავს და ხმალს, და სასიკვდილო სადილსა,
ძლევას კი ღმერთი ახიჭებს მისგანვე დანაბადილსა“.

ესე რა წიგნი დაწერა, იმავ ფარადის ხელითა
უკუუგზავნა მოაბადს პასუხებითა ძნელითა,
შაჰსა ეგონა ჰპოებდა სიტყვებს ცეცხლითა ცხელითა,
თვალსა ავლებდა ჯერ ჩქარა, მერმე კითხვითა ნელითა.

ეჭვობდა ვიროს სათქმელი ეწერებოდა მწარენი,
გარნა რა სრულად იკითხა, ინანა თავის მცდარენი,
თავისი დია სიკუშტე, გაბრაზებანი მდარენი,
სხვა კაცსა ჰგზავნის ვიროსთან, მალიად განვლოს მხარენი,

მას დააბარა – გადასცეს უკვე სიტყვები ქებისა:
„– არა ვიცოდი სიმართლე, აწ კარგად მესმინებისა,
ავად გასმინეს შენ ჩემთან, ზოგჯერ ეგრეცა ხდებისა,
თურე გიხსნივარ ჭირთაგან, კაცს რა არ გარდახდებისა.

აწ მტერობისა რახსისგან უკვე ვარ გარდახდომილი,
სიყვარულისა ბედაურს ვზივარ სხვათაგან ცთომილი,
მნებავს გესტუმრო ერთსა თვეს, რომ არ მყვე შენ შეკრთომილი,
ვითა მოყვარე მზახალსა შემხვდი მასპინძლად ხდომილი.

შენსა დარბაზს და წალკოტსა გეწვევი სანახავადა,
მერმე მე ვიყო მასპინძლად, გინდაც შევიქნე ავადა,
თუ კვლავაც მდურვას დაიწყებ – გაბედვით მითხარ თავადა,
ყველამ ინანა, სტუმრობა ვინაც კი გადაავადა.

ვისიცა წამოიტანე, იგი ხომ ჩემი სულია,
შენ ძმა ხარ ჩემი რჩეული, თვით ზეცით ჩამოსულია,
შაჰრო მე დედად მეკუთვნის – ეს ჩემგან დაფიცულია,
თუცა ვემტყუნო ჩემს სიტყვებს – მოდი, დამკარი ცულია“.

ესე საამო წიგნითა შიკრიკმა შაჰროს მიმართა,
დიდი ძღვენიცა მიართვა ვისსა და მის ძმას მღიმართა,
მტერობის ეშმა გაიქცა, ძველებურ ვერ აღიმართა,
აყვავდა სიყვარულისა ვარდი ვით ჟამს ნაწვიმართა.

ყოვლი მტერობა განქარდა, ჩანს სხივი სიხარულისა,
ვისი კვლა დასვეს დედოფლად მსგავსი მზის სხივის სრულისა,
კვლა შეავედრეს შაჰს, აწ კი არ მქადნებს სიტყვის მტრულისა,
იდგა დროება კაცთათვის ქიშპობის აღსასრულისა.

სიმართლეა რომ ქორწილი მათ ახლა გადაიხადეს,
მუნ ინადირეს, ცხოვრება სამოთხედ მათ გაიხადეს,
დიაცთ რიდისა პირბადე სიამით მთლად აიხადეს,
ვითარც არაყი, კეკლუცთგან კაცთ ტრფობა გამოიხადეს.

იასპარეზეს ყოველთა, იყვნენ სმა- შექცევაშია,
მერმე ხორასანს მიმართეს, მცირე ჟამს დაჰყვეს გზაშია,
მარავს ქალაქსა მივიდეს, მასკვლავნი ჩანდნენ ცაშია,
მხიარულობდნენ, იმღერდნენ ერთსა თუ მრავალხმაშია.

პოეტურად გარდაქმნა ***ანზორ სიფრაშვილმა***

(გაგრძელება იქნება)

სამეფო სახლის წევრების გადასახლება რუსეთში

◀ დასაწყისი გვ. 1

ნაცხადა და თავისი ერთგული 115 ქართველითა და ლეკთა მცირე რაზმით უკეთეს დროს დაელოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი რუსთა წინააღმდეგ ჯარით დახმარების სათხოვნელად თეირანში აპირებდა გამგზავრებას. ციციანოვი დარწმუნებული იყო, რომ ირანი ბატონიშვილს არ დაეხმარებოდა, მაგრამ მას ძალზე აფიქრებდა ის, რომ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები დიდი იმედით ელოდებოდნენ 1803 წლის 10 მარტს. ციციანოვის ეჭვი გააძლიერა იმანაც, რომ დავით ბატონიშვილმა რუსეთში გამგზავრებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ გამგზავრება 1803 წლის მარტის ბოლოსათვის გადადო. ციციანოვმა მოვლენების განვითარებას დაასწრო და 1803 წლის 19 თებერვალს დავით და ვახტანგ ბატონიშვილები თბილისიდან რუსეთში გაგზავნა. ბატონიშვილების ვლადიკავკაზის სიმაგრემდე გაცილება გენერალ **ივან ლაზარევს** დაევალა. ვლადიკავკაზში ლაზარევს ბატონიშვილები მოზდოკის კომენდატ **პროტოპოპოვისათვის** უნდა ჩაებარებინა, რომელიც მათ მოზდოკამდე მიაცილებდა.

დავით და ვახტანგ ბატონიშვილების შემდეგ რუსეთში გადაასახლეს ერეკლე II-ის უფროსი შვილის, ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილი ვახტანგის („ვახტანგ კარგის“) ქვრივი **ქეთევანი** (ერთი ცნობით ყაფლანიშვილი, მეორე ცნობით მხეიძე – ვ. გ). ქეთევანს დაენიშნა ქვრივის სარგო თვეში 150 მანეთი. დავით და ვახტანგ ბატონიშვილების რუსეთში გადასახლებამ ძალზე ცუდად იმოქმედა სამეფო სახლის განწყობილებაზე. 1803 წლის 27 თებერვალს დარეჯან დედოფალმა რუსეთის იმპერიის დედოფალთან იჩივლა. ციციანოვმა პირადად ინახულა დარეჯან დედოფალი და დარწმუნდა, რომ მისი თბილისიდან გამგზავრების კონკრეტული დრო ვერ დაინიშნებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. 1803 წლის 25 თებერვალს თბილისიდან გაქცევა მოახერხა **ბატონიშვილმა თეიმურაზ გიორგის ძემ**, რომელმაც თბილისში დატოვა მეუღლე. 1803 წლის 26 თებერვალს ციციანოვმა პროკლამაცია გაავრცელა, რომლის მიზანი რუსეთში დავით და ვახტანგ ბატონიშვილების გასახლებითა და თბილისიდან თეიმურაზ ბატონიშვილის გაქცევით აღელვებული მოსახლეობის დამშვიდება იყო. იმავდროულად საქართველოს მთავარმართებელმა თეიმურაზ ბატონიშვილის ძებნა გამოაცხადა.

ბატონიშვილი იულონ ერეკლეს ძე წარმოშობით ქართველი პაველ ციციანოვის საქართველოს მთავარსარდლად დანიშვნას მიესალმა და მას კნორინგის უკანონო ქმედებების შესახებ საჩივარიც მიართვა. ბატონიშვილს სამეფოს აღდგენის იმედიც კი მიეცა. 1803 წლის 16 თებერვალს იულონ ბატონიშვილმა ციციანოვს წერილი გაუგზავნა და ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცებაში შემწეობა სთხოვა. მაგრამ 1803 წლის თებერვალ-მარტში თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა ქუთაისში მყოფი იულონ ბატონიშვილი დაარწმუნა, რომ იგი ქართლ-კახეთის მეფე ვეღარასდროს გახდებოდა. ციციანოვი ცდილობდა იულონ ბატონიშვილზე გავლენა მისი მეუღლის მეშვეობით მოეხდინა. წარუმატებელი აღმოჩნდა ციციანოვის დავალებით თავად დავით აბაშიძის ვიზიტები ქუთაისში. იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილებს თბილისში დაბრუნებას ურჩევდნენ ქუთათელი მიტროპოლიტი **დოსითეოზი (წერეთელი)**, სახლთუხუცესი თავადი **ზურაბ წერეთელი**, თავადები **ქაიხოსრო წერეთელი, გიორგი წულუკიძე, დავით წულუკიძე** და სხვები. ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები თბილისში არ ბრუნდებოდნენ.

მარიამ დედოფლისა და მისი შვილების გადასახლება რუსეთში. გენერალ ივან ლაზარევის მკვლელობა.

1803 წლის აპრილში გიორგი XII-ის ქვრივმა **დედოფალმა მარიამმა** თბილისიდან თიანეთში გადასვლა გადაწყვიტა. იგი ვარაუდობდა, რომ თიანეთში ორი თვე დარჩებოდა. დედოფლის თიანეთში გამგზავრების ოფიციალური მიზეზი ლაშარისა და გუდანის ჯვრების მოლოცვა იყო. სინამდვილეში, დედოფალს სურდა, როგორმე თავიდან აეცილებინა რუსეთში გადასახლება. მარიამ დედოფალი თიანეთიდანვე აპირებდა რუსეთის იმპერატორისათვის მისი საქართველოში დატოვების შესახებ თხოვნის გაგზავნას. დედოფალმა თიანეთის მოურავ **დავით ჩოლოყაშვილს** წერილი გაუგზავნა, მასში აღნიშნული იყო, რომ მოურავი ჯილდოდ 1.000 მანეთს მიიღებდა თუ თბილისიდან გასვლის შემდეგ მის შესახედრად, რაც შეიძლება, დიდ რაზმს გამოგზავნიდა. დედოფალი რაზმის თითოეულ წევრს ფულად ჯილდოს ჰპირდებოდა. დავით ჩოლოყაშვილთან წერილი აზნაურმა **ზურაბ ივანგულაშვილმა** წაიღო. აზნაური შეშინდა, წერილი დაწვა, დედოფალს კი მოახსენა, რომ დავით ჩოლოყაშვილმა თიანეთში თქვენს მიღებაზე უარი განაცხადაო. დედოფალს ივანგულაშვილის ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა, ამიტომ მასვე დაავალა, თიანეთის ათი-თორმეტი სოფლის მამასახლისთან მოლაპარაკება, რათა მათ დედოფლისათვის თავშესაფარი მოემზადებინათ. ივანგულაშვილმა ამჯერადაც იცრუა და დედოფალს მოახსენა, რომ მამასახლისებმაც დახმარებაზე უარი თქვესო. 1803 წლის 16 აპრილს დედოფალმა ივანგულაშვილს გაანდო, რომ ხევსურეთში გადაწყვიტა გაქცევა და დაავალა, ოთხი ცხენი მოემზადებინა, რადგან შვიდი ცხენი მას უკვე მზად ჰყავდა, ხოლო ექვსს თავადი **ასლან ორბელიანი** მოუყვანდა. დედოფლის ერთგულმა ამალის წევრებმა, როგორც ჩანს, ივანგულაშვილში ეჭვი შეიტანეს, რის გამოც მას მარიამ დედოფლის ერთგულებაზე დაფიცება მოსთხოვეს. მოღალატემ ფიცი დადო. დაფიცების შემდეგ ზურაბ ივანგულაშვილს დედოფალმა ძმასთან, **დავით ციციშვილთან,** წერილი გაატანა და თანაც სახარჯოდ 600 მანეთი მისცა. მარიამ დედოფალი ძმას სწერდა, რომ ივანგულაშვილს ყველა თხოვნა შეესრულებინა. ამ უკანასკნელს დავით ციციშვილისათვის სიტყვიერად უნდა გადაეცა, რომ მას დის გასაცილებლად, რაც შეიძლება, დიდი რაზმი გამოეყო, ხოლო თავად სურამში დახვედროდა. როგორც ჩანს, დედოფალმა ხევსურეთში გამგზავრების გეგმა შეცვალა. 1803 წლის 17 აპრილს მარიამ დედოფალმა მასთან დაახლოებულ მანსუროვს უბრძანა, რომ თბილისიდან გასასვლელად ცხენები მოემზადებინა. მანსუროვმა დედოფალს მოახსენა, რომ ცხენები უკვე განჯის კართან ჰყავდა მზად. დედოფალმა მას უბრძანა, რომ ცხენები განჯის კარიდან ავლაბრის კართან გადაეყვანა. მოულოდნელად მანსუროვთან გამოცხადდა ცხენების მწყემსი ბიჭი და აცნობა, რომ განჯის კართან მდგარი ყარაული ცხენების ქალაქში შემოყვანის უფლებას არ იძლეოდა. ცხადი გახდა, რომ დედოფლის განზრახვა რუსებისათვის უკვე ცნობილი იყო. მანსუროვმა ივანგულაშვილს უთხრა: *„წადი ახლა და იმ ძაღლიშვილს უთხა-*

გაგრძელება გვ.12 ▶



ახლახან გამომცემლობა „მერიდიანმა“ დასტამბა ენათმეცნიერ გიორგი გოგოლაშვილისა და მწერალ თამაზ ხმალაძის წიგნი „პერსონაჟს სახელი ამშვენებს“ (დიალოგური ნოველები); წიგნს ერთვის რედაქტორის, მწერალ როსტომ ჩხეიძის, საინტერესო და მრავლისმთქმელი წინასიტყვა („მზით ნაფიცხი სიტყვების კვალდაკვალ“).

ფაქტობრივ ეს არის მკითხველისა (გ. გოგოლაშვილის) და მწერლის (თ. ხმალაძის) საუბრები თამაზ ხმალაძის შემოქმედებიდან აღძრული საკითხების შესახებ. „მკითხველი“



ცდილობს ღრმად ჩაგვახედოს მწერლის შემოქმედებით სამყაროში; მწერლის სურვილია, განმარტოს, დააკმაყოფილოს „მკითხველის“ ინტერესი... საუბრის თემები გასცდება ხოლმე მსჯელობის საგნად ქცეული მწერლის შემოქმედებას და პრობლემები ფართო თვალთახედვით განიხილება...

თემები მრავალფეროვანია; ძირითადი აქცენტი ტრადიციებსა და ადათ-წესებზე კეთდება... წიგნში 14 „დიალოგური ნოველა“ არის დაბეჭდილი. გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.

დრო და დიალოგი

გიორგი გოგოლაშვილი – ქართულ ენათმეცნიერებაში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იყო კამათი, რომელია სწორი გამოთქმა – „ორი წლის წინ (წინათ)“ თუ „ორი წლის უკან“. დავა-კამათი პირველის სასარგებლოდ გადაწყდა – ტრადიციული ქართული გამოთქმაა „ორი წლის წინ“, ხოლო მეორე რუსული გამოთქმის – два года назад – კალკიაო...

თამაზ ხმალაძე – მახსოვს ეს კამათიც და ოთარ ჩხეიძის ჩანაწერიც – აღშფოთებული რომ წერდა ამის თაობაზე... საცოდავი ქართული ენა ამათ ხელშიო...

გ. გ. – დავიმოწმოთ ეს ჩანაწერი: „ახლა წერენ: **ორი კვირის უკან-ო!**“... და აღშფოთება მწერლისა: „ვერა ხვდებიან, რა უაზრობაა. **საცოდავი ქართული ენა!** წერენ და წარმოსთქვამენ ეს აკადემიკოსობის მაძიებლებიცა, აკადემიკოსებიცა, მინისტრებიცა, პარლამენტარებიცა, არ გაგიკვირდეთ რო მწერლებიცა. **საცოდავი ქართული... საცოდავი!**“

როგორც ჩანს, მოვლენას ამგვარად გაიაზრებდა ოთარ ჩხეიძე:

„ორი წლის წინათ“ – **ქართული ენობრივი აზროვნებაა...**

„ორი წლის უკან“ – **რუსული ენობრივი აზროვნებაა...**

თუ ქართველი ამბობს „ორი წლის უკან“, რუსული ენობრივი აზროვნებით ჩაანაცვლა ქართული...

აი, ამან აღაშფოთა მწერალი! აი, ამიტომაა „საცოდავი ქართული“ იმათ ხელში, ვინც ამას ამბობს...

რეაქცია გამოხატა, მაგრამ არ ახსნა მოვლენა; არ განმარტა – რატომაა საცოდავი... გასაგებია: ჩანაწერს რომ თავისთვის აკეთებს... არდასავიწყებლად... ემოციების „შესანახავად“... აი, მემუარებში თუ გადაიტანდა, გაიშლებოდა“.

თ. ხ. – ქართული ენობრივი აზროვნება... საინტერესო ახსნაა... ასე ვგრძნობდით და ასე ვხედავდით...

გ. გ. – თამაზ, შენც და შენი პერსონაჟებიც დროს მხოლოდ ასე აღიქვამთ. რამდენიმე ფრაგმენტს ცოტა აღმართდაღმართი აგვიელჩაგვიელია? განა ცოტა უღელტეხილი გვაქვს გადავლილი? განა ცოტა ჭაობსა და უდაბნოს გამოვაღწიეთ?

აბა რით გინდა შეიცნო და რამე გაუგო ამ მრავალწახნაგოვან და მრავალფერად დროს, რა საწყაოთი, რა საზომით შეძლებ მისთვის ალღოს ართმევას? აი, თუნდაც ერთი თვალსაჩინო და უმარტივესი მაგალითი უმეტესობას რომ საკუთრივ გამოგვიცდია: სატრფოს მოლოდინში ძლივს გაღოღებული ერთი საათი და მერე სატრფოსთან ერთად გატარებული თვალსა და ხელს შუა გამქრალი მომდევნო ერთი საათის ხანგრძლივობა თანაბრად როგორ გინდა მიიჩნიო? ერთმანეთის ტოლია? ერთმანეთის ფარდია? ისიც ერთი საათია და ესეც?“ – კითხულობს შიო და ჯერჯერობით პასუხის გამცემი არავინ არის. არადა ამ კაი კაცს ნამდვილად აქვს ასეთი შეკითხვის უფლება. საინტერესოა, შენ თუ უპასუხებდი რამეს, გოგი, თუ

ბედისწერო რკალს – ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერი სულდგმულისას. მაგრამ ასევე არის ფსიქოლოგიური დროც – ჩვენ ამას აღვიქვამთ იმასთან მჭიდრო კავშირში, რასაც ვაკეთებთ ან რაც გაგვიკეთებია, და ის სავსებით სხვაგვარად მოქმედებს ჩვენს ემოციებზე...“ (თარგმანი სერგო წურწუმიასი).

მოდი, გავჩერდები, თორემ, როგორც ატყობ, გოგი, ეს ტექსტი ისეთი საინტერესოა, მთლიანადაც რომ გადმოვიწერო, არ მომბეზრდება, მაგრამ რაა, ვთქვათ და გადმოვიწერე კიდეც. დიდ რასმე სარგებელს ვნახავთ? ვაი რომ, დროის ამ ცამცუმის კოშკივით უკარფანჯრო ნაგებობაში ვერც ლიოსამ შეაღწია („უცხო მთაზე კოშკი ნახეს ანაგები ბროლის ქვისი, მოუარეს გარემურგვლავ, ვერ იპოვეს კარი მისი“). ამირანის მსგავსი კი, სამწუხაროდ, ჯერაც არავინ გამოჩენილა („სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა – მუხლი მგლისი, კოშკმა პირი იქ გააღო, იქ შეიბა კარი მისი“).

ჰოდა, რადგან ამ მიმართულებით ამირანის მსგავსი ვერავინა შვა კაცობრიობამ, ისევ ნაცად ხერხს მიმართა: „დაყავი და იბატონე!“ თავისი ჭკუით, დაანაკუწა, დაანაწევრა, დაამსხვრია დრო წარსულად, აწმყოდ, მომავლად... ათასწლეულებად, საუკუნეებად, წლად, საათებად, წუთებად, წამებად... სინათლის წელიწადაც კი... დაატყვევა, ჩაამწყვდია სილის, მზის, მაჯის, ჯიბის, კედლის... საათებში, მაგრამ შეძლო რამე? ვერაფერი! კვლავაც დრონი მეფობენ. ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, უნდა დაველოდოთ,,, („...დრო მოვალს, კარ გაიხსნება თავადა“).

გ. გ. – ალბათ გვეყოფა ეს ზოგადი მსჯელობა, თორემ ძალიან ავცდებით ჩვენს ძირითად სათქმელს და დროზე მოგვიწევს ერთი მოზრდილი წიგნის დაწერა. არც ეგ იქნება უინტერესო, მაგრამ ჩვენი მიზანი ამჯერად სხვა არის. ნუ ვისარგებლებთ ბოროტად მკითხველის გულმოწყალებით... მოდი, ისევ პირველსავე სიტყვასა ზედა მოვიდეთ და შენს ნაწერებს მივაკითხოთ. ისევ ამონარიდები დროის თემაზე:

„დრო, დრო – ყველას ბატონ-პატრონი, არვისთვის ანგარიშის გამწევი, უძლეველი, დაუმარცხებელი„;

„ჩემი წილი დრო მიდის, დრო მიდის, ჩემმა ბიჭობამაც აგერ უკვე ჩაიარა„;

„ქართველებს გვგონია, დროის მსვლელობას ავუწყვეთ ფეხი„;

„ჟამგადასული მუხის ძირას ორი დაზაფრული ლანდი გარინდებულა, როგორც საშველდაკარგული, მარადიული უძრაობის მცირე ნაწილი, წვეთი„;

„გადის და გადის და გადის დრო – მე რაა, მე კი ისევ წინდებსა ვქსოვ და ველოდები„;

„მოიხედავდი და გული გადაგიქანდებოდა: უკვე დამთავრებულიყო, ჩამარცვლულიყო, ჩაცლილიყო წელიწადი, თვალსა და ხელს შუა გაგსხლტომოდა, გაუჩინარებულიყო ეს მოუხელთებელი, შეუცნობელი და შეუღწეველი დ რ ო, რომელსაც ვერასოდეს დაიბრუნებდი“.

თ. ხ. – ამ დროს იტყვიან, „და სხვა მრავალიო“...

გ. გ. – რატომ ვამახვილებ ამ ფაქტზე ყურადღებას. ამის საფუძველზე თამაზ ხმალაძის შემოქმედებაში ორიგინალურად გაიაზრება **„შეუცნობელი და შეუღწეველი“ დროის რაობა...** ზოგადად დრო... რაც, ჩემთვის, გრამატიკოსისათვის, არაა მთლად იოლი გასააზრებელი. მე ტრადიციულად დროის სამწევრიან სისტემაზე ვსაუბრობდი, ვსწავლობდი და ვასწავლიდი. შენ და შენი გმირები სხვას მიმტკიცებთ. მოდი, მკითხველთან ერთად მივყვეთ მსჯელობას... ოღონდ ასე ვქნათ: თამაზ, შენი ნაწარმოებებიდან შემოვიყვან დიალოგში მოქმედ პირებს (ზოგჯერ შენი და ზოგჯერ შენი პერსონაჟების თვალსაზრისით); თუ არ დავეთანხმები შენს პერსონაჟს, მაშინ შენც ჩაერიე, – მედიალოგე თამაზ ხმალაძე.

თ. ხ. – კეთილი. ოღონდ იქამდე ერთს ვიტყვი. ხომ ვთქვით, რომ დრო ერთიანია, მთლიანია, არა? მაგრამ ქართველი კაცისათვის, ამასთან ერთად, ის **ერთი** არ არის, დრო მრავალი და მრავალსახოვანია. მას თითქმის ყოველთვის მრავლობით რიცხვში იხსენებს: „დროთა ვითარება“, „დროთა განმავლობაში“, „დრონი მეფობენ“, „ვაჰ, დრონი, დრონი“ და უამრავი სხვა... დროის წარმავლობას მივყვებით, ის გვაჩენს და გვსპობს. მარადიულობას

დავიმოწმებ სხვადასხვა ნაწარმოებიდან:

„რა საერთო მაქვს მე იმ დემნასთან, ამ **ათიოდე წლის წინ** აქ რომ სახლობდა“.

„ნულ პუნქტიდან გამოსული დრო თანაბარი ნაბიჯით გაუყვა უსასრულობისაკენ მიმავალ გზას“ („გზა“)....

– თამაზ, როგორ განმარტე, რა არის დრო?

თ. ხ. – დრო არის, ჩემო გიორგი, მატერიის არსებობის ძირითადი ფორმა სივრცესთან ერთად. იგი ობიექტურად არსებობს და განუყრელად არის დაკავშირებული მატერიის მოძრაობასთან...

გ. გ. – აჰ, აჰ, მოიცა, ეგრე არ გამოვა, წიგნებიდან ამოკითხული და დამახსოვრებული ახსნა არ მაკმაყოფილებს... მე მაინტერესებს მწერალ თამაზ ხმალაძის მიერ დანახული დრო, მაგალითად ისე, როგორც ერთგან ამბობ: **„დღე და ღამე, დღე და ღამე – დროის ღმერთის თვალის ფახული“**.

თ. ხ. – ჰო, ოღონდ ეგ მხოლოდ დედამიწელი დროის ღმერთის თვისებაა – ახამხამებს წამწამებს – დახუჭავს თვალებს, დაღამდება, გაახელს – გათენდება. სამყაროს დროის ღმერთს სულ სხვა თვისებები ახასიათებს. თუმცა, ვშიშობ, რომ ძალიან საშიშ თემას მივადექით, ხომ არა სჯობს, გაველიდოთ, გვერდი ავუაროთ? ნეტავი იმას, ვინც ამაზე ფიქრს არასოდეს შეუწუხებია. ალბათ გახსოვს, შიოს რომ ურჩევენ ექიმები: ეგეთ რამეზე ფიქრს მოერიდეო...

გ. გ. – შიო ხომ მაინც ფიქრობს...

თ. ხ. – ჰო, ფიქრობს.

გ. გ. – ჰოდა, ჩვენც ვიფიქროთ, ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ, ამით ვის რა წაუხდება?

თ. ხ. – კარგი, მიდი, მოგყვები.

გ. გ. – ხელახლა გკითხო?

თ. ხ. – აღარ გინდა, ამიყოლიე და ეგ არის. დრო რა არისო, მეკითხები. **დრო სამყაროს გულის ძგერაა, ფართქალი, ამ გულს ფეთქვით ესინჯება პულსი სამყაროს**... დროსივრცესთან დაკავშირებით ერთი ავტორის დაბრუნების მოლოდინით განაწვალებ მოთხრობაში ჩვენთვის კარგად ცნობილი შიო ამბობს: „სივრცე ჩვენთვის ადვილად აღსაქმელია, რადგან მხედველობის უნარი გვებოძა. ის კი არა, შეგვიძლია ხელითაც შევეხოთ, ბოლოს, კი ჩავეხუტოთ კიდეც. დროის აღქმის, ასე თუ ისე, სრულად აღქმის გრძნობა კი ძალიან ცოტას გააჩნია, თორემ აბა შინაგანი მხედველობით გავხედოთ ჩვენთვის განკუთვნილ დროს: განა ამჯერად ამისი დრო არ არის?

გ. გ. – მე მოსმენა მირჩევნია...

თ. ხ. – დროის შესახებ ბევრიც წამიკითხავს და ბევრიც მიფიქრია, გარკვევით კი ცოტა რამე თუ გამირკვევია. შეიძლება ვინმემ (მათ შორის შენც) თქვას, რომ ეგ ჩემი პრობლემაა და არა დროისა, მაგრამ სხვები? სხვებიც რომ ჩემს მდგომარეობაში არიან?

ბოლო ხანებში რაც წამიკითხავს, ალბათ მათ შორის გამორჩეულად საინტერესო მარიო ვარგას ლოსას ესეა – „წერილები ახალგაზრდა რომანისტს“ – კერძოდ კი, მისი მეექვსე თავი – „დრო“.

ერთ ფრაგმენტს მოვიყვან ამ ესედან:

„...ვგულისხმობ რეალურ დროს (რომელსაც ჩვენ, პლეონაზმის შიშის გარეშე, ვუწოდებთ ქრონოლოგიურს და რომელშიც ყველანი ვცხოვრობთ – მკითხველიც, რომანების ავტორებიც) მიამიტურ გაიგივებას ნაწარმოების დროსთან, ანუ დროისა – ან მისი მდინარებისა – საკუთარი არსით რომ განსხვავდება რეალურისაგან, უფრო სწორად, იმგვარადვე გამოგონილისა, როგორებიც არის მას დაქვემდებარებული მთხრობელი და გმირი არიან. დროით პერსპექტივას, ისევე, როგორც სივრცითს, ვიპოვით ნებისმიერ რომანში, და ის ფანტაზიის ნაყოფს, თუნდაც ხშირ შემთხვევაში ეს მას გაცნობიერებული არა ჰქონდეს. მთხრობელისა და სივრცის დარად. რომანის მოქმედების დრო – ასევე გამოგონილია, ერთი იმ ხერხთაგანი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ავტორს, გაათავისუფლოს – ან გამოჰყოს – თავისი ავტონომიურობა (წარმოსახვით). რაზეც არის, გავიმეორებ, დამოკიდებული მხატვრული დამაჯერებლობის ხერხი.

თუმცა დროის თემამ, რომელსაც ასე ახვევდა თავბრუს მრავალ ფილოსოფოსსა თუ მწერალს (სხვათა შორის, ბორხესსაც, რომელმაც ამას უამრავი ფანტაზია მიუძღვნა), წარმოშვა არაერთი თეორია, სავსებით სხვადასხვა და ხშირად შეუთავსებელიც, ეხლა უნდა შევაჯეროთ და მივიღოთ უკიდურეს შემთხვევაში ერთი მარტივი დაყოფა: არის დრო ქრონოლოგიური და დრო ფსიქოლოგიური. პირველი არსებობს ობიექტურად, ჩვენი სუბიექტური ნებისაგან დამოუკიდებლად, ის განისაზღვრება მნათობთა მოძრაობითა და პლანეტების ურთიერთმიმართებით. ეს დროს გვჯიჯგნის დაბადების მომენტიდან სიკვდილამდე და გამოსახავს ჩვენი ცხოვრების სარომ მივყვებოდეთ, ის გაგვაჩენდა და გაგვანადგურებდა. ერთ ჩემს ნაწარმოებში მაქვს: (მოკლედ ვიტყვი) – კაცობრიობამ მიაღწია იმ დონეს, რომ ადამიანები აღარც ბერდებოდნენ და აღარც იხოცებოდნენ, ამან, რა თქმა უნდა, გამრავლების შეწყვეტა გამოიწვია. რაღაცა ხანის გასვლის შემდეგ ხალხი აჯანყდა: აღარ გვინდა ასეთი ყოფა, ჩვენ ხომ ჩვენი შთამომავლების სიცოცხლის ხარჯზე ვცხოვრობთო...

ერთ ზაფხულს რაღაცა დროის განმავლობაში მე და ჩემს შვილიშვილს, გიორგის, მარტოდ მოგვიწია ყოფნა სიღნაღში. ოთხ-ხუთ თვეში გიორგი თოთხმეტი წლისა უნდა გამხდარიყო. ერთ გოგონას დაუმეგობრდა და საღამოობით ბულვარში სეირნობდნენ ხოლმე. ერთხელაც ნაღვლიანი დაბრუნდა: თინიკო ხვალ თბილისში მიდისო. მერე რაა, ათიოდე დღეში შენც ხომ წახვალმეთქი, დავამშვიდე. შემომხედა და არაფერი მითხრა. რაა, ხომ არ შეგიყვარდა-მეთქი, გავეხუმრე. პაპა, ვერა ხვდები, რომ სიყვარული აქ არაფერ შუაშია? მე სიყვარულზე ვდარდობ? წყენა დაეტყო ხმაში. მე ისევ ჩემი გავაგრძელე: გიორგი, ცხოვრება სიურპრიზებით არის სავსე, შენ თბილისი მართლა დიდი ქალაქი ხომ არა გგონია, ორივენი იქა ცხოვრობთ, აუცილებლად გადაეყრებით ერთმანეთს. შენ ისევ იმას იმეორებ, პაპა, ასჯერ რომ ვნახოთ მე და თინიკომ ერთმანეთი, ის ხომ აღარ იქნება, რაც აქ იყო. მე და შენი მარტოდ ყოფნა დღისით, მერე სიღნაღში ბინდის შემოსვლა, მერე მე და თინიკო, მერე ისევ მე და შენ. ეს ხომ აღარასოდეს განმეორდება, ასე ხომ აღარასოდეს იქნება! ნახავ შენ, უკეთესი დღეები მოვა-მეთქი, ეს რა არის, ჯერ სადა ხარ, ხელი მოვხვიე. ეჰ, ნეტავი შენ, პაპა, ეგეთი იმედიანი რომ ხარ, მითხრა და ნათქვამს ოხვრა ამოაყოლა.

გიორგი ბავშვობას ემშვიდობებოდა – დროის სვლას ტკივილად განიცდიდა.

იმ ღამეს ვეღარ დავიძინე. აი, ეს არის დროის ორი მთავარი თვისება: წარმავალობა და მარადიულობა – სცილა და ქარიბდა! ორი საშინელების შუაში ვართ მოქცეულები...

გ. გ. – კარგი, მოდი, ისევ მოთხრობებს დავუბრუნდეთ. შიოს ასე ალაპარაკებს ავტორი:

– „ჩვენ მხოლოდ სივრცეში კი არა ვცხოვრობთ სხვებთან ერთად, არამედ დროშიც, თანაც მხოლოდ აწმყო დროში კი არა, ანდა

→

სათონის კედლებით შემოსაზღვრულ სივრცეში. ეგ ძალიან დაწვრილმანება იქნებოდა, – თავის თავს უხსნის შიო, – სივრცეც განფენილია და დროც. და შეიძლება ისიც ითქვას: სივრცე უფრო სხეულის საცხოვრებელია, დრო კი – სულისა. ეს დედამიწა ეგრე რომ გადაშლილა და ამ წუთში მე ზედაშიანში ვარ, მამაჩემი – სიღნაღში, ვიღაც თბილისში, ვიღაც სხვა (ბარბარა?) სეგეჟაში – ისინი იქ და მე აქ – სივრცეში. ასევე ერთნაირად განფენილ დროში ვცხოვრობთ მეკიდობნე ნოე, ალექსანდრე მაკედონელი, შოთა რუსთაველი, ჩემი პაპისპაპა და მეც – ისინი იქ და მე აქ – **დროში**“ („ორი ზოლი“).

გ. გ. – ტრადიციული, სამწევრიანი სისტემის გააზრებით გაიზარდნენ მწერალი და მისი გმირებიც, მაგრამ სრულად ამოაყირავეს ეს ტრადიციული გაგება. ავტორმა წეღან შიოს გამოათქმევინა სერიოზული ვარაუდი ერთიანი დროის შესახებ...

ახლა დემნას მოვუსმინოთ („დროის მკვლელები“):

თ. ხ. – „ამქვეყნად მდგრადი და ხელჩასაჭიდი აღარაფერი ეჩვენებოდა – განსაკუთრებით, ეს სამ ართანაბარ ნაწილად დაკუწული, სამად დანაწევრებული დრო:

აწმყო არ არსებობდა, რადგან დადგომისთანავე წარსულში გადადიოდა – მეყსეულად, დაუხანებლად სხლტებოდა ხელიდან.

წარსული? – უკვე ჩავლილი იყო, გადამქრალი, ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა და, რასაკვირველია, ოდენ მოგონებებში შემონახულზეც ვერ იტყოდი, არსებობსო.

მყოფადზე ხომ ლაპარაკიც აღარ ღირდა. რაც ჯერ არ შობილა, არსებულად ვერც იმას ჩათვლი. მითუმეტეს, ხანა იდგა ისეთი, როცა თითქმის არაფერი იყო იმისი თავდები, რომ მომავალი უთუოდ დაიბადებოდა, როცა მთელი მსოფლიოს ყოფნაარყოფნის ბედი ერთ ვინმე პიროვნებასა და ერთ პატარა ღილაკზე ეკიდა მხოლოდ“.

გ. გ. – და იმართება შინაგანი კამათი – ავტორი და მისი პროტაგონისტი... წარმოდგენაც კი ძნელია იმისა, როდის მოხდა დროის დანაწევრება სამად... ათასწლეულების წინათ, მაგრამ ეს რა არგუმენტია?...

თ. ხ. – „გაჩენის დღიდან დროის ამოცნობას ცდილობდა კაცობრიობის გონი, იმას ებრძოდა, იმისი დამორჩილება სურდა, მაგრამ ამაოდ, აქამდე ვერაფერი დაეკლო, ვერაფერი მოეხერხებინა. დემნამდე დიდი ხნით ადრე ხომ დაეყოთ იგი წარსულად, აწმყოდ და მომავლად, ხომ დაენაკუწებინათ ათასწლეულებად, საუკუნეებად, ძველ და ახალ წელთაღრიცხვად, ვითომ ჩაემწყვდიათ საათებში, წუთებში, წამებში“...

გ. გ. – არა, ვერ დააჯერეს ავტორი და მისი პერსონაჟები ვერც ათასწლეულებმა, ვერც ფილოსოფოსებმა და ვერც გრამატიკოსებმა...

თ. ხ. – „არა, სისულელე იყო, მტკნარი სისულელე, დედამიწურ სამად დანაკუწებულ დროს დაყრდნობოდი და ნდობოდი, თუნდაც მარტო აქ, დედამიწაზე. რაც შეიძლება, უნდა გეგანა, გვერდზე გამდგარიყავი, მორიდებოდი. მაგრამ ბუნდოვანსა და შეუცნობელში რაიმე გარკვეულობის შეტანა არც დროის უარყოფით ხერხდებოდა, რადგან თუ ამას ირწმუნებდი, ისიც უნდა გეღიარებინა: ამქვეყნად სულ არაფერი ბოგინობს და ჭაჭანებსო, თვით ეს ქვეყანაც ჩრდილია მხოლოდო. ბურუსის გასაფანტავ სიოდ კი არც ეს გამოდგებოდა, ვერც ამას დაიჯერებდი გადაწყვეტილადა და დაბეჯითებულად, ვინაიდან ამის (ვინ იცის, როდისა და ვის მიერ მიგნებულის) კანონად დაგდება კიდევ უფრო დიდი სისულელე გამოდიოდა თუნდაც სულ მარტივი, მდაბიური შეკითხვის გამო: მაშ, აბა რა იყო ეს მაგიდა, სკამი, წიგნები, ბოლოს და ბოლოს, თვითონ დემნა? სხვისი ფანტაზია? ზმანება? ლანდი?

თუმცა“...

გ. გ. – ასე ფიქრობენ, ერთიანია, დაუნაწევრებელი და დაუნდობელი; „ნთქავს თავიანთი ოჯახების საიდუმლოს“ („ორი ზოლი“); „დროის ფეხქვეშ მოექცევა ბავშვობის ნაფეხურები“ („ამბავი ჩალამბარასი...“);

თ. ხ. – „დრომ გაწირა და მახსოვრობის ჯურღმულებში ჩატოვა ის, რაც უნდა გვახსოვდეს, არ უნდა დაგვევიწყებინა“ („დროის მკვლელები“)... და – „რაღა ბევრი გავაგრძელო, თავის ჭკუაზე გვაბზრიალებდა, რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა – თვალთმაქცობდა, მზაკვრობდა და გველაძუობდა, დამალაობს გვებურჭალებოდა – ხან სრულებით ვერა გრძნობდი, ვერ განიცდიდი, თითქოს სულაც არ არსებობსო, ხან კი ლოდივით დაგაწვებოდა და გსრესდა, განადგურებდა. ვერ გაიგებდი, როდის რას იზამდა, როდის როგორ მოგექცეოდა“ („დროის მკვლელები“).

გ. გ. – ჩვენ, ჩვენ როგორ ვიქცეოდით?

თ. ხ. – „ჩვენ კი იმასთან შედარებით სრულიად მიმნდობნი და უზაკველნი – უმეტესწილად თვალდახუჭულნი ვფიქრობდით: დ რ ო ს ა ვკლავთ, დ რ ო გაგვყავსო, დ რ ო ს ვატარებთო...

(მაშ, მოდი, ისევ ღვინითააააა, დ რ ო გავატაროთ ლხინითაააა...)

ჰა-ჰა-ჰა-ჰა, დ რ ო გაგვყავსო, დ რ ო ს ვატარებთო, დ რ ო ს ა ვკლავთო...

ჰოი, გულუბრყვილობავ! დ რ ო ს რომელი ამბრი და ამირანი მოერეოდა, ვინ დაამარცხებდა, ვინ იყო ამქვეყნად დ რ ო ს მომკვლელი და ხელის შემბრუნებელი?“

გ. გ. – აქ ძია კოლაც შემოგვაწევს სიტყვას:

თ. ხ. – „დროის მოკვლას სხვანაირად თუ ვერ მოვახერხებთ, სხვანაირად თუ ვერ ვუტირებთ დედას, თითო ჭიქა ეს წყალწყალა ღვინო მაინც დავლიოთ“ („დროის მკვლელები“).

გ. გ. – აი, ეს საფიქრალი კი თან სდევდა მუდამ.

თ. ხ. – „სად იყო, რა დროში, რა სივრცეში? („დროის მკვლელები“) და ცნობილი მხატვრის გამოხუნებული სურათის ასლიდან აკვიატებული სიტყვები:

– „საიდან მოვდივართ? ვინა ვართ? საით მივდივართ?“

გ. გ. – აი, ეს უპასუხო კითხვები სდევს თან დემნას... ამ კითხვებს გვიტოვებს ჩვენ ავტორი საფიქრალად:

თ. ხ. – „ერთთავად კიბეზე იჯდა და ავტობუსის ავლას ელოდა. გონებაში კი, სურდა თუ არა, კვლავინდებურად ის უპასუხო კითხვები უბრუნავდა:

საიდან მოვდივართ?

ვინა ვართ?

საით მივდივართ?

და კიდევ უფრო მწველი და მშანთავი, ყოველივე ამქვეყნიურის ფასის დამკარგავი:

რისთვის მოვდივართ?

რისთვისა ვართ?

რისთვის მივდივართ?“

გ. გ. – თამაზ, ამ ჩვენს ნოველაში ჩემი მიზანი არ იყო დროის პრობლემებზე მსჯელობა. ფაქტობრივ, ამ მხრივ არც ჩავრეულვარ საუბარში. შევეცადე შენი და შენი პერსონაჟების აზრი გამეცნო მკითხველისათვის ამ თვალსაზრისით. ჩემი მიზანი იყო, მკითხველი დამეფიქრებინა იმ პრობლემებზე, თამაზ ხმალაძის პროზაში რომ იჩენს თავს... ჰოდა, დროს ვერ ავუვლიდი გვერდს.

შევთანხმდით: ჩვენ ვცხოვრობთ დროსა და სივრცეში; ერთიან სივრცესა და ერთიან დროში...

დრო ცვალებადია; **დრო მიდის, იცვლება და – იცვლება ენაც**. ერთი და იმავე დროის სხვადასხვა კუნჭულში მყოფნი ერთი ენით ვსაუბრობთ, მაგრამ განსხვავებული ფორმებით. **აი, ამ განსხვავებას ქმნის დროის მსვლელობა.**

სწორად გავიგე თქვენი მსჯელობა?

თ. ხ. – და აი, მწერალმა ეს განსხვავება უნდა დაინახო და შეძლო ასახო კიდეც...

გ. გ. – ვგულისხმობ მოთხრობას „ორი ზოლი“. საინტერესო მოთხრობაა, ორიგინალური. ენობრივი სტილის თვალსაზრისით საყურადღებო. ვითარება ასეთია:

„მზის სითბო დატკბა“ და „მყუდროებაზე ჯიბრიანად გამოლაგდნენ“. ლიზა (წინდასა ქსოვს) ბაბო და ნალფარიანთ დედაბერი (ბუმბულს არჩევს), ნუნუ (ჩაძინებულ ბავშვს ანანავებს) და ელიკო (ახტაჯანას რომ ეძახიან)...

სათონის კედელთან მიდგმულ გრძელ ფიცარზე შიო წამოწოლილა და მათ საუბარს ისმენს...

და აი, აქ ამბობს შიო მეტად საგულისხმო აზრს „ეგენი ახლა **ერთად სხედან, თორემ ისე სხვადასხვა დროში იმყოფებიან** და ერთმანეთისას რანაირად გაიგებენ“. „სხვადასხვა დროში“ იგულისხმება დროის სხვადასხვა წერტილში? არა?

თ. ხ. – კი, ერთი დროის სხვადასხვა წერტილში... მათ შორის მთელი თაობაა (მშობლებისა)... ისევე, როგორც ერთიანი სივრცის სხვადასხვა კუთხეში...

გ. გ. – და, უგებენ ერთმანეთს, თუმცა ზოგჯერ დაზუსტება სჭირდება სათქმელს...

როცა პერსონაჟს ასეთი კითხვებს დაასმევინებს ავტორი, მძიმე მდგომარეობაში იგდებს თავს. მკითხველს უნდა აგრძნობინოს, რომ მათი საუბარი ენობრივად განსხვავებულია (მაშინ არ ათქმევინებდა, რანაირად უგებენო... თამაზ, იმთავითვე გრძნობდი ენობრივად ამ სირთულეს? თუ ასე „გეკარნახა“ (რ. ინანიშვილი).

თ. ხ. – შენგან მახსოვს, გიორგი: სერგო კლდიაშვილმა ჰკითხა დავითს, ეს გაიგონე თუ შენ მოიფიქრეო... გაჯავრებულა დავითი: არც გამიგონია და არც მიფიქრია მაგაზე. ისიც არ ვიცოდი, ასეთი რამ თუ მიწერია, სანამ კიტა აბაშიძემ არ აღნიშნაო. ვერ ფიქრობს მწერალი ასეთ რაღაცეებზე წერის დროს...

გ. გ. – მე რომ ვაკვირდები, ენობრივად შესანიშნავად არის ეს გაკეთებული. გადავხედოთ ამ ამონარიდს და განვაგრძოთ მსჯელობა:

„– ეგრე უნდა, ელიკო? სად დაიკარგე, ამდენ ხანს რატო არსად გამოჩნდი? – ხმაზე ეტყობა, როგორ გაეხარდა თანატოლის მოსვლა ნუნუს. გასაკვირიც არ არის, ძველი ნათქვამია: თხას თხა ურჩევნია ათას სულ ცხვარსაო.

– რას ამბობ, გო რატო არ გამოვჩნდი კი არა, კინაღამ გაგეპარეთ, გრიპს ძლივს გამოვუძვერი.

– რანაირადაც შენ იქცევი, ან აქამდე როგორ არ გახდი ავად, – ეუბნება ნალფარიანთ დედაბერი, – ამაიცმევმ პაწაწკინა ნიფხავს, ჩაიცმევ მოკლესა და გულამოღებულ კაბას და მიდიიი, ზევით და ქვევით! დაჰფრიალებ ეგრე შიშლიკანა.

– შენ რაღას ამბობ, ქა, ნეტავ რა იცი, რას ამოვიცვამ ხოლმე და რას – არა? ერთი-ორი შენნაირი მოწმე და მეტი კი არ უნდათ ზედაშიანის ჭორიკრიკეებსა. ...ან ვისი რა საქმეა, მე იქნება არც ეგ პაწაწკინა უნდა ჩავიცვა?

– არ ჩაიცმევ და ნუ ჩაიცმევ, თავშიც ქვა გიხლია, ჩვენ რას გვაგულისჭორებ, ქა! სიმართლე გითხრა, სუ რო ტატრაყუნებმა ირბინოთ, არც ის გამიკვირდება მამიჩემის სულის ცხონებამა!...

– იწექი? დიდხანს იწექი? – ეკითხება ნუნუ, – მე რატო ვერაფერი გავიგე, გნახავდი მაინც...

– იიიჰ, ვიწექი კი არა, მთლად ატყარტყარებული ვეგდე, გოგო, სიცხე ვერაფრით დამიგდეს, სულ ორისამი დღეა რაც ავდექი. ეგე ბავშვთან მოსვლასაც იმიტომ მოვერიდე, ჯერ რა ვიცი, მთლიანად გამიარა, თუ არა.

– შე სანაცილევ, დიდად მოყვარული ამხანაგივით მაშ რაღა მე მომიჯექი გვერდში? – იცინის ნალფარიანთ დედაბერი.

– შენა, ქა, ხო ატყობ, ვეღარც გრიპი გერევა და ვეღარც მიქელ-გაბრიელი. დანჯაღ იყავი.“

გ. გ. – ეს ერთი ფრაგმენტი ავიღე. ამ ფრაგმენტის დიალოგში ოთხი პირია ჩართული: ორი ბებიების თაობისა (ლიზა ბაბო და ნალფარიანთ დედაბერი) და ორიც შვილიშვილების თაობისა: ნუნუ და ელიკო. როცა ხაზგასმაა „სხვადასხვა დროში ცხოვრობენო“, ყველაზე მარჯვე ხერხი ამ განსხვავების ჩვენებისა მეტყველება იქნება. სიტყვიერი მინიშნება ამ სხვაობისა არ იქნება საკმარისი.

თ. ხ. – გავითვალისწინოთ, ისინი ერთი დიალექტის წარმომადგენელი არიან და სხვაობა ერთი დიალექტის ფარგლებში უნდა მოხდეს.

გ. გ. – ანუ: მკითხველმა უნდა იგრძნოს, რომ ენობრივად ისინი ერთნი არიან, ერთი დიალექტის წარმომადგენლები, მაგრამ არსებობს სხვაობა მათ მეტყველებაში, რასაც თაობათა შორის სხვაობა განსაზღვრავს.

სხვათა შორის, შეიძლება ასეთი ვითარება, სიტუაცია სხვა მწერალთანაც ყოფილიყოს და სხვა ნაწარმოებებშიც, მაგრამ მწერალს რომ მიზანი დაესახოს – ეს სხვაობა ენობრივად გამოეხატა, ენობრივი საშუალებები მოეხმო ამის საჩვენებლად, მე არ მაგონდება:

თ. ხ. – ისევ გავიმეორებ: „ის რაიც შთაგონებით გვწყალობს“, განსაზღვრავს ყველაფერს; აქაც ასეა: დაიწყო ლაპარაკი მოხუცმა. იწყება წინადადება, მერე ეს წინადადება თვითონ წაგიყვანს თავის გზაზე... ამ გზაზე ჟარგონი არ არის, – ვერ გამოიყენებ. მიჰყვები და თვითონ გაწერინებს ყოველივეს. ნალფარიანთ დედაბერი რომ მიმართავს „ახტაჯანა“ ელიკოს: **„ამაიცმევ** პაწაწკინა ნიფხავს, **ჩაიცმევ** მოკლესა და გულამოღებულ კაბას და მიდიიი! ქვევით და ზევით დაჰფრიალობ ეგრე შიშლიკანა“... გოგო თავისას ეტყვის, თავისებურად: „შენ რაღას ამბობ, ქა, ნეტა რა იცი, რას **ამოვიცვამ** ხოლმე და რას არა!... ვისი რა საქმეა, იქნება მე არც ეგ პაწაწკინა უნდა ჩავიცვა?!... – არ **ჩაიცმევ** და ნუ **ჩაიცმევ!** ჩვენ რას გვაგულისჭირებ, ქა! სიმართლე გითხრა, სულ რო ტატრაყუნებმა ირბინოთ, არც ეგ გამიკვირდება, მამიჩემის სულის ცხონებამა!“ აი, აქ, **მსგავსებაც არის სტილში და განსხვავებაც**... მე არაფერ შუაში ვარ, ამას თვითონ ის პერსონაჟები აგვარებენ, რა თქვან და როგორ...“

გ. გ. – რა თქმა უნდა, ვერ დაგეთანხმები იმაში, რომ შენ არაფერ შუაში ხარ!... ეს ისე, ნახევრად ხუმრობით. სერიოზულად: მინდა განვმარტო ის, რაც შენ თქვი, თამაზ:

არის ის, რასაც ორივე თაობა გამოიყენებს: – ეს უპირველესად ზეპირმეტყველების სინტაქსია ამ დიალექტისა; მიაქციეთ ყურადღება გრამატიკულ ფორმებს ამაიცმევ, ჩაცმ-ევ (არალიტერატურული **ევ** სუფიქსიანი ფორმა), რომელსაც ხმარობს დედაბერი და **ჩავიცვამ** (სალიტერატურო ვარიანტი)... სხვაობა ესაა არსებითად, მაგრამ იოლად შესამჩნევი მკვეთრი შტრიხი ჩანს...

არის ისეთი დიალექტიზმი, რომელსაც ორივე თაობა გამოიყენებს: **ქა, გო, რო, ხო, რატო**...

ოღონდ ერთია, **ქა**-ს მიმართავს როგორც ერთი მეორეს, ისე მეორე პირველს (ზოგადია!)... **გო**-ს ბებიები შვილიშვილებს და შვილები ერთმანეთს... მთლიანობაში ისინი ერთი ენობრივი „კოლექტივის“ წევრები არიან ამ „ქრონოლოგიური“ განსხვავებით. ანუ: თან ლაპარაკობენ ერთნაირად და თან განსხვავებით...

თ. ხ. – მე არა ვარ მომხრე პროზაულ ტექსტებში დიალექტიზმების ჭარბად გამოყენებისა (არ უნდა იყვიროს, არ უნდა მოგჭრას ყური)... მაგრამ ამგვარ შემთხვევაში არც უმაგისობა ივარგებდა...

გ. გ – ცხადია, სათქმელი არსებითია, მაგრამ რამდენად ეფექტურია ეს სათქმელი ამ მხატვრული ხერხის მოშველიებით (დიალექტზმებს ვგულისხმობ), გემოვნებიანი მკითხველი დამეთანხმება. ჩვენ სანიმუშოდ ეს ერთი პასაჟი მოვიყვანეთ. ეს მთელ ნაწარმოებში ასეა და არა მხოლოდ ამ ნაწარმოებში.

ამ ორი თაობის მეტყველების სხვაობა იმის დასტური არის, რომ დიალექტი იცვლება... ეს კარგად დაიჭირა მწერალმა....

საინტერესო არის II ხოლმეობითის ორგანული ფორმების გამოყენება მოთხრობაში „ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა„: „ხშირად არც კი ვიცნობდით, **მიგვიყვანიან** და **დაგვაყენიან** ერთმანეთის გვერდიგვერდსა“... „მოკლეებზე **გადავიდი,** ბარდებში **ვიძრომიალი** ხოლმე საქონლის ჩლიქით გაქნილ ბილიკებზე“ („ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“)...

ერთი საინტერესო შემთხვევაც შეიმჩნევა: **მო-** და **შე-** ზმინისწინთა დიალექტურ ვარიანტებს (მა-, შა-) პაპა-ბებიათა თაობა თითქმის სისტემურად მოიხმარს: **ამაიცვას, ამაიყვანს, ამაიღებენ... შაჭამანდი, შამამხედა, შაგირთავო...** ეს ამ თაობის „მეტყველების მახასიათებელია“...

მოთხრობაში „რიკულებიან აივანზე“ ეს ფაქტი შესანიშნავად გაითამაშა ავტორმა ირონიულ, „ღიმილიან ეპიზოდში.“ იასე „მის ენაზე“ დაელაპარაკა ნასყიდას: „ო, ეგ კი ვერ **მასვლიათ** კარგი საქმე“... ნასყიდა მიუხვდა ირონიას: „შენ მაიმუნობას თავი დაანებე!“... გაბრაზებული ეტყვის...

ასეთივე მეორე შემთხვევაცაა კიდევ ერთ ეპიზოდში. განაწყენებულ ნასყიდას შერიგებას სთხოვს იასე: „კარგი, **შავრიგდეთ,** ნათლი, – რამდენს მახვეწებ, – ისევ სცადა თავისი საცდელი იასემ, **შავრიგდეთ** და ხვალე ერთად წავიდეთ ქალაქში, თქვენების ნახვა არ მოგენატრა?

ამ სიტყვებზე ნასყიდა ფიცხლად შემოტრიალდა...

ისევ მიუხვდა ირონიას“...

შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტიზმების სტილისტური დანიშნულებით გამოყენების ქრესტომათიული ნიმუში. ავტორი მშვენივრად ართმევს თავს ამოცანას...

თ. ხ. – ძალიან მაწუხებს დიალექტის გაქრობის ტენდენცია – უდიალექტებოდ რა იქნება სალიტერატურო ენის ყოფნა... ვაი რომ, ეს საკითხიც დადგება; ეგ ჟამი მოახლოებული მგონია... წავიდნენ ჩემს ბავშვობაში მცხოვრები ადამიანები და ის დიალექტიც თან გაიყოლეს, რომელზეც საუბრობდნენ... თითქოს გუშინ იყო, ანბანს რომ ვსწავლობდი: ოცდაცამეტ ასო-ბგერას ჩამოვთვლიდი და ბებო მისწორებდა: აკლებო და თვითონ კიდევ ხუთს ამატებდა. განსაკუთრებით მაღიზიანებდა მისეული ანბანის დასასრული: ...ჰაე, ჰოე. ეს ჰოე რაღა ოხრობაა-მეთქი, ვბრაზობდი...

ვფიქრობ, ქიზიყში ბევრი აღარ დავრჩით ისეთები, ვისაც თავისუფლად შეუძლია ბგერა **ჯარის** წარმოთქმა და ამ იუმორისტული ფრაზის სწორად გამეორება: **„ჯიიი, ჯარო, ჯევში ბალაჯ რა უნდა, შე ოჯერო!“** ანდა ის ერთ დროს ცნობილი ლექსი: **„ირემმა ირემს აჯარა, ბაქრაძე ავად გამჯდარა, თუ ბაქრაძე ავად გაჯდა, თოფი ვინ ჩამოგვაჯალა?!“** ასევე გაქრა, აღარავინ აღარ ხმარობს მესამე ობიექტური პირის მრავლობითობის მაწარმოებლად **-კე** ბოლოსართს; გაქრა (მხოლოდ ანდაზებსღა შემორჩა) ძალიან საჭირო და ტევადი მწკრივი ძველი ხოლმეობითისა...

და ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა და ხდება; ვგრძნობ, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვკარგავთ...

გ. გ. – დიალექტების პერსპექტივა ძალიან მტკივნეული და რთული თემაა; მგონია, მწერალს განსაკუთრებული როლი აკისრია დიალექტის შენახვა-გადარჩენაში... ნუ გავყვებით ამჯერად ამ გზას... თუმცა ისევ დიალექტის თემაზე:

ამგვარ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მწერლის დამოკიდებულება ლექსიკისადმი. ჩვენ ამ თემაზე, თამაზ, ცალკე ვისაუბრებთ, მაგრამ აქ უნდა შევნიშნო ის, რომ განსაკუთრებით ორ სხვადასხვა დროში მცხოვრებთა მეტყველებაში განსხვავება ლექსიკაში ვლინდება...

თ. ხ. – გასაგებია: ახალმა თაობამ ბევრი რამ დაივიწყა...

გ. გ. – ერთი რამ არ მინდა გამომრჩეს: თამაზ, წეღან შენ დაახლოებით ასეთი რამე თქვი: პერსონაჟი საუბარს რომ დაიწყებს, მე აღარ მეკითხება, წინადადება თავისით მიდისო...

თ. ხ. – ჰო.

გ. გ. – ჯემალ აჯიაშვილს, შუა საუკუნეების ებრაელ ავტორთა პოეზია რომ თარგმნა, შეხვედრა მოვუწყვეთ უნივერსიტეტში. ჯემალს ძალიან საინტერესო ენა აქვს; მდიდარი ლექსიკა, სიახლეები სიტყვაწარმოებაში, ლექსიკური ინიციატივები. ვკითხე, რა იყო საიდუმლო ამ ლექსიკური ინიციატივებისა, როგორ იბადება ახალი სიტყვა, ფრაზა... ვერ გეტყვიო, მითხრა; ერთი სიტყვა რომ მოვა, იმას მოჰყვება მეორე, მესამე და ასე შემდეგო. პირადად მე, ამ განმარტებიდან გამომდინარე, პროცესი ასე მესახება: მწერალი ელოდება სიტყვას, ფრაზას, წინადადებას... ხმა ესმის და, აი, გვირაბიდან გამოდის „მატარებელი„: გამოჩნდა ორთქლმავალი და მერე ჯერ ერთი ვაგონი, მერე – მეორე, მესამე და ა. შ.

თ. ხ. – საინტერესო გააზრებაა... მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ენის შესაძლებლობებს; სწორედ ამ შესაძლებლობათა ცოდნა აძლევს იმის საშუალებას, „გააკეთოს“ ახალი ფორმა; „აღმოაჩინოს“ ახალი სიტყვა... თუმცა ეს „გაკეთებული“ ფორმაც და „აღმოჩენილი“ სიტყვაც ბუნებრივი ქართულია...

გ. გ. – სწორედ ამის შესახებ წერს ბესიკ ჯორბენაძე: „მწერალი პირველაღმომჩენია და არა გამომგონებელიო“... მე ამ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისის დასტურად, მკითხველს თამაზ ხმალაძის წიგნებში ჩახედვას ვურჩევდი... მსჯელობამ შენი პერსონაჟების ენის შესახებ ერთი უცნაური კითხვაც გამიჩინა: თამაზ, ასეთი კარგი ქართული შენ ასწავლე შენს პერსონაჟებს, თუ იმათ გასწავლეს შენ?

თ. ხ. – ვითომ გვეტყობა რამე ნასწავლობისა ან მე ან ჩემს პერსონაჟებს? განა ბუნებრივი არ არის ჩვენთვის ასეთი ქართული?... ისე კი, არ დავმალავ და, ჩემ გარეშე ისინი ასე ვერ ისაუბრებდნენ და მეც სხვებს ასე ვერ ავალაპარაკებდი. ჩემს მოთხრობებში (და რომანშიც) თბილისელებიც ხომ არ არიან სანთლით საძებარნი და არა მგონია, საუბრისას მათაც რამე „იაღლიში“ მოსდიოდეთ.

გ. გ. – ეს ნახევრად ხუმრობით...

როცა თამაზ ხმალაძის სტილზე ვსაუბრობთ, საკითხი არ ეხება მხოლოდ დიალექტიზმებს. ბევრი რამ არის, რაც მწერალს გამოარჩევს სხვათაგან... შევეცდებით გზადაგზა აღვნიშნოთ ესეც...

კახაბერ ჯაყელი

(დასაწყ. წინა ნომერში)

***

ახალციხის ციხის ჯურღმულში ჩაგდებული საქართველოს მეფე გიორგი VIII მაშინ საშუალო ასაკს გადაცილებული გახლდათ. ევროპული გაგებით უკვე ბებერიც ეთქმოდა, აზიური მოსაზრებით მეფე ჯერ კიდევ ახალგაზრდული სიჩაუქით მოქმედებდა, მაგრამ თუ იმ დროინდელი ქართველების ჟამთა წარმავლობას მიმოვიხილავთ, 48 წლის მეფე გიორგი დასაოჯახებელი და საკმაოდ ხელსაყრელი სასიძო იყო.

რა თქმა უნდა, მეფეს, როგორც იმდროინდელ მბრძანებლებს, ხარჭებიც უნდა ჰყოლოდა. ნუთუ მისი შორეული წინაპრის ლაშა გიორგის სულიერი მემკვიდრე იყო და ამ წუთისოფელს ისე დასტოვებდა, რომ არც კი იქორწინებდა? ლაშა გიორგიმ, აფხაზთა და ქართველთა სამეფოს ავღუსტიანმა იმპერატორმა, ხომ არ დაუტოვა ქვეყანას იურიდიულად გამართული, კანონიერი მემკვიდრე! ნუთუ ამასვე გვიპირებდა გიორგი VIII-ც, რომელიც ყუარყვარეს მებრძოლებმა ჯურღმულში ჩაიყვანეს და საპატიო ტყვედ აქციეს?

***

– კანონიერ მემკვიდრესაც კი არ გვიტოვებს მეფე, – წარმოსთქვა ახალციხის კოშკზე, პიემონტელი ვაჭრების მიერ მორთმეულ ჭოგრიტში მომზირალმა ყუარყვარემ.

ტარიელის მსგავსად, ტყედ გაჭრა და ლომ-ვეფხთან შებმა სჩვევიაო. ამბობენ, შობაქანზე შედგა, უცნობმა ოდნავ უკან დაიხია, მოსასხამში დამალული ხმალი გააშიშვლა და თავსაბურველი მოიხსნა.

– თამარი? – ვითომდა გაოცებული დარჩა ათაბაგი თავისი უფროსი ქალის გამოჩენით!

– დიახ, მამა, მე ვარ! გამარჯობათ ბატონო ამირახორო, – მიმართა ქალმა მამის


გიორგი VIII

მახსოვრობითა და განსწავლულობით გამორჩეულმა მესხმა ამირახორმა.

– დიახ ასეა, მე შევიპარე გიორგი ბრწყინვალეს სახელობის დარბაზში და პირველი ათაბაგის ხრმალი ჩამოვხსენი კედლიდან, შემდეგ კი აქეთ გამოვეშურე, რადგანაც ჩემი სარკმელიდან მოგკარით თვალი და მივხვდი, რომ ვარსკვლავების საჩხრეკად მოდიოდით დიდად დამსახურებული მესხი მოყმეები, სახელგანთქმული რაინდები და სამშობლოსათვის თავდადებული ხალხი, რადგანაც დავეჭვდი თქვენს რაინდობაში, თქვენს ღირსებაში, გადავწყვიტე პასუხი გაგებინოთ ერისა და ბერის წინაშე, ათაბაგო და ამირახორო! – განრისხდა თამარი.

ამ დროს მთვარემ მძლავრი შუქი მოჰფინა გმირი ქალაქის კედლებს და გაოცებულმა ყუარყვარემ, როდესაც შენიშნა თუ როგორ აბრჭყვიალდა და გაბრწყინდა თამარის სამხედრო აღჭურვილობა, უმალ მიხვდა, რომ საქმე უფრო სერიოზულად იყო ვიდრე ეგონა.

– ეს ბიზანტიური აბჯარი საიდან, შვილო ჩემო? – იკითხა ათაბაგმა.

– მამაჩემო, ხომ იცი, ტყუილად ნაბიჯს არ ვდგამ, მეც ჩამომიტანა ჩემმა ვაჭარმა ხმლისა და ხანჯლისაგან, ისრისა და ბალისტისაგან დაუძლეველი აბჯარი ვენეციიდან, რომელსაც დოჟები

სამცხეში დატყვევებული მეფე ბირთები VIII

რიდან ემიჯნურება ერთ ულამაზეს ქალსო, მითხრეს მსტოვრებმა, – თქვა ამირახორმა და მანაც თავისსავე ჭოგრიტში განაგრძო ახალციხის ცის კაბადონის თვალიერება.

დღეს ერთ ვარსკვლავს ვერ ვხედავ, გუშინ აღმოვაჩინე და მაესტრო პიეროს ვარსკვლავთა რუკებში შევიტანე, დღეს გამქრალია, არადა ულრუბლო ცაა ჩემო ამირახორო, – ამოიოხრა ათაბაგმა.

– ღრუბელთა ზემოთ კიდევ ყოფილა ღრუბელნი ათაბაგო, დღესაა რაც ამოვიკითხე ლათინურ ასტრონომიულ კოდექსში, — თქვა ამირახორმა.

– ვეჟო, ლათინურს ვერ მივადევნე კარგად თვალი სიყმაწვილეში, უფრო შემიყვარდა ალ ჯებრი და ალ მუკაბალა, მამამ ჩემმა ივანე ათაბაგმა, ხომ გახსოვს, ორივე გაგვაგზავნა ტრაპიზონის ფილოსოფიის სკოლაში და გვყავდა მათემატიკოსი არისტობულოსი, რომლის ტრაქტატები ქართულად დაგვახვედრა ჩვენმა ელჩმა ტრაპიზონის იმპერიაში. ეჰ, მაშინ კი დავეწაფე ალ ჯებრსა და ალ მუკაბალას.

– ამ გახსენებაზე უნდა ვთქვა ჩემი გულისწუხილი, რაც ტრაპეზუნტიც ჩაყლაპეს ოსმალთა, ათაბაგო. სულ იმაზე ვფიქრობ, რომ დიდი ჯარი შევქმნათ და იქით შევესიოთ, სანამ აქეთ გადმოსულან, ვინძლო ოცი წლით მაინც გადავდოთ მაგათი შემოსევა, ისე უნდა გაუჩეჩქვოთ თავი ოსმალურ გველს! – ამირახორის ეს სიტყვები ყუარყუარეს ენიშნა და მან ასე უპასუხა თავის ვეზირს:

– მომავალ წელს გაამაყებულ ოსმალს არზრუმი უნდა წავართოთ! დამიყურე ამირახორო, ეხლა უკვე არზრუმში ვიქნებოდი, რომ არა ეს ქარაქუცა მეფუკები. მე მეომებიან, მე, საქართველოს ათაბაგს. ჩემი ჯარის მოშლა უნდათ, რადგანაც მეწვრილმანეები უზით სააჯო კარში. ფანასკერტელები და სხვანი, აქედან ვინც პანღურით გავაძევე, სამცხეში ლაშქრობისკენ აქეზებდნენ მეფეს, მაშინ, როცა ჩვენ ყველა უნდა დავირაზმოთ ოსმალთა წინააღმდეგ და გადავტეხოთ მათი ძალა. მაინც ჩემსას გავიტან, იცოდეს ყველამ, შევესევი არზრუმს და ისეთ ცეცხლს შევუნთებ მეჰმედ დამპყრობელს, რომ აქეთ დიდი ხანი არ გამოიხედოს.

– აი მოგვიახლოვდა ვიღაც, ათაბაგო, ბანოვანია, ვინ იქნება? – იკითხა ამირახორმა და მუხლებში ჩადებული ხანჯალი მთვარის შუქზე გააცისკროვნა.

– სიმშიდე, ამირახორო, ვინ იქნება ამ ღამეს, თუ არა ჩემი ქალიშვილი, რომელიც მეფე გიორგის ქომაგია, უთუოდ, – გაიცინა ათაბაგმა და კოშკის ზერდაგზე ამომავალი კარი გამოაღო.

კიბეზე ლურჯმოსასხამიანით თავშებურული ქალი ამოდიოდა. როდესაც კოშკის ერთგულ დიდებულს და მესხთა ლაშქრის თავს.

– აქ რა გინდა, შვილო? რატომ არ გძინავს? ეგ მახვილი საიდან ჩამოგიხსნია? ხომ იცი მაგას აღარავინ იყენებს ეხლა, – თქვა ირონიული ღიმილით ყუარყუარემ და ქალიშვილი შეათვალიერა.

ჩემსკენ არ წამოხვიდე მამა და არც თქვენ, ამირახორო, მაინც ვერ შეძლებთ ჩემს დაკავებას, მე ან შუაზე გადაგჭრით ორთავეს ან აქვე დავიღუპები! – აშკარად აღელვებული ჩანდა ათაბაგის ასული.

– არც გვიფიქრია, ათაბაგის ასულო, მონიწებით ჩაილაპარაკა ამირახორმა და ყუარყვარეს გახედა, ის თავის მხრივ ქალიშვილის შემხედვარე ღიმილს ვერ იკავებდა და რაღაც სიტყვებს ეძებდა თამარის დასაშოშმინებლად.

– ეგ ხმალი აქ მომეცი, შვილო და მე პიემონტის ჰერცოგის გამოგზავნილ ჭოგრიტს გადმოგცემ, ნახე რა ღამაზია ცის კაბადონი ახალციხის თავზე. აქედან ხომ ყველა ვარსკვლავი მოსჩანს, შენი ვარსკვლავიც მოსჩანს ჩემო თამარ, მაგრამ ამ შენს ვარსკვლავს არ ეგების ხმლით მამის შეშინება, შენი ვარსკვლავი საქართველოს ტახტზე დედოფლობას გიქადის ჩემო თამარ, მაგრამ დედოფალს სიბრძნე სჩვევია. ამიტომაც დასდე მახვილი და აიღე ჭოგრიტი, საოცარი რამაა, ამგვარის დამზადებას ვაპირებ ახალციხეში. ზარაფხანის ოსტატები რომ გამომიგზავნა პიემონტის ჰერცოგმა, იმანვე შუშის ლინზების ხელოსნებიც უნდა გამომიგზავნოს, შენ ხომ იცი, რამდენი ახალი საქმე მაქვს წამოწყებული, მესხთა სასახელოდ. ამიტომაც მე ამ ყველა საქმეში შენი დახმარება მჭირდება დ არა უჩვეულო წინააღმდეგობა. დასდე მახვილი, თამარ, – თქვა ყუარყვარე ჯაყელმა და შვილისკენ ფეხაკრეფით წავიდა!

– ეხლავე შესდექ, მამავ, თორემ ამ მახვილით განგმირავ, არ გაბედო ნაბიჯის გადმოდგმა ჩემსკენ და მომისმინე კარგად, – თქვა თამარმა და მამის წინ ვეება ძველმოდური ხმალი დიდი სიძლიერით მოიქნია.

– ეს ვისი ხრმალია, ამირახორო! – განრისხდა ყუარყუარე და ეხლა საკუთარი ქალიშვილისაგან, კუთხეში მიმწყდეულმა, ერთგული მესაჭურვლისა და სარდლის დახმარების მოხმობა გადაწყვიტა!

– სიბნელეში მიჭირს გარჩევა, ათაბაგო, მაგრამ, როგორც მგონია და მახსოვს ეს გრძელი და ორლესული ხრმალი, მეფე გიორგი ბრწყინვალეს უჩუქებია თქვენი პაპის პაპისთვის – სარგის II ჯაყელისათვის, სადღაც 1345 წელს, ანუ დაახლოვებით 120 წლის წინათ, მისთვის ათაბაგის საპატიო სახელოს გადაცემის აღსანიშნავად! – თქვა იცვამენ ბრძოლაში გასვლისას. არა მარტო მე ვარ შეიარაღებული, არამედ ჩემი სეფექალებიც შევაიარაღე და ისინი აქვე არიან, როგორც კი მათ დავუძახებ, ჩემი ერთგული ასულები, აბჯრით შემოსილნი ამოვლენ აქ და გარს შემომერტყმიან, რადგანაც მე გადავწყვიტე პასუხი გაგებინოთ შენც, მამასა ჩემსას და ამირახორს, საქართველოს მეფის, გიორგის ტყვედ აყვანისათვის!

– როგორ გეტყობა, რომ ჩემი შვილი ხარ, თამარ, ეხლა ისღა დაგრჩენია რომ ტყვედ ამიყვანო და ჯურღმულისაკენ გაგიძღვე – ჩაილაპარაკა ათაბაგმა და ამირახორს გახედა, ამირახორი ათაბაგს შეჰყურებდა და დაბლიდან კოშკისაკენ მომავალ ლანდებზე მიუთითებდა.

– კი, ამირახორო, თამარი გადატრიალებას მიწყობს, ასეა – თქვა შეთქმულებებში და გადატრიალებებში გამოცდილმა ათაბაგმა და თამარს მიუტრიალდა. ამ დროს კოშკის ამომავალი გვირაბის კარი გაიღო და შეჭურვილი პირები გამოჩნდნენ.

– მამაჩემო, ტყვედ ხარ აყვანილი, არ გაბედო ჩვენი ძალის შემოწმება, იცოდე, მომიწევს შენი განგმირვა ან დაჭრა, ამირახორიც ჩვენი ტყვეა. იცოდე, არ გაბედოს არავინ ჩვენი ძალის შემოწმება ამ ღამით, ხელში ხმლები გვიპყრია, ტანთ საუკეთესო გლივარიუმები გვაცვია (საუკეთესო იტალიური აბჯარი), ხალხიც საუკეთესო გვყავს შერჩეული, ვინც წინ აღგვიდგება, შუაზე გავკვეთავთ – მრისხანედ თქვა თამარმა, მარჯვენა წარბი მაღლა აღაპყრო და მამამისს თვალი-თვალში გაუყარა.

– ხმალ-ხანჯალი ჩემგან გაქვს ნასწავლი, საუკეთესო მეხმლე ხარ, ეეჰ, ახია ჩემზე – თქვა ათაბაგმა და გადაიხარხარა.

– ეხლა საით? – იკითხა მომხვდურებისაგან უეცრად დაბორკილმა ამირახორმა.

– ციხის ჯურღმულში მივდივართ, მამა, მეფე უნდა მოვინახულოთ! – ბრძანა თამარმა და შეთქმულნი მხარგაკრული ყუარყვარესა და ამირახორის გარშემო განლაგდნენ, ერთმანეთს რაღაცა გადაულაპარაკეს, ყველა მათგანმა თამარისაგან მცირე ზომის ნივთი მიიღო ამ დროს.

– ეს რაღაა, რას ურიგებ შეთქმულებს, შვილო? – იკითხა გაკვირებულმა ათაბაგმა.

– ალამუთის მხრიდან ჩამოტანილი მორიელის შხამია, მამი, თუ დავმარცხდებით ამ ღამეს, დაფიცებული გვაქვს, არცერთი ვიცოცხლებთ თავს. თუ შენ მოგვატყუებ და შენსას გაიტან, პირველი მე დავლევ საწამლავს და შემდეგ ყველა ჩემი სეფექალი მე მომყვება – თქვა თამარმა და თავის რაზმეულს სიამაყით გადახედა.

– არაფერი მოხდება, შვილო, – თქვა შვილის დაპირებით შეძრწუნებულმა ათაბაგმა და თავი დახარა.

– წავედით მეფის მოსანახულებლად, მამი, – ბრძანა თამარმა და ისინი ყველანი ახალციხის ციხის ჯურღმულისაკენ დაიძრნენ.

***

ახალციხის ციხის ჯურღმულში თავჩაქინდრული იჯდა ერთიანი საქართველოს მეფე, ყუარყვარე ჯაყელისაგან დატყვევებული, გიორგი ბაგრატიონი. მის წინ იდგა ფართო მაგიდა, რომელიც საუცხოო ხილითა და ნუგბარით იყო სავსე, ხელადით იდგა საუკეთესო მესხური ღვინო და არაყი. მაგიდაზე ეყარა ნიგოზი, ჩურჩხელები, ჯერ კიდევ ცხელი, მესხური ქადები, რომელიც ეხლახან შემოეტანა დაცვას და რომელსაც საოცარი ტკბილი არომატი ასდიოდა და ოთახს სადღესასწაულო განწყობას მატებდა. მაგრამ არა მეფისთვის, ეს სუფრა უფრო მის დაცინვას წააგავდა. ალბათ ყუარყუარეს ელოდნენ. მისი რჩეულიანი რაზმი მამრე კოპაძის მეთაურობით, ციხის ჯურღმულის შესასვლელს და გამოსასვლელს იცავდა. თავად მამრეც აქ იყო, მეფესთან ირმის მწვადებით შესვლას გეგმავდა, მაგრამ ათაბაგისაგან გზავნილს ელოდა და ჯაყელთა დედაციხისაკენ იყურებოდა. ხანდახან სარკმლიდან შეიხედავდა მეფის საკანში და როდესაც დარწმუნდებოდა, რომ მეფე არცერთ საკვებს არ მიკარებია და არც ღვინო უგემნია, საშინლად წუხდა. ესმოდა მამრეს, რომ ტყვედ აყვანილი, მირონცხებული მონარქი, თავს შეურაცყოფილად სთვლიდა და ამიტომაც არ იცოდა რა ეღონა. მას კი მეფის ჯანმრთელობა ჰქონდა ჩაბარებული და იგი მზად იყო ამისათვის საკუთარი სიცოცხლეც გაეღო.

***

გიორგი VIII უეჭველ სიკვდილზე ფიქრობდა. აფხაზთა და ქართველთა, სომეხთა და რანთა, შაჰანშა და შირვანშა, ჩრდილო კავკასიისა და შორეული ძურძუკეთის მპყრობელი მირონცხებული მეფე, ახალციხის ციხის, ყუარყვარე ათაბაგის ჯურღმულში იჯდა და სიკვდილი სწყუროდა. აქამდე იგი იმ მოვლენებმა მიიყვანა, რომელიც მთელს მის სამეფოს გაქრობით ემუქრებოდა. კი მაგრამ, რა იყო აქამდე? გიორგი მეფე მწარე ფიქრთა მორევში ჩაიძირა: „იგი ხომ პირველი ქართველი მეფეა, რომელმაც ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის მიზნით, ევროპაში გააგზავნა ელჩობა 1458 წელს. მეფემ პირველმა იგრძნო ოსმალთაგან წამოსული მსოფლიო საფრთხე. ოსმალური სამხედრო მანქანა დღითი დღე ძლიერდებოდა. 1453 წელს მათ ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს. უბედურ კონსტანტინოპოლელ დიდებულებს, აია სოფიასთვის ჰქონდათ თავი შეფარული. ბიზანტიის საუკეთესო ოჯახები, აია სოფიას ტაძრის მეორე სართულზე იდგნენ და მეჰმედ დამპყრობელის ურდოების შემოვარდნას ელოდნენ. მართლაც შემოანგრიეს აია სოფიის კარიბჭე თურქთა. აიჭრნენ ისინი ტაძრის მეორე სართულზე და დედოფლები, უფლისწულები, მთავრები და სამღვდელოება, ხელთ იგდეს. მათ შორის უამრავი იმავე დღეს მონად გაყიდეს, გააუპატიურეს, მრავალი მოკლეს და მათი სისხლით გული იჯერეს. მანამდე კონსტანტინოპოლის კედლებთან გაუჩინარდა ბიზანტიის ბოლო იმპერატორი კონსტანტინე, რომელიც, ალბათ, დაიღუპა კიდეც, მაგრამ არ დანებდა მომხვდურებს. ეს ამბები როცა ეუწყა საქართველოს მეფეს და მის დიდებულებს, გიორგიმ პარაკლისი ბრძანა და დაცემული ბიზანტიის იმპერატორის სულის საოხად მეტეხიდან ნარიყალამდე ფეხშიშველი იარა თავის დიდებულებთან ერთად. შემდეგ კი სასახლეში ჩაიკეტა და თავისსავე სამეფოს ბედზე დაიწყო ზრუნვა.

ბიზანტიის დაცემით, ევროპისკენ მიმავალი გზა ჩაკეტილი იყო საქართველოსთვის. მეფე მიხვდა, რომ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა ბიზანტიის დასაბრუნებლად, გადაარჩენდა დავით აღმაშენებლის დანატოვარ სამეფოსაც. გიორგიმ, კათალიკოს პატრიარქთან თათბირისა და ლოცვა კურთხევის შემდეგ, მოქმედება დაიწყო. ამავე დროს, რომის პაპმა კალიქსტუს III-მ მიმართა წერილობით მეფე გიორგის და მათ, „ვინც საქართველოში რომის წესს მისდევენ“! პაპმა თანხმობა განაცხადა მეფის თხოვნაზე, პატრიარქად დაეყენებინა ქართველთა მიერ არჩეული პიროვნება და მოითხოვა,

→

და მისი მეუღლე დედოფალი თამარ ჯაყელი

რომ ეს პირი ყოფილიყო რჩეული პატიოსნებით, განათლებული და მჭერმეტყველი. მეფემ ათაბაგ ყუარყვარესაც მიმართა! ათაბაგმა უმალ გაიზიარა მეფის წუხილი და ორთავემ – გიორგი VIII-მ და ყუარყვარე II-მ პაპის მორჩილება აღიარეს. შემდეგ იყო ის, რომ მეფემ და ათაბაგმა პაპის ელჩი, ფრანცისკანელი ლუდოვიკო ბოლონიელი თავიანთ პატრიარქად დააყენეს! მალე ათაბაგმა და მეფემ რომში თავის ელჩები გააგზავნეს. ლუდოვიკო ბოლონიელმა წარუდგინა მეფე გიორგისა და ათაბაგ ყუარყვარეს ქართველი ელჩები რომის პაპს.

ყუარყუარეს წარგზავნილმა ქასადანმა პაპს აღუთქვა – ყველა ქართველ მთავართა ერთიანობა. მეფის ელჩმა დაამატა ქასადანის დაპირებას, რომ „თქვენმა ნუნციომ (ლუდოვიკო ბოლონიელმა) რა უბრძანა, მაშინვე შერიგდნენ და აწ მზად არიან დაუწყონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ უბრძანებთ. 120.000 მეომარნი მზად არიან ეომონ მუჰამედ იმპერატორს აზიაში... აგრეთვე გაუწყებთ, რომ ჩვენთან შეერთებულნი არიან ბედიან სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე, ბაგრატ მეფე ივერიელებისა, რომლებსაც აწ უწოდებენ გეორგიანებს და მამია გურიის მთავარი... აწ მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ ლუდოვიკომ, რომელმაც აქ მოგვიყვანა, დაადგინოს პატრიარქად იმათგან, ვინც აღმოსავლეთში რომის წესს მისდევენ და თქვენს საყდართან შეერთებულნი არიან.“

რომის პაპი აღფრთოვანდა, როგორც კი გაიგო, თითქოს ქართველებმა კათოლიკობა მიიღეს! რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო. ქართველებმა მხოლოდ დააპირეს პაპისათვის იმის თქმა, რომ ისინი კარგი კათოლიკეები გახდებოდნენ, თუ ფრანგთა, ესპანელთა, იტალიელთა, პოლონელთა და ბოჰემიელთა არმიები, ოსმალებს ცხვირ-პირს დაუნაყავდნენ ხმელთაშუა ზღვაზე და შემდეგ მძლავრ ჯარსაც გადმოსხამდნენ ხმელეთზე, კონსტანტინოპოლის გასანთავისუფლებლად.

პაპმა ქართველებს არჩევანი მოუწონა და კათოლიკე პატრიარქი ლუდოვიკო ბოლონიელი დაუმტკიცა სულიერ წინამძღოლად. მეფე გიორგისა და ყუარყვარე ჯაყელის ელჩები ეწვივნენ არა მარტო პაპს, არამედ საფრანგეთის მეფეს შარლ VII-ს, შემდეგ მის შვილს ლუი XI-ს. საფრანგეთის საზოგადოება გაოცებით უსმენდა ქართველთა ელჩებს. ევროპაში ყველაზე მეტად, განსაკუთრებით ყუარყვარეს ელჩმა, ქასადანმა, მოაწონა თავი.

მესხეთის მთავრის ელჩი ორმეტრიანი ვაჟკაცი იყო, რომელიც თავისსავე გარეგნობითა და ვაჟკაცობით აკვირვებდა პარიზელებს და რომაელებს. ჭორები ვრცელდებოდა, რომ ქასადანი თავად იყო ყუარყვარე ათაბაგი, მაგრამ ამის დადასტურების თუ უარყოფის საშუალება არ არსებობს.

დიპლომატიურ მიმოწერამ და ევროპაში ქართველთა ვოიაჟმა 1458-1459 წლები შეიწირა. ოსმალეთის სულთანი, ამ დროს წარმატებულ სამხედრო ოპერაციებს ატარებდა მორავიაში, სერბეთში, ვალახეთსა და საბერძნეთის კუნძულებზე. ევროპელი მონარქები 100-წლიანი ომითაც იყვნენ გადაღლილნი. ოსმალო კი მათ კარებთან იდგა. ევროპა შეშინებული იყო (ამბობენ, ევროკავშირის შექმნის იდეა, ჯერ კიდევ მაშინ მოუვიდათ თავში ევროპელებს, როცა ოსმალთა არმია ვენის სიახლოვეს შეამჩნიესო).

***

მესხთაგან დატუსაღებული მეფე ფიქრობდა: „ეს ევროპული ვოიაჟი მისი ელჩებისა, რომ არაფრით დამთავრდა, მაშინ კიდევ უფრო გაძლიერდა კავკასიას შემოხვეული ურჩხული ოსმალეთისა და სპარსეთისა“.

გიორგი მეფეს თავისივე ეჭვები აწუხებდა, იმის შესახებ, რომ მის წინააღმდეგ სწორედ ოსმალებმა გამოიწვიეს ბაგრატ ბაგრატიონის აჯანყება იმერეთში.

ბაგრატის გამოსვლა წინასწარ იყო მომზადებული. 1461 წელს ჩიხორის ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოს სამეფოსა და ბაგრატ ერისთავის ჯარები. გიორგი მეფის მხედრობა დამარცხდა ამ ბრძოლაში.

შემდეგ იყო სამარცხვინო დაბრუნება თბილისში. მეფე მუდამ უსმენდა თავის ყმებს, რომლებიც სამცხეზე გალაშქრებას ურჩევდნენ. კი მაგრამ, რა იმედი ჰქონდათ? ჩიხორთან დამარცხებულმა სასოწარკვეთილმა მეფემ სამცხეზე გაილაშქრა და იყო თავფარავნის ბრძოლა.

***

მეფე ფიქრობდა, „მე, მეფე გიორგი, თავფარავნის ბრძოლაში, პირისპირ შევხვდი ყუარყვარე II ჯაყელს. მესხთა მთავარი უმუზარადოთ შემოვარდა ბრძოლაში. იგი ისეთი დამთრგუნველი ხმით ყვიროდა და თავის შუბ-ნაჯახას იქნევდა, რომ მისით დაჩეხილმა, ხელ-ფეხ მოკვეთილმა და დათრგუნულმა სამეფო ჯარმა ზურგი შემაქცია! მეფის მცველთა რაზმი, სისხლით გაპოხილ ყუარყვარეს გაექცა და ბრძოლის ველი სამარცხვინოდ დასტოვა. მანამდე ხომ ათაბაგით განაწყენებულმა ფეოდალებმა დახმარებისთვის მომმართეს. ჰოდა, სწორედ ეს დიდებულები სწრაფადვე გამეცალენ მე და ჩემს სამხედრო წყობას. მარტო დარჩენილს, ბრძოლის ველზე მეძგერენ ათაბაგის „რჩეულიანნი“, სანადირო ბადე გადამაფარეს და, როგორც გარეული ტახი, ისე შემიპყრეს, ჰაი დედასა, რომ კიდევ მეფე მქვია, მენატრება სიკვდილი, რადგანაც, ვერ შევიქენი მხედრად, ვერ დავთრგუნე ჩემი მტერი, ვერ ვეზიარე დავითის სიბრძნეს, არ დადგა ჩემგან მეფე-სარდალი, ვერ გავხდი დავით აღმაშენებელი, ვერც გიორგი ბრყინვალე, ვერ ჩავწვდი მეფეთა სიბრძნეს, ვერა და ამიტომაც უნდა მოვკვდე აქ, ამ ჯოჯოხეთში“ .

***

ამას რომ ფიქრობდა მეფე, იგი ჩამთრევი და სასოწარკვეთილი აზრებიდან ჯურღმულის საკეტების მსხვრევის ხმამ გამოარკვია – „აი, მოვიდა სიკვდილი,“ – გაიფიქრა მან, როდესაც მის წინ ათაბაგი აღიმართა, მაგრამ, დახეთ საოცრებას, ყუარყვარეც დაბორკილია, მასაც მხრები აქვს გაკრული. გადაეხვივნენ, ფეხზე წამოაყენეს, უმალ დაუჩოქეს, პატიებაც კი სთხოვეს... მეფე გიორგი არც განძრეულა... იგი ჯერ კიდევ გაოგნებული იდგა, ეს რა ხდება მის თავს, სიკვდილის პრელუდია ხომ არ არის ეს ყოველივე?

„ეხლაც რაღაც ახალ ხრიკს ხომ არ უწყობს ყუარყვარე ათაბაგი ბედკრულ მეფეს საქართველოისას?“

რა მასკარადია ჩემს თავს?

***

– აფხაზთა და ქართველთა მეფევ, შემინდე მე ცოდვილი, მონა და მხევალი შენი – ათაბაგის ქალი, – თამარ ჯაყელი. სთქვა გაოცებულმა და დამუნჯებულმა, დაბორკილი ყუარყვარეს გვერდით მდგარმა მშვენიერმა აბჯროსანმა ასულმა, რომელმაც მეფის წინ დაიჩოქა და გაოგნებულ გიორგი მეფეს, კიდევ ერთხელ სთხოვა პატიება, მეფის ხელი აიღო და ეამბორა მეფის ძალაგამოცლილ თითებს, შემდეგ წამოაყენა იგი და გულზე მიადო თავი და ატირდა.

– რომელი ხარ ასულო, საიდან მოხველ და რა ხდება ჩემს თავს? – ამბობდა გაოგნებული გიორგი მეფე და ყუარყვარეს გამომცდელი მზერით უყურებდა. მესხი ამირახორი ათაბაგის უკან რომ იდგა, მიწას ჩაშტერებოდა, თავად ათაბაგი გაჭაღარავებულ წვერზე ისვამდა დაბორკილი მხრებიდან განთავისუფლებულ მარჯვენა ხელს და სდუმდა!

– რა ხდება ათაბაგო, მითხარი! – მეფემ ძალა მოიკრიბა და განსაცვიფრებელი სიმხნევით შეხედა ათაბაგს, რომლის ღიმილნარევი დუმილი მას თითქოსდა კარგს არაფერს უქადდა.

– დიდო მეფეო, რა ხდება და გაიცვალა თბილისისკენ გაუტევებთ!

– რაო?... შენ დაგატყვევა საკუთარმა ასულმა? თამარ, შვილო, მოდი ჩემთან, დიდად მადლობელი ვარ შენით, ჯაყელთა ასულო. ენის ბორძიკით და აცახცახებული ხმით თქვა მეფემ, მამაშვილურად ჩაიკრა გულში სამცხის ათაბაგის ქალი და თვალთაგან ცრემლი ვერ შეიკავა...

***

– მეფევ ბატონო, როგორც კი გავიგე შენი დატყვევების ამბავი, იმწამსვე საომრად შევიმოსე და მამიჩემის შეპყრობა გადავწყვიტე, ეხლა აქედან ფრთხილად უნდა გავიდეთ და ამ ჯურღმულში მამაჩემი დავტოვოთ, შემდეგ მოგიყვებით, რომ მამა არ არის თქვენი მტერი, მამიჩემის მოქმედება და ის დანაშაული, რაც ჩვენმა ოჯახმა, თქვენი მეფობის წინაშე ჩაიდინა, სხვა გარემოებებით იყო ნაკარნახევი. ამაზე გზაში გეტყვით, მე თავად გაგაცილებთ სამცხის სამთავროს საზღვრებამდე და იქამდე არ დავიღლები, სანამ მეფე ჩვენი, მეფე ქართველთა, საკუთარ სამეფო სასახლეში და ბაგრატიონთა პალატებში არ დაბრუნდება, მორჭმით არ დაჯდება თავის ტახტზე და ჩვენი სამეფოს მართვას სრული გამარჯვებით არ გააგრძელებს. მომყევით მეფეო, ჩემი რაზმეული ეხლა გვირაბით ჩაგიყვანთ ახალციხის ციხიდან მტკვრამდე, იქ კი საუკეთესო ცხენები დაგვხვდება, სულ მალე გადავალთ უხიფათო ადგილას და შემდეგ გადავწყვეტთ, თუ როგორ ჯობია თბილისამდე მიღწევა.

– მე რას მიშვებით? – იკითხა ყუარყვარე ათაბაგმა და შვილს შეხედა.

– შენ მამაჩემსა და ამირახორს ამ ჯურღმულში გამოგკეტავთ. რამდენიმე საათში

ღვინოში ჩაწვეთებული მათრობელასაგან გამოფხილდებიან მამრე კოპაძე და მისი რაზმელები და ისინი მოგაგნებენ. აბა წავედით! – მტკიცე ხმით თქვა თამარ ჯაყელმა და ჯურღმულის კარები მოიხურა.

– გამარჯვებით გევლოთ, – ჩაილაპარაკა თავისთვის ყუარყვარე ჯაყელმა და ამირახორს ეშმაკური ღიმილით გადახედა!

ციხისჯვარის გზას არ დაადგნენ, სახიფათოა, – თქვა მესხთა ამირახორმა.

***

მეფე გიორგი VIII და მისი მშველელი თამარ ჯაყელი საუკეთესო ცხენებით ციხისჯვრისაკენ გაჭენდნენ. გზად ფუნდუკში შეისვენეს. ფუნდუკის მეპატრონემ მეფე იცნო და ის იყო ახალციხეში უნდა გაეგზავნა ვაჟი, ამბის მისატანად, რომ მასთან მიიჭრა მოყმის სამოსელში გადაცმული თამარ ჯაყელი, მეფუნდუკეს თვალი თვალში გაუყარა და უბრძანა, მეფის ხილვა არავისთვის ემცნო. მეფუნდუკე, ყუარვარეს ქალიშვილის დანახვაზე დამუნჯდა, პირჯვარი გადაიწერა და უმალ დაეთანხმა, ახალციხის ციხის ჯურღმულიდან დევნილებს, რომლებიც ეხლა უკვე ბაკურიანის თავს მოევლენ და იქიდან აპირებდნენ თბილისისაკენ დაშვებას და ღორის ხეობისაკენ გაჭენებას მეფე და ათაბაგის ქალი თამარი, მაშინ მათ სიახლოვეს ისარმა გაიზუზუნა. მეფე მოტრიალდა და გაღმა სერზე, რამდენიმე კაცისაგან შემდგარი რაზმი დალანდა.

მდევარია, ათაბაგის ასულო, თქვენ წინ გაჭენდით, მე შევაჩერებ მომხდურებს, – თქვა მეფე გიორგიმ.

ესენი მამიჩემის მდევრები არამც და არამც არ იქნებიან მეფეო, ესენი სულთან უზუნ-ჰასანის მომთაბარეები არიან, ზამთარში ბაკურიანში გადმოჰყავთ თავიანთი ცხვარი და თხები. როგორც ჩანს, ბერძნები ვგონივართ და ჩვენი დაჭერა უნდათ გამოსასყიდის მისაღებად! ამიტომაც უნდა ვიჩქაროთ. თუ გავაღწიეთ, ხომ კარგი და თუ არა, მაშინ მე თქვენთან ერთად და თქვენს გადასარჩენად შევებმები აგარიანებს! – შესძახა თამარმა და მეფის ცხენს ასაჩქარებლად მათრახი გადაუჭირა!

– აფერუმ შენს ქალობას, ათაბაგის ასულო! როგორც კი სატახტო ქალაქს ჩავაღწევ, იმ წამსვე შენზე დავქორწინდები და საქართველოს დედოფლად დაგისვამ, – ჩაილაპარაკა ჯაყელის ქალის გმირობით, მისი მშვენიერებით, ცხენის ჭენების ოსტატობითა და შეუპოვრობით აღტაცებულმა გიორგი მეფემ და ცხენი დააოთხა.

(გაგრძელება იქნება)

„ჩვიდის ნიღბის“

თამაზ ჩიკვაიძე

1698 წლის 18 სექტემბერს სენ-ანტუანის გარეუბნის გავლით პარიზში შევიდა ფარდებჩამოშვებული ფანჯრებიანი დიდი კარეტა. კარეტას ყოველი მხრიდან შეიარაღებული მხედრები იცავდნენ. იგი ეკუთვნოდა სენ-მარს, რომელიც ახალგაზრდობისას მუშკეტერად მსახურობდა ცნობილი დარტანიანის რაზმში, როდესაც მეფემ დარტანიანს დაავალა დაეპატიმრებინა ყოვლისშემძლე ფინანსთა მინისტრი ფუკე. ლეიტენანტმა თავის მხრივ სენ-მარს უბრძანა დაეკავებინა ამ მინისტრის ერთი დაახლოებული პირი. სენ-მარმა კარგად შეასრულა დავალება, რითაც მეფის წყალობა დაიმსახურა. ამის შემდეგ იგი უცვლელად მსახურობდა სხვადასხვა ციხესიმაგრეთა უფროსად, რომლებიც სახელმწიფო დამნაშავეთა საპყრობილეებად იყო გადაქცეული. და აი ახლა კარიერა დაგვირგვინდა. ლუი XIV-მ სენ-მარი დანიშნა ბასტილიის გუბერნატორის მაღალ პოსტზე.

კარეტა, რომლითაც სენ-მარი და კიდევ ერთი ვიღაც მგზავრობდა, ბასტილიის ასაწევ ხიდთან გაჩერდა. ხიდი მაშინვე დაუშვეს, ჭიშკარი გაიღო, კარეტა გაატარა და ისევ დაიკეტა. კარეტასთან ერთად ბასტილიაში შევიდა საიდუმლოება, რომელსაც საგულდაგულოდ იცავდნენ ციხის სქელი კედლები და რომლის ამოცნობასაც სამი საუკუნე ცდილობდნენ მეცნიერები.

„რკინის ნიღბის“ ლეგენდამ იმდენად დაფარა რეალური ფაქტები, რომ უმრავლესობამ, ვისაც რამე გაუგია ამ ცნობილ ისტორიაზე, მარტოოდენ ეს ლეგენდა იცის. ამ ლეგენდაზე მთელი ბიბლიოთეკებია დაწერილი და მათ შორის ცხადია, ყველაზე წინ დგას დიუმას „სამი მუშკეტერი“, უფრო სწორედ, ერთ-ერთი მისი გაგრძელება – „ათი წლის მერე ანუ ვიკონტი დე ბრაჟელონი“. ამ რომანმა მცირედ როდი შეუწყო ხელი ლეგენდის პოპულარიზაციას. ალექსანდრე დიუმას სულაც არ წამოუყენებია პირველს ის ეფექტური ვერსია, რომ „ნიღაბი“ ლუი XIV-ის ძმაა.

დიუმამდე 100 წლით ადრე ასეთივე ახსნა მოგვცა ვოლტერმა თავის „ლუი XIV-ის ხანაში.“ თვითონ მას, ცხადია, სერიოზულად არ სჯეროდა მის მიერ გამოგონილი არაკი, მაგრამ იგი აშკარად არ მოელოდა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მისმა შეთხზულმა ამბავმა მოახდინა. დროთა განმავლობაში გაჩნდა სხვა პრეცედენტებიც. მაგალითად „ნიღბად“ მიაჩნდათ გრაფი ვერმანდუა, ლუი XIV და მისი საყვარლის ლუიზა დე ლავალიერის ვაჟიშვილი, მაგრამ როგორც ეს მტკიცედ დადგენილია, ვერმანდუა გარდაიცვალა 1683 წელს, ბასტილიაში „ნიღბის“ გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე. ნიღაბი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჰერცოგი დე ბოფორიც, რომელიც უგზოუკვლოდ დაიკარგა 1669 წლის ბრძოლის დროს. ვის არ ჩამოაცვეს ეს „ნიღაბი“ – ინგლისელ ჰერცოგ მონმუოტს, რომელიც ინგლისის მეფე იაკობ II-ის წინააღმდეგ აჯანყებას ხელმძღვანელობდა და აჯანყების დამარცხების შემდეგ თავი მოკვეთეს თუ კონსტანტინოპოლის და იერუსალიმის სომეხ პატრიარქ ავეტიკს, რომელიც იეზუიტთა მეცადინეობით მალულად შეიპყრეს და საფრანგეთში ჩაიყვანეს. 1698 წელს ბასტილიაში მოთავსებულმა პატიმარმა, რომელიც მანამდე ადრე ავად არ გამხდარა, 1703 წლის 19 ნოემბერს თავი ცუდად იგრძნო და რამდენიმე საათში გარდაიცვალა. გარდაცვლილთა სარეგისტრაციო წიგნში იგი ბარშიოლის სახელით შეიტანეს. მკვლევრებმა რეესტრიც კი იპოვეს, სადაც აღნიშნულია „(1703 წლის 19 ნოემბერს) მარსიოლი, დაახლოებით 45 წლისა, მოკვდა ბასტილიაში“. შემდეგ მოდიოდა დამარხვის ამბები, რაც მეორე დღეს მოხდა და დამარხვის დამსწრე ოფიციალური პირების სია. დასაფლავების შემდეგ სასწრაფოდ გაანადგურეს ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული. საკანი სასწრაფოს შეათეთრეს და შელებეს მისი კედლები, აყარეს და ხელახლა დააგეს იატაკი, რათა მოესპოთ ყველა შესაძლო კვალი.

საინტერესოა გუბერნატორ სენ-მარის ერთ-ერთი მოხელის დე ჟიუნკას დღიურში ჩანაწერი: „ჩამოვიდა გუბერნატორი სენ-მარი და ჩამოიყვანა საიდუმლო ტუსაღი, რომელიც მანამდე პინეროლის (ჩრდილოეთ იტალიის ნაწილი, რომელიც მაშინ საფრანგეთს ეკუთვნოდა) სახელმწიფო ციხეში ჰყავდათ.“ დღიურში აღნიშნულია, რომ ტუსაღის სახელი არავინ იცის. საკანი სენ-მარის ბრძანებით კარგად მოაწყეს. ტუსაღი გუბერნატორთან ერთად ჭამდა საჭმელს. მსახური კერძებს მეზობელი ოთახიდან აწვდიდა მათ. ჭამის წინ გუბერნატორი გულმოდგინედ კეტავდა კარს. სენ-მარს ტუსაღთან ერთად ეძინა. შემონახულია გუბერნატორის წერილი, სადაც ის აღწერს იმ საგანგებო სიფრთხილის ზომებს, რომელსაც ის იღებდა თავისი ავადმყოფობის შემთხვევაში, რათა ოფიცრებს და ჯარისკაცებს, რომლებიც ტუსაღს საჭმელს მიუტანდნენ, არ დაენახათ მისი სახე.

XVIII საუკუნეში, როდესაც მთელ ფრანგულ საზოგადოებას აინტერესებდა საიდუმლო ტუსაღის ვინაობა, ლუი XV-ის ფავორიტმა მარკიზა პომპადურმა სთხოვა მეფეს ჩაეტარებინა ამ ამბის გამოძიება. მალე მეფემ უთხრა მარკიზას, რომ „ნიღაბი“ იყო იტალიელი მთავრის მინისტრიო.

დედოფალი მარია ანტუანეტა ფრეილინა თავის დღიურში წერს, რომ დედოფლის თხოვნით მეფე ლუი XV-მ თავის მოხუც დიდებულს, რომელსაც ახსოვდა საუკუნის დასაწყისის ამბები, გამოჰკითხა „ნიღბის“ შესახებ. მან უპასუხა, რომ ის იყო მანტუის თავადის ინტრიგანი მინისტრი, რომელიც ჯერ მოათავსეს ჰინეროლის ციხეში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს ბასტილიაში.

1770 წელს ერთმა ბიბლიოფილმა ბარონმა ჰეისმა „ჟურნალ ენციკლოპედიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ნიღაბი“ გააიგივა იტალიელ გრაფ მატიოლისთან. შემდეგ ეს თვალსაზრისი ბევრმა მკვლევარმა გაიზიარა. ვინ იყო გრაფი მატიოლი და რამ გამოიწვია მისი საიდუმლო დაპატიმრება?

კარლოს IV

კოლბერი

იტალიელი გრაფი ერკოლე მატიოლი დაიბადა 1640 წელს (მაშასადამე თუ ის „ნიღაბი“ იყო, გარდაცვალების დროს 63 წლის ყოფილა და არა 45 წლის, როგორც ეს აღნიშნულია ტუსაღის რეესტრში). მატიოლიმ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოინადირა ჯერ კარლოს III-ისა და ჰერცოგ მანტუელის, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრის კარლოს IV-ის გული. ეს უკანასკნელი იყო იმ ეპოქის ტიპური იტალიელი მთავარი, რომელიც მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ფიქრობდა. კარლოს IV-მ წინასწარ მიჰყიდა რამდენიმე წლის სახელმწიფო შემოსავალი მოიჯარადრედ და მიღებულ ფულს ვენეციაში ფლანგავდა. იქ მას თან ჰყავდა სახელმწიფო მდივანი მატიოლიც. ეს ყველაფერი სავსებით შეესაბამებოდა საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის გეგმებს. ფრანგები ჯერ კიდევ 1632 წლიდან იმყოფებოდნენ პინეროლში, სადაც ერთ-ერთი სახელმწიფო ციხე ჰქონდათ. ლუის უნდოდა დაემრგვალებინა თავისი იტალიური სამფლობელოები კაზალის ხარჯზე, რომელიც მანტუის სამთავროში შედიოდა. კაზალს გეოგრაფიულად ძალიან ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა და თუ მას დაეუფლებოდნენ, ფრანგებს შეეძლოთ უფრო ეფექტური ზეგავლენა მოეხდინათ პიემონტზე, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იტალიისათვის საბრძოლველად.

ლუი XV-მ გადაწყვიტა ეყიდა კაზალი. ლუის ვენეციაში ფხიანი ელჩი ჰყავდა – აბატი დესტრადი. მისი დავალებით მატიოლის ჯაშუშები მიუჩინეს და დაადგინეს, რომ მანტუის თავადი კარლოს IV კაზალის გაყიდვის წინააღმდეგი არ იქნებოდა. მალევე მოხდა შეთანხმება. კარლოს IV კაზალისთვის ასი ათას ეკიუს მიიღებდა. არ დავიწყებიათ არც სახელმწიფო მდივანი მატიოლიც. კერძოდ, აუდიენციის დროს ლუიმ მას ძვირფასი ბრილიანტი აჩუქა და კიდევ ასი ორმაგი ლუიდორის მიცემა ბრძანა. მეფე გასამრჯელოს უხდიდა მატიოლის არა მარტო ამ გარიგებაში მონაწილეობისათვის, არამედ საიდუმლოების დაცვისთვისაც, რადგან მას იმედი ჰქონდა ევროპა მომხდარი ფაქტის წინაშე დაეყენებინა. ასე რომ, რომ არა მისი მოწინააღმდეგეები, ცხადია, არ დათანხმდებოდნენ საფრანგეთის პოზიციების მათთვის აუნაზღაურებელ გაძლიერებაზე. მაგრამ საიდუმლოება გამჟღავნდა. ორი თვეც არ გასულა მატიოლის საფრანგეთში მოგზაურობიდან, რომ ხელშეკრულების ამბავი უკვე იცოდნენ მადრიდშიც, ტურინშიც (პიემონტის დედაქალაქი) და ვენეციაშიც. მალე გამჟღავნდა ისიც, თუ როგორ გაიგეს მისი შინაარსი ევროპის ყველა დაინტერესებულ დედაქალაქში.

ლუი XIV-საგან ფული რომ მიიღო, მატიოლიმ დაუყოვნებლივ მიჰყიდა ხელშეკრულების ამბავი საფრანგეთის მეფის ყველა მოწინააღმდეგეს. სავოის ჰერცოგის მეუღლემ ხელსაყრელად მიიჩნია გაემჟღავნებინა ლუისთვის მატიოლის ორმაგი თამაში. მეფის რისხვა იტალიელის მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ვენეციაში მიმავალი ლუის ფარული შიკრიკი, რომელიც კარლოს IV-თან სარატიფიკაციო სიგელების გასაცვლელად მიეშურებოდა, შეიპყრეს. დესტრადი გაცოფებული იყო და მან მეფეს მატიოლის მოტაცების იდეა შესთავაზა. ამის გაკეთება საჭირო იყო არა მარტო იმისთვის, რომ შური ეძლიათ ვერაგ იტალიელზე, არამედ სურდათ მისი ხელიდან გამოეგლიჯათ მიმოწერის საიდუმლო დოკუმენტები, რითაც საფრანგეთის მთავრობას სახელს უტეხდნენ. მცირე ყოყმანის შემდეგ ლუი XIV დათანხმდა ამ წინადადებას, მაგრამ განსაკუთრებული ბრძანება გასცა, მოტაცება სრულიად საიდუმლოდ მოხდესო. დესტრადმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს მატიოლის ინტრიგებზე არაფერი იცოდა და იტალიელს შესთავაზა პარიზში წასვლა და საფრანგეთის მადლიერი მეფისგან დამატებითი ჯილდოს მიღება. მატიოლი მახეში გაება და წასვლაზე თანხმობა განაცხადა. როგორც კი ეტლმა საფრანგეთის საზღვარი გადალახა, მას დრაგუნთა რაზმი შემოერტყა გარს და რამდენიმე საათში იტალიელი უკვე პინეროლის ციხეში აღმოჩნდა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ პატიმრებზე ნიღბის ჩამოცმა იტალიაში წესად ჰქონდათ, განსაკუთრებით ვენეციაში. პინეროლში მატიოლი მცირე ჯიუტობის შემდეგ, გამოტყდა, რომ პარიზთან საიდუმლო მიმოწერები პადუაში მამაჩემის სახლში მაქვსო. მალე ეს საბუთები პარიზში იყო. თუ დავუშვებთ, რომ „ნიღაბი“ მატიოლი იყო, მაშინ ბევრი რამ ადვილი ასახსნელი ხდება. ლუის სერიოზული საფუძველი ჰქონდა იმისთვის, რომ დაემალა მის მიერ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა – უცხო სახელმწიფოს მინისტრის მოტაცება. სამხედრო მინისტრს ლუვუას ანგარიშში დაწვრილებით არის აღნიშნული, რომ ყველაფერი სრულიად საიდუმლოდ მოხდა და დატუსაღებულის სახელი არც იმ ოფიცრებმა იცოდნენ, რომლებიც ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ. მაგრამ საიდუმლოების დაცვა მაინც ვერ მოხერხდა.

1682 წელს იტალიაში გამოსცეს ბროშურა „კაზალში გამარჯვებული კეთილგონიერება“, სადაც აღნიშნული იყო, რომ მატიოლი მოიტაცეს და პინეროლში წაიყვანესო. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სამხედრო მინისტრი ლუვუა სენ-მარის უფროსი და და ეს უკანასკნელი, სამსახურებრივ მიმოწერაში სულაც არ ცდილობდნენ საიდუმლოებად წარმოედგინათ ბატიოლის პატიმრობა. 1680 წლის 7 სექტემბერს სენ-მარი დაუშიფრავი წერილით ატყობინებს ლუვუას თავის რამდენიმე შეტაკებას იტალიელთან და ახსენებს მის გვარს. პირიქით თუ უნდოდათ, რომ ციხეში ვინმე საიდუმლოდ ჰყოლოდათ, მასზე არა მარტო შიფრით წერდნენ, არამედ ერიდებოდნენ ნამდვილი გვარის ხსენებას და იყენებდნენ გამოგონილ სახელებს. მატიოლი თითქმის ყველაზე ნაკლებად დასამალი სახელმწიფო დამნაშავე იყო, რომლის დაპატიმრებაზეც 1682 წელს წიგნიც გამოვიდა და როგორც უახლოესმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, მაშინდელ ჰოლანდიურ გაზეთებშიც კი წერდნენ. ერთ-ერთ თავის წერილში ლუკუა სენ-მარს მითითებას აძლევს, – თუ იტალიელი ურჩობას დაიწყებს, შეგიძლიათ ჯოხის ცემით ჭკუაზე მოიყვანოთო.

1679 წელს, როცა მატიოლი პინეროლში ჩაიყვანეს, იქ კიდევ ექვსი სახელმწიფო დამნაშავე ჰყავდათ, მანტუელი მეშვიდე იყო. 1680 წელს შვიდიდან ერთი ყოფილი ფინანსთა მინისტრი ფუკე გარდაიცვალა, ხოლო 1681 წელს გაათავისუფლეს ფუკეს მეგობარი ჰერცოგი ლოზენი, საფრანგეთის უმაღლესი არისტოკრატიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. 1681 წელს, როცა სენ-მარი ეკზილის ციხეში გადაიყვანეს, ლუკუამ უბრძანა მას, თან წაეყვანა „საკმაოდ მნიშვნელოვანი“ ორი ტუსაღი. ეტყობა, სწორედ ეს ორი აწუხებდა სამხედრო მინისტრს, მეფე ლუი XIV-ის მარჯვენა ხელს. წინათ ეგონათ, რომ ამ ორიდან ერთი მატიოლი იყო, მაგრამ დაახლოებით 150 წლის წინ ფრანგმა მეცნიერმა ტოპენმა (თვითონაც მატიოლის კანდიდატურის მომხრემ) მოიძია სენ-მარის წერილი აბატ დესტრადისადმი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქტიურ მონაწილეობას იღებდა იტალიელის შეპყრობაში. ამ წერილიდან აშკარა ხდება, რომ მატიოლი პინორელში დარჩა. 1693 წლიდან მატიოლის სახელი სრულიად ქრება მინისტრის და სენ-მარის მიმოწერაში. ფიქრობენ, რომ იგი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილია. ეკზილში, სენ-მარის ჩასვლიდან ხუთნახევარი წლის შემდეგ, 1687 წლის დამლევს, ამ ორ ტყვეთაგან, ერთ-ერთი გარდაიცვალა. დარჩა ერთი პატიმარი, რომლის მიმართ სიფხიზილის განსაკუთრებულ ზომებს იღებდნენ. სენ-მარის არყოფნის დროს მის შემცვლელ ოფიცერს კატეგორიულად ეკრძალებოდა ტუსაღთან ლაპარაკი. მალე სენ-მარმა ახალი დაწინაურება მიიღო. იგი კუნძულ სენ-მარგარიტის ციხის უფროსად დანიშნეს და უბრძანეს, თან წაეყვანა დარჩენილი პატიმარი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ლუკუას და სენ-მარის მიმოწერა, რომელთაგან ცხრა მეათედი სპეციალურად გაანადგურეს, დატოვეს ისეთი წერილები, რომლებიც მხოლოდ გზას უბნევდნენ მკვლევრებს, რომლებიც მოინდომებდნენ ჭეშმარიტების გარკვევას. 1691 წელს გარდაიცვალა ლუკუა. ლუი XIV-ის სამხედრო მინისტრის პოსტი ლუკუას ვაჟს ბარბეხიეს უბოძა. 22 წლის ფუქსავატი კაცის სამხედრო მინისტრად დანიშვნა იმ დროს, როცა საფრანგეთი მძლავრ სახელმწიფოთა კოალიციას ებრძოდა, უპრეცედენტო ფაქტი იყო სენ-მარისთვის. პირველივე წერილში ახალი მინისტრი მას აფრთხილებდა, რომ წინანდებურად სიფრთხილე გამოეჩინა ძველი პატიმრის მიმართ (ახალ მინისტრსაც მარტოოდენ ერთი პატიმარი აინტერესებდა).

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში „ნიღბის“ პრეტენდენტთა სიაში ფიგურირებდა საფრანგეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ნიკოლა ფუკე. 1969 წელს ფრანგმა ჟურნალისტმა არეზმმა გამოაქვეყნა წიგნი

→

„რკინის ნიღაბის“ საბოლოოდ გახსნის საიდუმლოება“, სადაც ნიღბის როლში ნიკოლა ფუკე დაასახელა. ვინ იყო ნიკოლა ფუკე? ნიკოლა ფუკე 1615 წლის 27 იანვარს საფრანგეთის პარლამენტის მრჩევლის ოჯახში დაიბადა. საფრანგეთის მშფოთვარე ფრონის დროს იგი დაუახლოვდა პირველ მინისტრ მაზარინის, რომელსაც ოპოზიციის მხრიდან დიდი პრობლემები ჰქონდა. ერთგული სამსახურისთვის მაზარინიმ იგი სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანა, შემდეგ სამხრეთ ამერიკის კოლონიების მმართველი კომპანიის დირექტორად დანიშნა. მალე ფუკე ფინანსთა მინისტრად ინიშნება და 1650 წელს პარლამენტის მთავარი პროკურორის ადგილს ყიდულობს, რაც მას ხელშეუხებელ პიროვნებად აქცევს. ამ თა-

ფუკე

ნამდებობაზე იგი ზღაპრულად გამდიდრდა და დაიწყო უზარმაზარი თანხების ხარჯვა როგორც საყვარლებისთვის, ისე მეგობრებისთვის. მისი სალონი პარიზში ყველაზე პრესტიჟული იყო. აქ თავს იყრიდნენ ცნობილი პოეტები, მხატვრები, მწერლები, მუსიკოსები. ბრეტანში იგი ყიდულობს ძალიან ძნელად მისადგომ კუნძულ ბელილს, რომელსაც ყველანაირად ამაგრებს, ჰქმნის საკუთარ გარნიზონს. ცხოვრების ასეთი წესი მეფის კარზე ბევრს შურს აღუძრავს და მტრები იწყებენ მის წინააღმდეგ მოქმედებას. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ფინანსთა კონტროლიორი კოლბერი, რომელიც მეფესთან ყოველდღე დადის და საქმის კურსში აყენებს.

1661 წელს გარდაიცვალა კარდინალი მაზარინი. კოლბერი ურჩევს ფუკეს გაყიდოს პარლამენტის მთავარი პროკურორის თანამდებობა და აღებული ფული მეფეს მიართვას. ფუკე თანხმდება კოლბერის წინადადებას და ამით გამოუსწორებელ შეცდომას უშვებს. მეორე მისი დიდი შეცდომა ის არის, რომ ცდილობს დაუახლოვდეს მეფის საყვარელს ლუიზა დე ლავალიერს, ოქროში ჩასვას და ამით მეფის გული მოიგოს, მაგრამ ხდება პირიქით. ლუიზისთვის გაგზავნილი წერილი ლუის უვარდება ხელში და ამით ფუკეს ბედი გადაწყვეტილია. 1661 წელს ფუკე თავის მამულში – დე-ვიკონტში აწყობს გრანდიოზულ დღესასწაულს და მეფეს და მის თანმხლებ ექვსას სტუმარს მეფურად უმასპინძლდება. კოლბერი მეფეს ყურში აწვეთებს, რომ იმ რამდენიმე დახარჯული მილიონი ლივრიდან დიდი ნაწილი სახელმწიფო ხაზინიდან არის აღებული. ლუის დღესასწაულის დროსვე უნდოდა ფუკეს დაპატიმრება, მაგრამ დედამ, ანა ავსტრიელმა ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა. იმავე 1661 წელს ნანტში სახელმწიფო საბჭოს სხდომიდან გამოსულ ფუკეს მეფის მუშკეტერების ლეიტენანტი დარტანიანი აპატიმრებს და ვენსენის ციხეში ათავსებს, საიდანაც იგი 1663 წელს ბასტილიაში გადაჰყავთ. იწყება სასამართლო პროცესი, რომელიც სამ წელიწადს გაგრძელდა. მეფის მიერ დანიშნულმა 22 მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს მისი ბედი. მეფის, კოლბერის და ლუკუას მტკიცე გადაწყვეტილებაა მას ჩამოხრჩობა მიუსაჯონ, მაგრამ ფუკე თავს შესანიშნავად იცავს. მართალია იგი აღიარებს მცირე ფინანსურ გადაცდომებს, მაგრამ თითქმის ყველა წაყენებულ ბრალდებათავდაპირველად ხალხი ფუკეს წინააღმდეგ იყო განწყობილი, როგორც გადასახადების მთავარი ამკრეფის და ფინანსური მაგნატის, მაგრამ პროცესის ბოლოს, როცა ხედავდმენ როგორი ძალით ცდილობდნენ მეფე და მისი მინისტრები ფუკეს სიკვდილით დასჯას, ბრალდებულს თანაუგრძნობდნენ. ციხეში მას დარტანიანის მუშკეტერი სენ-მარი დაუნიშნეს მეთვალყურედ. საპატიმროში მას ჰყავდა ორი მსახური, რომელთაგან ერთი 1674 წელს გარდაიცვალა, ხოლო მეორე ლა რივიერი დიდხანს ემსახურებოდა. 1669 წელს იყო ფუკეს ციხიდან გაპარვის მცდელობა. მისმა მეჯინიბემ ლაფორემ და მეგობარმა ვალკრუასანმა მოახერხეს სიმაგრეში შეღწევა და რამდენიმე ჯარისკაცის მოსყიდვა, მაგრამ გაქცევის გეგმა ჩაიშალა. სამივე დამნაშავე ჯარისკაცი სასამართლოს გადაწყვეტილებით ციხის ეზოში ჩამოახრჩეს, ხოლო გაქცევის ორგანიზატორები ტურინში გაიქცნენ. სავოიის ჰერცოგმა ისინი შეიპყრო და უკან სენ-მარს გამოუგზავნა. ლაფორე ციხეში ჩამოახრჩეს, ხოლო ვალკრუასანს რამდენიმე წლიანი კატორღა მიუსაჯეს. 1669 წლის ივლისში პინეროლში მეფის ორი ბრძანება მოვიდა. ერთის ადრესატი იყო პინეროლის გარნიზონის უფროსი მარკიზი დე პენი. მას ევალებოდა, საჭიროების შემთხვევაში, აღმოეჩინა დახმარება ციხის უფროსის – სენ-მარისთვის, რომელსაც ციხის დასაცავად ოფიცრების გარდა 70 ჯარისკაცი ჰყავდა. თვით დე პენის გარნიზონი 700 ჯარისკაცს ითვლიდა. მეორე ბრძანების ადრესატი სენ-მარი იყო, რომელსაც ევალებოდა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის გარნიზონის უფროსისთვის მიემართა, რომელიც მას დაუყოვნებლივ აღმოუჩენდა დახმარებას. მთავრობას, ეტყობა, აწუხებდა ციხეზე თავდასხმის საშიშროება და წინასწარ ღებულობდა ზომებს. 1674 წელს ფუკეს გარდაცვლილი მსახურის სამპენის ნაცვლად დაუნიშნეს ესტაშ დოჟე, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

1669 წელს ლუვუა ატყობინებს სენ-მარს, რომ თუ ფუკეს მსახური ლარივიერი მოისურვებს განთავისუფლებას, გაუშვით მხოლოდ რამდენიმე თავის დაგვიანებით, რომ მან გარეთ პატრონის რაიმე დავალების გადაცემა არ მოახერხოსო. 1670 წელს პენგროლის ციხეში მოათავსეს ფუკეს პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ჰერცოგი ლოზენი, რომლის დიდი იმედიც ჰქონდა ფუკეს მომხრეებს. 1679 წელს ფუკეს და ლოზენის მიმართ საპატიმრო რეჟიმი საგრძნობლად შემსუბუქდა. მათ უფლება მიეცათ ერთმანეთი ენახათ და სენ-მარის თანდასწრებით ესაუბრათ. პინეროლში ჩამოვიდა ფუკეს ოჯახის წევრები და შეხვდნენ პატიმარს. 1680 წლის დასაწყისში პარიზიდან ჩამოვიდა ასევე სპეციალური შიკრიკი და სენ-მარს ჩამოუტანა სპეციალური მითითება. 1679 წლის 18 აგვისტოს ლუკუა ატყობინებდა სენ-მარს: „თუ თქვენ არ შეგიძლიათ წერილს ანდოთ რაიმე ინფორმაცია, მაშინ გამომიგზავნეთ ბატონი ბლენვიერი (სენ-მარის ბიძაშვილი). ბლენვიერი მართლაც გაემგზავრა პარიზში და პინეროლში დაბრუნდა 1680 წლის იანვარში. ამ ვიზიტის შემდეგ ჰერცოგ ლოზენის საპატიმრო რეჟიმი მნიშვნელოვნად შემსუბუქდა, ხოლო ფუკესი საგრძნობლად დამძიმდა. მას აუკრძალეს ყველა მნახველის მიღება, მათ შორის ჰერცოგ ლოზენისაც. 1680 წლის 23 მარტს სენ-მარმა შეატყობინა ლუვუას ფუკეს სიკვდილი. უკვე 1680 წლის 8 აპრილს ლუვუა უბრძანებს სენ-მარს მოახდინოს ფუკეს მსახურების ესტაშ დოუეს და რივიერის იზოლაცია, ჰერცოგ ლოზენს კი გამოუცხადოს, რომ ისინი განთავისუფლებულებია არიან. 1680 წლის 22 ივნისს მინისტრი უბრძანებს სენ-მარს, რომ ციხიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ლოზენის მსახური და კატორღაში გაშვების მუქარით მისი ფეხი არ იყოს ციხიდან ათი კილომეტრის რადიუსშიო.

1681 წლის 22 აპრილიდან ჰერცოგი ლოზენი უკვე თავისუფალი იყო. არეზი წერს, რომ ფუკეს სიკვდილის დამადასტურებელი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს. არ არსებობს ასევე გვამის გაკვეთის ოქმი. მისი დალუქული კუბო მხოლოდ 25 დღის შემდეგ გადასცეს მის შვილს, როცა უკვე შეუძლებელი იყო გვამის ამოცნობა. სენ-მარის 1680 წლის 23 მარტის წერილი (ფუკეს გარდაცვალების შეტყობინება) არქივიდან გაქრა. არეზი თვლის, რომ ამ წერილში ფუკეს კი არა, მსახურ ესტაშ დოჟეს გარდაცვალების ცნობა იყო. მეორე მსახური და რივიერი, რომელსაც ადრე გათავისუფლებას სთავაზობდნენ, ახლა როცა დანამდვილებით იცოდა თუ ვინ მოკვდა 1680 წლის 23 მარტს, ახლა სრულ იზოლაციაში მოხვდა. არეზი მართალია, როცა წერს, რომ თუ 1680 წლის 23 მარტს მართლა მოკვდა ფუკე, მაშინ ფრანგული საზოგადოებისთვის მისი სიკვდილის დამადასტურებელი მოწმე ლა რივიერზე უკეთესი ვინ იქნებოდა.

ითვალისწინებდა რა საზოგადოების მაღალ ინტერესს, ვოლტერმა თავის 1752 წლის გამოცემაში რამდენიმე ახალი დეტალი გაახმოვანა. ლუვუას ვაჟის ბარბეზიეს შემდეგ საფრანგეთის სამხედრო მინისტრი შამიიარი იყო, რომელმაც, ბუნებრივია, იცოდა „ნიღბის“ საიდუმლო. ვოლტერი წერს. რომ მისი მეგობარი იყო საფრანგეთის მარშალი ლაფეიადი, მინისტრის სიძე. იგი მუხლმოყრილი ეხვეწებოდა სიმამრს საფლავში არ წაეღო ეს საიდუმლო და ეთქვა თუ ვინ იყო „ნიღაბი.“ ამაზე მინისტრი კატეგორიულად უარს ამბობდა და ამას იმით ხსნიდა, რომ მას ფიცი ჰქონდა დადებული და მას ვერ გასცემს. თუმცა შემდეგ მინისტრმა სიძეს უთხრა, რომ „ნიღაბი“ იყო პიროვნება, რომელმაც ფუკეს ყველა საიდუმლო იცოდაო. ვის შეიძლება სცოდნოდა ფუკეს საიდუმლოება თვით ფუკეს გარდა? ვოლტერი ასევე აღნიშნავს, რომ „ნიღაბი“ დაატიმრეს 1661 წელს (როგორც ფუკე). არეზი თვლის, რომ, როგორც კი მსახური ესტაჟ დოჟე მოკვდა, სენ-მარმა ლუვუასთან ადრე შემუშავებული გეგმის მიხედვით ფუკე გადაიყვანა ცალკე საკანში. ლუვუას 8 აპრილის წერილში არის ერთი საყურადღებო დეტალი. იგი სენ-მარს უთვლის, რომ ფუკესთვის ცნობილი ფაქტები შეიძლება იცოდეს ჰერცოგმა ლოზენმა და ლავილიერმა. იქ დოჟე არ არის ნახსენები, ალბათ იმიტომ, რომ მან იცის ფუკე კი არ მოკვდა, არამედ დოჟე. ფუკე იყო სენ-მარის ყველაზე ძველი პატიმარი. 1703 წლისთვის ის იქნებოდა 89 წლის, მაგრამ არეზს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები საფრანგეთის არისტოკრატიის წევრებისა, რომლებმაც ღრმა სიბერეს მიაღწიეს. თვით ჰერცოგი ლოზენი 90 წლის გარდაიცვალა, ხოლო ფუკეს დედა 91 წლის აღესრულა. ფუკეს მომხრეების პარტია ნელ-ნელა დაშალეს, ხოლო აჯანყებული კუნძული ბელილი მეფის ჯარს უომრად დანებდა. ისტორიულად იყო მომენტები, როცა ფინანსთა მინისტრ კოლბერს და სამხედრო მინისტრ ლუვუას პარტიები მეფის კარზე შესუსტდა. მაგ. 1667 წელს უცხო სახელმწიფოს ელჩები თავის მთავრობებს ატყობინებდნენ, რომ კოლბერის და ლუკუას ნაცვლად მეფის კარზე ფავორიტები იყვნენ მარშლები ტიურენი, ბელფორი და კრეკი (ორი უკანასკნელი ფუკეს ნათესავები იყვნენ). მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და კალბერმა, ლუკუამ და მათმა მომხრეებმა კვლავ განიმტკიცეს გავლენა მეფის კარზე. „ნიღბის“ შესაძლო კანდიდატად მკვლევართა ერთი ნაწილი ასახელებს ესტაშ დოჟეს, რომელმაც, მათი აზრით, 1680 წელს ფუკეს გარდაცვალების შემდეგ დაიკავა ფუკეს ადგილი. 1669 წელს სამხედრო მინისტრი ლუვუა ატყობინებს სენ-მარს: „პინერალში ჩამოგიყვანენ დიუნკერკის მახლობლად დაკავებულ მნიშვნელოვან დამნაშავეს – მსახურ ესტაშ დოჟეს.“ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მან ვერ შესძლო წერილობით ან სხვა ფორმით გადასცეს სხვას ის საიდუმლო, რომელიც მან იცის. მე ამით წინასწარ იმიტომ გატყობინებო, რომ თქვენ მოაწყოთ შესაბამისი საკანი ისე, რომ მის გარშემო არავის შეეძლოს გაიგონოს ის, რაც მან იცის, საკანს გაუკეთეთ ორმაგი ფანჯრები და კარები, დღეში ერთხელ თქვენ თვითონ შეუტანთ მას საჭმელს და სიკვდილით დაემუქრეთ თუ ის თავის საჭიროებების გარდა სხვა თემაზე დაგიწყებთ ლაპარაკსო. თუ რისთვის დაიჭირეს ესტაჟ დოჟე, მკვლევრებისთვის ეს უცნობია, მაგრამ ბევრი სამართლიანად ფიქრობს, რომ ამის ამოცნობა შესაძლებელია. სწორედ ამ დროს მიდიოდა მოლაპარაკება ლუი XIV-ისა და ინგლისის მეფე კარლოს II-ს შორის ორი სახელმწიფოს დაახლოებაზე. კარლოს II-ს სურდა საფრანგეთიდან ფინანსური დახმარება მიეღო და ამით თავი პარლამენტის მეურვეობისაგან ეხსნა. ამასვე ცდილობდა მისი მამა კარლოს I, რომელმაც სიცოცხლე ეშაფოტზე დაამთავრა. კარლოს II საფრანგეთის მეფეს ჰპირდებოდა 800 ათასი ფუნტის სანაცვლოდ კათოლიკობას მიიღებდა და ნეიტრალური იქნებოდა ლუის ჰოლანდიასთან მომავალ ომში. თუ ეს გამჟღავნდებოდა, კარლოს II-ს შეიძლება გვირგვინის საფასურად დასჯდომოდა. კარლოს II-ის და ჰენრიეტა ლუი XIV-ის ძმის ფილიპეს ცოლი იყო და იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მოლაპარაკებაში. 1670 წელს მოლაპარაკების დასამთავრებლად საფრანგეთის მეფე აგზავნის ინგლისში თავის რძალს, რომელიც მოლაპარაკებას საბოლოდ ამთავრებს. ინგლისიდან ჩამოსულ გენრიეტას მეფე გრანდიოზულ დახვედრას უწყობს. ეს მოხდა 16 ივნისს და ორი კვირის შემდეგ, 30 ივნისს გენრიეტა მოულოდნელად გარდაიცვალა. მეფის კარზე ჩურჩულებდნენ, რომ იგი მოწამლეს. გაიგო თუ არა დის გარდაცვალების ამბავი მეფე კარლოს II-მ, სასწრაფოდ გააგზავნა შიკრიკი საფრანგეთში და ლუის სთხოვა, მისთვის გამოეგზავნა მის და გენრიეტას შორის გაგზავნილი წერილები. ლუიმ გამოართვა ძმას წერილების ზარდახშა და ფრანგულად ათარგმნინა და-ძმის მიმოწერები. როგორც შემდგომ გამოირკვა, ყველა წერილი ინგლისში არ წასულა.

1673 წლის აგვისტოში პინეროლში მოდის მეფის ბრძანება გუბერნატორის შეცვლის თაობაზე. გარდა ამისა, შეიცვალა ციხესიმაგრის უფროსი, ხოლო გარნიზონი, არასაიმედოობის გამო, გადაყვანილი იქნა საფრანგეთის შუაგულში. პინეროლში დაიწყო გამალებული საფორტიფიკაციო სამუშაოები. მეცნიერები ფიქრობენ, რომ წაკითხულ წერილებში ლუიმ დაინახა ფრანგი პროტესტანტების გეგმები, რომლებსაც გარნიზონში ბევრი თანამოაზრე ჰყავდა. მათ იცოდნენ ვინ იყო „ნიღაბი“ და ცდილობდნენ მის განთავისუფლებას. როდესაც სენ-მარს თავს აბეზრებდნენ „ნიღაბის“ ვინაობის თაობაზე, იგი პასუხობდა, რომ ის თურქეთის სულთანი ან ჩინეთის იმპერატორია. თავისთავად „ნიღბის“ ისტორიას არ აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ იგი დღესაც აღვივებს ცნობისმოყვარეობას და იწვევს აზრთა სხვადასხვაობას.

სამეფო სახლის წევრების გადასახლება რუსეთში

◀ დასაწყისი გვ. 1,5

რი, რას აპირებს". დედოფლის ამგვარად მოხსენიებით ცხადი იყო, თუ რას წარმოადგენდა მანსუროვი და როგორ უერთგულებდა იგი დედოფალს გაჭირვების ჟამს. მარიამ დედოფალმა მასთან ცუდი ამბით მისული ზურაბ ივანგულაშვილი გალანძღა. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, მარიამი თბილისიდან გაქცევის იმედს არ კარგავდა. ამალის წევრების ნაწილმა მისი გეგმა საშიშად მიიჩნია და ჩამოსცილდა. გაქცევაზე ხელის აღებას ურჩევდა დედოფალს მისი ნათესავი თავადი ასლან ორბელიანი. მარიამ დედოფალი არავის რჩევას არ იღებდა და გაქცევისთვის ემზადებოდა. ამ დროს მასთან მივიდა ზურაბ ივანგულაშვილი და გულახდილად უთხრა, რომ ის და მანსუროვი დედოფალს ატყუებდნენ და რომ გაქცევისათვის არც ერთი ცხენი არ იყო მზად. ოთახში შემოვიდა ასლან ორბელიანიც, დედოფალსა და მოსულს შორის საუბარი გაიმართა: **ასლან ორბელიანი:**

რატომ ამზადებთ ბარგს?

მარიამ დედოფალი: ფშავში მინდა წასვლა.

ასლან ორბელიანი: თქვენ სუსტად ხართ, წასვლას ვერ შეძლებთ, ან ვისთან ერთად უნდა წახვიდეთ, ვინ გაგიშვებთ?

მარიამ დედოფალი: ოთხი კაცი თანახმაა ჩემთან ერთად წამოვიდეს, წამოდით თქვენც.

ასლან ორბელიანი: როდის მიდიხართ?

მარიამ დედოფალი: ამაღამ.

ასლან ორბელიანი: თქვენი წასვლა არაფრით არ შეიძლება, არც მე ვარ თანახმა.

აღელვებული მარიამ დედოფალი თავისას არ იშლიდა, აღელდა ასლან ორბელიანიც. საუბარი ასე გაგრძელდა:

ასლან ორბელიანი: რა გინდათ ჩვენგან? რატომ გინდათ გადაგვჩეხოთ უბედურებაში? რას აკეთებთ, სად მიდიხართ?

მარიამ დედოფალი: რატომ გინდათ, რომ ჩემი შვილები მეორედ მოხვდნენ ტყვეობაში? აიღეთ ხანჯალი, დამარტყით ან მესროლეთ თოფი! მარიამ დედოფალი (ზურაბ ივანგულაშვილს): წაიყვანეთ ჩემი ვაჟები, ჯიბრაილი და ილია, დამალეთ თქვენს სახლში, ვითარება შეიცვლება და შესაძლებელი გახდება მათი სადმე გაგზავნა.

ზურაბ ივანგულაშვილი: თქვენ გინდათ, რომ საბოლოოდ დამღუპოთ?

გამწარებული დედოფალი ივანგულაშვილს სთხოვდა 2.000 მანეთის ჯილდოს სანაცვლოდ ბატონიშვილები სადმე დაემალა. უარმა დედოფალი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ამ დროს ოთახში შემოვიდა დიაკვან ეგნატეს მიერ გამოგზავნილი მსახური და დედოფალი საღამოს ლოცვაზე მიიწვია. დედოფალმა ხმამაღლა წარმოთქვა: ***„ახლა მე ლოცვის თავი არ მაქვს, მე დავიღუპე, დაიღუპნენ ჩემი შვილებიც! ფშავში წასვლა მინდოდა, მაგრამ ამალა არ დამემორჩილა!"*** ოდნავ მოგვიანებით დედოფალს განზრახვა არც დიაკვანმა მოუწონა. პასუხად მარიამ დედოფალმა განაცხადა: ფშავში წასვლა იმიტომ მინდოდა, რომ იქიდან იმპერატორისათვის წერილი გამეგზავნა და საქართველოში დარჩენის ნებართვა მეთხოვა. ისედაც იმედგაცრუებულ და სასოწარკვეთილ დედოფალს ასლან ორბელიანმა ჰკითხა: თუ მთელ სამეფო სახლს აქედან წაიყვანენ, რაღა აზრი ექნება თქვენს საქართველოში ცხოვრებას? გაბრაზებულმა დედოფალმა ასლან ორბელიანს ოთახის დატოვება უბრძანა. ნათესავებისაგან მიტოვებულმა დედოფალმა აზნაურ **ნიკოლოზ ხიმშიაშვილს** უხმო და ფშავში გაქცევაში დახმარება სთხოვა. ამ უკანასკნელმა დედოფალს დახმარება აღუთქვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან ფშავის გზა არ იცოდა. დედოფალი ფიქრობდა, რომ მეგზურს იპოვიდა, თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. დედოფლის თბილისიდან გაქცევის განზრახვა უკვე მთელმა ქალაქმა შეიტყო. პაველ ციციანოვს მოახსენეს, რომ დედოფალი 1803 წლის 18 აპრილის ღამით შვილთან, ბაგრატ ბატონიშვილთან და მთელ თავის ოჯახთან ერთად თბილისიდან ავლაბრის კარით აპირებდა გაპარვას. ქალაქის კომენდატურიდან ციციანოვს აცნობეს, რომ ბარგით დატვირთული ცხენები შეამჩნიეს. მალე საქართველოს მთავარსარდალმა მეორე ცნობა მიიღო: დედოფალმა მარიამმა ორი უმცროსი შვილის, ჯიბრაილისა და ილიას, ქალაქიდან გაპარება სცადა, მაგრამ ავლაბრის კართან მდგარმა ყარაულმა ისინი დააკავა. ციციანოვმა გენერალ-მაიორ ივან ლაზარევს უბრძანა, არ დაეშვა დედოფლის თბილისიდან გაქცევა. იმავდროულად გენერალ-მაიორმა **სერგეი ტუჩკოვმა** ბაგრატ ბატონიშვილის დაკავების ბრძანება მიიღო. ტუჩკოვი ბაგრატ ბატონიშვილთან ერთად მცხეთაში უნდა ჩასულიყო და იქ დალოდებოდა ლაზარევს, რომელიც მარიამ დედოფალსა და მის ოჯახს მცხეთამდე ჩააცილებდა. 1803 წლის 18 აპრილს, საღამოს, პაველ ციციანოვმა მარიამ დედოფლის სახლთან ყარაულის დაყენება ბრძანა, ხოლო დედოფალს აცნობა, რომ 19 აპრილის დილით გამგზავრებისათვის მზად ყოფილიყო. 1803 წლის 19 აპრილს, დილის 6 საათზე, გენერალ-მაიორი ივან ლაზარევი მარიამ დედოფლის სახლში შევიდა. დედოფალს ლაზარევთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და, როგორც სერგეი ტუჩკოვი წერს, ამის მიზეზიც გააჩნდა: გენერალი დედოფალს ხშირად აყენებდა შეურაცხყოფას. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ მარიამ დედოფალმა ლაზარევს რამდენჯერმე უჩივლა ციციანოვთან. ცხადია, გენერლის ვიზიტმა მარიამ დედოფალი ცუდ ხასიათზე დააყენა. ოფიციალური რუსული დოკუმენტების მიხედვით, მოვლენები ასე განვითარდა: გენერალი ივან ლაზარევი რამდენიმე ოფიცრის თანხლებით დედოფლის საწოლში შევიდა და ოჯახთან ერთად თბილისიდან გასახლების შესახებ აცნობა. დედოფალი გენერალს ცივად შეხვდა და განუცხადა: — ***„უმალ თავს მოვიკლავ, ვიდრე პეტერბურგში გამგზავრებაზე დავთანხმდები!"*** ლაზარევმა დედოფლის დაყოლიების მიზნით ოთახში ქართულის მცოდნე რუსეთის ჯარის კვარტერმაისტერი **სუროკოვი** დატოვა, ხოლო თვითონ გენერალი ოთახიდან გამოვიდა, რათა გამგზავრებასთან დაკავშირებით აუცილებელი ბრძანებები გაეცა. როგორც კი სუროკოვი დედოფალს მიუახლოვდა, ბატონიშვილებმა ჯიბრაილმა და თამარმა ტანსაცმლის ქვეშ დამალული ხანჯლები იშიშვლეს და სუროკოვსა და სხვა ოფიცრებს დაესხნენ თავს. ხმაურზე ოთახში დაბრუნდა ლაზარევი და საწოლზე მჯდომ მარიამ დედოფალს შვილების დაწყნარება ურჩია. დედოფალმა მოულოდნელად ასევე საწოლში დამალულ ხანჯალს სტაცა ხელი და მარცხენა ნეკნების მხრიდან გენერალს მთელი ძალით ჩაარტყა. ხანჯალი იმდენად ძლიერად იყო დარტყმული, რომ ლაზარევმა კარის ზღურბლამდე ძლივს მიაღწია და იქვე უსულოდ დაეცა. მკვლელობის ამბავი მაშინვე შეატყობინეს ციციანოვსა და ქალაქის კომენდანტს. ყველა სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირი დედოფლის სახლთან გამოცხადდა, არ მისულა მხოლოდ ციციანოვი. ასლან ორბელიანი დედოფალს ურჩევდა ხანჯალი დაეგდო, მაგრამ ამაოდ. მაშინ ქალაქის პოლიცმაისტერმა **მიკირტუმ სურგუნოვმა** ხელზე ბოხოხი დაიხვია და ისე გამოგლიჯა დედოფალს ხანჯალი. ამის შემყურე ბატონიშვილი თამარი სურგუნოვს თავს დაესხა, მაგრამ მოქნეული ხანჯალი პოლიცმაისტერს ასცდა და დედოფალს მოხვდა მხარში. დედოფალმა ბატონიშვილ თამარს ხანჯალი ხელიდან გამოგლიჯა, რათა, როგორც შემდეგ განაცხადა, განზრახული ჰქონდა ჯერ სურგუნოვი, ხოლო შემდეგ თავი მოეკლა. მარიამი იმწამსვე განაიარაღეს, განაიარაღეს ჯიბრაილ ბატონიშვილიც. მარიამ დედოფლის მიერ გენერალ-მაიორ ივან ლაზარევის მკვლელობის ზემოთ მოტანილ ვერსიას 1803 წლიდან უცვლელად იმეორებს რუსული ისტორიოგრაფია. მკვლელობის ეს ვერსია რუსებისათვის მისაღები იყო. დედოფლის მიერ გენერლის მოკვლა გამოყენებული იქნა ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრების რუსეთში გადასახლების დასაჩქარებლად.

(დასასრული იქნება)

ფსიქიატრის შეკვეთა

◀ დასაწყისი გვ. 8

— ნიკო აღარ მუშაობს. არ მოისურვა ჩვენთან ყოფნა. თვითონ მოისურვა წასვლა — იცრუა დირექტორმა. თან გაიფიქრა, ტყუილი არ შემატყოსო და სწრაფად განაგრძო — ახალი მომარაგების უფროსიც ბრწყინვალე სპეციალისტია.

ლალის უხაროდა დირექტორი რომანთან რომ აგზავნიდა, ახლაც შავი ხელჩანთიდან პატარა მრგვალი სარკე ამოიღო, თმა დაივარცხნა. როცა დარწმუნდა, კარგად გამოვიყურებიო, რომანისკენ გაემართა, კარი შეაღო და ნაზად მიმართა — დირექტორი გთხოვთო. — ახლავე, — უპასუხა თავაუღებლად რომანმა და მძიმედ წამოდგა. თანამშრომლებმა იფიქრეს, სიარულშიც კი ჭკუა გამოსჭვივისო.

ლალიმ კარებამდე მიაცილა რომანი. აკვირდებოდა მის განიერ მხრებს და ფიქრობდა „ნუთუ ვერაფერს ხვდებაო?"

რომანმა კარი შეაღო.

ლალი სკამზე წამოჯდა. გაბრაზებულმა სიგარეტი ამოიღო ჩანთიდან და გააბოლა. რომანის დანახვაზე ნუგზარი წამოწითლდა, უეცრად წამოდგა და დირექტორს მიაჩერდა.

— რაშია ნუგზარ საქმე? — გაოცდა ვახტანგი.

ნუგზარი თვალს არ აცილებდა რომანს. შემდეგ, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, გამოერკვა, დირექტორთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა — თუ შეიძლება, მარტო რომ დავრჩეთ?

როცა მარტო დარჩნენ, ნუგზარმა დაიწყო:

ეს კაცი, თქვენ ასე რომ შეაქეთ, გიჟია!

— რაო?! — შეაწყვეტინა ლაპარაკი ვახტანგმა.

— რატომ გიკვირთ? ერთი მეზობელი მყავდა, შარშან გარდაიცვალა. საწყალი, სამი წელიწადი იყო სამკურნალოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ხოლო მის მეზობლად იწვა ეს თქვენი რომანი. როგორც ვიცი, ექვსი თვე მკურნალობდნენ. მასზე ამბობდნენ — „ხო"-ს და „მართალია"-ს და თავის დაქნევის მეტს, არაფერს აკეთებსო. არადა, მშვენიერი ნათესავები ჰყავსო. ისინი პატრონობენ. არაფერს აკლებენო.

ვახტანგი გაოცებისგან ადგილზე გაშეშდა. წყლის დასალევად გამზადებული ჭიქა, მაგიდაზე დადო.

— ხუმრობთ?

— რა მეხუმრება?! სიმართლეს ვლაპარაკობ!

დირექტორი გაოცებული კარგა ხანს უყურებდა ნუგზარს. ვერ გაეგო, ეს კაცი მართალს ამბობდა, თუ სტყუოდა.

— გულახდილად მითხარით, მართალს ამბობთ?

— ბავშვი ხომ არა ვარ? — წყენით უპასუხა ნუგზარმა.

მაპატიეთ, მაგრამ, არ მჯერა თქვენი!

— თუ არ გჯერათ, — წამოენთო ნუგზარი — წაბრძანდით ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და იქ დარწმუნდებით. რამდენჯერაც მივედი ჩემი მეზობლის სანახავად, სულ იქ მხვდებოდა ეს კაცი და როგორ შემეშლებოდა?!

ნუგზარმა აჩქარებით დატოვა ოთახი.

დირექტორი გამოერკვა და დაედევნა: — მოიცადეთ, თქვენი თხოვნა შესრულებული იქნება. დამიცადეთ, მეც თქვენთან ერთად გამოვალ — აღელვებული ხმით უთხრა ვახტანგმა, პიჯაკი შემოიცვა და ნუგზარს გაჰყვა.

ვახტანგმა საავადმყოფოს მიაშურა. ყველაფერი გაიგო. იწვა თუ არა რომანი ფსიქიატრიულში. ნუგზარი, მართალს ლაპარაკობდა.

ქანცგაწყვეტილი, ნერვებმოშლილი დაბრუნდა სამსახურში. ძლივს შეაღო კაბინეტის კარი, სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. რა არ წარმოიდგინა, რა არ გაიფიქრა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. გიჟი მის ფირმაში? აკი ყველა ამბობდა, ჭკვიანი კაციაო. არა, აქ რაღაცას აქვს ადგილი, ახლავე დავურეკავ ნუგზარს. ეგება მან მიშველოს. მაშინვე ნომერი აკრიფა და ნუგზარის ხმა იცნო.

ბატონო ნუგზარ! ვახტანგი გაწუხებთ.

— დიახ, გისმენთ ვახტანგ!

— მე, — დაბნეულად დაიწყო ლაპარაკი ვახტანგმა, — მე იმ საკითხზე გაწუხებთ, ავფორიაქდი კაცი. აღარ ვიცი რა გავაკეთო. თქვენ რომ თქვით, კარგი და შეძლებული ნათესავები ჰყავსო... ეგება ვინმეს ტელეფონი იცოდეთ, უფრო კარგად გავერკვევი საქმის ვითარებაში!

— ამაზე ადვილი რა არის?!

ვერ ვხვდები, რას მეუბნებით?

— ალეკო ნიჟარაძეს ხომ იცნობთ?

— მერე? — გაოცდა ვახტანგი.

— ხოდა, ალეკო ნიკოს ახლო ნათესავია. სწორედ მან დაგირეკათ მისი სამსახურში მიღების თაობაზე.

ამის გაგონებაზე ვახტანგს ენა ჩაუვარდა, რამდენიმე წამს უსიტყვოდ იჯდა.

— ბატონო ვახტანგ, რა დაგემართათ? — ისმოდა ტელეფონში ნუგზარის ხმა.

— არაფერი, არაფერი! — იცრუა დირექტორმა და განაგრძო — კარგი, დიდი მადლობა! ახლავე ალეკოს დავურეკავ! — წარმოთქვა თუ არა, სიბრაზისგან ტელეფონი მაგიდაზე დაახეთქა და ამოიოხრა — მაინც მაჯობა მაგ დამპალმა. გიჟი შემომაპარა. გამაბურთავა, დამცინა, დამამცირა. ხუთი თვე სულ მის ქებაში ვიყავი, ცამდე ამყავდა და ის კი, იცინოდა. — ფიქრობდა ვახტანგი და თან მუშტებს ურტყამდა მაგიდას.

ერთი თვის შემდეგ, ვახტანგმა განცხადება დაწერა და სხვაგან დაიწყო მუშაობა.

თანამშრომლები გაოცებულები იყვნენ. ვერ ხვდებოდნენ, რაში იყო საქმე. მაგრამ ბოლოს, ყველამ გაიგო საქმის ვითარება და ყველაფერს ფარდა აეხადა.

მხოლოდ ლალის არ სჯეროდა რომანის სიგიჟის!

ამირან ჯმუხაძე



გაზეთი დასაბეჭდად მზად გვქონდა, რომ სამწუხარო ამბავი გავიგეთ — მოულოდნელად გარდაიცვალა შესანიშნავი მწერალი, ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი ამირან ჯმუხაძე, რომლის მოთხრობები და ნოველები ოც წელზე მეტია პერიოდულად იბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამ ნომერში გამოქვეყნებული მისი ნოველა კი, ალბათ, გედის სიმღერა იყო, რომლის გამოქვეყნებასაც დღედღეზე ელოდა.

ამირან ჯმუხაძის სახით ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ ნიჭიერი მწერალი, არამედ ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლით, სიყვარულით, ლამაზი შემოქმედებით, ავსებდა ჩვენს ცხოვრებას. იგი იყო არა მხოლოდ შესანიშნავი ნოველისტი, არამედ კაცი, რომელმაც თავისი შემოქმედებით შექმნა თანამედროვე ქართველი ადამიანის რეალური სახე და ჩაგვახედა ცხოვრების ორომტრიალში ჩაძირული ადამიანების სულიერ სამყაროში. მისთვის გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი„ იმ სივრცეს წარმოადგენდა, სადაც შეეძლო გულწრფელად გადმოეცა თავისი ფიქრი და ნააზრევი, რომელიც ეგრერიგად შეიყვარა ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა. მისი ცხოვრების კრედოს კი ქართული ლიტერატურა და კულტურა წარმოადგენდა, ურომლისოდაც ვერ წარმოედგინა თავისი ცხოვრება და არსებობა. ის მუდამ შთაგონებული იყო ქართველი ერის ისტორიით, უბრალო ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებით.

ამირან ჯმუხაძის შემოქმედებაში ყოველთვის იგრძნობოდა უზარმაზარი სიყვარული იმ გარემოსა და ადამიანების მიმართ, რომელთა შესახებაც იგი წერდა. ერთადერთი, რასაც მტკივნეულად განიცდიდა იყო ის, რომ ვერ შეძლო საკუთარი ნაშრომ-ნაღვაწის წიგნად გამოცემა. ცხოვრების რეალობამ, დროის უქონლობამ, მატერიალურმა გაჭირვებამ, არ მისცა საშუალება აესრულებინა ეს ოცნება. თუმცა, გვჯერა, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და უდროოდ წასული მწერლის ოცნება მისი გარდაცვალების შემდეგ მაინც ახდება.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია მადლობას უხდის ბორჯომელ ნატა და თამარ ხუციშვილებს ფინანსური დახმარებისათვის

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი" (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის" სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com